

# მამული



მას აქვთ, რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული,  
შოი, მამულო, გამიკრთა მე ძილი და შეება..

სხვა საქართველო სად არის,  
რომელი კუთხე ქვეყნისა...

ილია ჭავჭავაძე

გრიგოლ ორბელიანი

კრებული მუშაკთა ისტორიისა, მწიგნობისა და კულტურისა

მაისი, 1951 წ.

BUENOS AIRES, MAYO, 1951. Nr. 2.

რვეული მეორე

## MAMULI - "La Patria"

Revista GEORGIANA de HISTORIA y LITERATURA

Director Dr. VICTOR NOSADSE

Calle Blanco Encalada 5196, BUENOS AIRES.

Reg. Nac. de la Propiedad

Intelectual Nr. 352438

25 de MAYO — 26 de MAYO

El 25 de Mayo, el pueblo argentino festeja el aniversario de la Revolución Nacional; los Georgianos que viven ahora en la Argentina, también festejan esa magna fecha, que para ellos es un símbolo de libertad e independencia:

saludan al pueblo argentino,

saludan al Señor Presidente de la República Argentina, al forjador de su fuerza y poderío, fundador del Justicialismo.

y a su dignísima Señora esposa, incansable trabajadora por el bien del pueblo, Doña Eva Perón.

Nosotros, los Georgianos, festejamos con gran alegría el aniversario de la revolución argentina: — Ser libre e independiente — es ésa la mayor dicha para un pueblo! Pero el pueblo georgiano, que actualmente vive bajo el yugo del comunismo, no envidia a nadie esa dicha, sino que, por el contrario, comparte esa dicha con otros pueblos y se alegra con ellos.

El pueblo georgiano también era feliz cuando en el año 1918, el 26 de Mayo, declaró su independencia, cuando pudo constituir de nuevo su Estado, destruido por Rusia en el año 1801. Pero en el año 1921, y a pesar del tratado de 1920, la Rusia Roja atacó a Georgia, sin declararle la guerra, y la ocupó después de cruenta lucha. Desde entonces, el pueblo georgiano no puede ya festejar su independencia y no puede ya gozar de su libertad. Sólo pueden así hacerlo los

georgianos emigrados; donde quiera que se encuentren, recordarán siempre la fecha de la independencia de su patria, en la esperanza de que en un próximo futuro, el pueblo georgiano ha de tener la posibilidad de gozar de la libertad de su país y festejar su independencia nacional.

25 მაისი — 26 მაისი

25 მაისს არგენტინის ხალხი თავის დამოუკიდებლობის დღეს ზეიმობს.

არგენტინაში მცხოვრები ქართველებიც დღესასწაულობენ მასთან ერთად — 25 მაისი ქართველებსათვის არის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის სიმბოლო: ჩვენ მივესალმებით არგენტინის ხალხს: მივესალმებით არგენტინის რესპუბლიკის პრეზიდენტს, მისი ძალისა და ძლიერების მქედელს, სამართლიანობის დამამკვიდრებელს, გენერალ ხუან პერონს და მის ღირსეულ მეუღლეს, დაუღალავ მშრომელს ხალხის ბედნიერებისათვის, ქალბატონ მარია ევა დუარტე დე პერონს.

ჩვენ, ქართველები დიდი სიხარულით განვიცდით არგენტინის ხალხთან ერთად ამ დიდ დღესასწაულს — დამოუკიდებლობა და თავისუფლება დიდი ბედნიერებაა ხალხისათვის!

ოღონდ ქართველ ხალხს, რომელიც ამ უამად რუსულ-კომუნისტურ მონობაში იმყოფება, არ შეუძრს სხვისი ბედნიერება: — პირიქით, იგი სიხარულით იზიარებს სხვის ბედნიერებას და სხვა ერთა თავისუფლებას შეშხარის.

ქართველი ხალხიც იყო ბედნიერ, როდესაც მან 1918 წელს, 26 მაისს თავისი დამოუკიდებლობა გამოაცხადა და 1801 წელს რუსეთის მიერ დამსობილი ქართული სახელმწიფო აღადგინა: ოღონდ დიდ ხანს არ გაგრძელებულა ქართველი ხალხის ეს სიხარული — ბოლშევიკურ რუსეთი, იმის მიუხედავად, რომ 1920 წ. 7 მაისის ხელშეკრულებით საქართველოს დამოუკიდებლობა აღიარა, 1921 წლის თებერვალში, იმის გამოუცხადებლად მას შეეხია და ფიციხელ ბრძოლათა შემდეგ დაიპყრო. მას შემდეგ ქართველ ხალხს თავისი დამოუკიდებლობის დღე აღარ უდღესასწაულებია, მაგრამ ემიგრაციაში მყოფი და სხვა და სხვა ქვეყანაში გაბნეული ქართველები ამ დამოუკიდებლობის დღეს ზეიმობენ. იმ იმედით, რომ ახლო მომავალში საქართველო კვლავ თავისუფალი იქნება და თავისი დამოუკიდებლობის დღეს კვლავ თვითონ იზეიმებს.

მამული!... ამ სიტყვის აზრი ცხოვრების მიზნობაა სულია. ის მთელის ხალხის ერთიანი მაჯის ერთიანი ძარღვია...

იანთე ცეცხლით გული, მტერსა დაეცი მებად, ან, ვით შველი ერთგული, დააკვირ მამულს მსხვერპლად!  
ილია

# El 26 de Mayo del Pueblo Georgiano

Los orígenes de la historia del pueblo georgiano se remontan al lejano pasado. Algunos investigadores consideran que son los Sumerios los antepasados de los Georgianos, mientras que un segundo grupo los cuenta entre los Hitos y un tercer a su vez de la creencia que descienden de los Caldeos. Ahora bien, historicamente no puede negarse que las tribus georgianas llegaron a Caucasia procedentes del Sud, y que poseían dos Estados ya en el Siglo III antes de Jesucristo, a saber: Iberia en el Oriente, y en el Occidente, a orillas del Mar Negro, Kolkhida, que enriqueció grandemente la fantasía de los antiguos Helenos. En la época de los grandes Reyes Persas, Iberia se hallaba unida con el Oriente, mientras que Kolkhida lo estaba con el mundo griego. En la lucha entre el Reino Persa de los Sasánidas y el Imperio Romano, los estados Georgianos desempeñaron un papel descollante, relacionándose al final íntimamente con Roma.

En el Siglo IV, el pueblo georgiano se convierte al Cristianismo, por influencia de la Santa Virgen Nino. Al aceptar el Cristianismo, el pueblo Georgiano entra en el ciclo cultural cristiano y se orienta en forma más pronunciada hacia un enfriamiento de sus relaciones con Persia, que se está convirtiendo al Masdaismo y que en el Siglo VI subyuga Iberia, aboliendo la dinastía de los Reyes. En el Occidente, la tribu de los Kolkhos es reemplazada en el Gobierno por otra tribu Georgiana, la de los Lazos, y el Estado de Lazica entra en una relación muy íntima con Bizancio. Es entonces cuando la ola islámica llega a Persia y rebasa el Reino de los Sasánidas. Seguidamente, es ocupada por los árabes la Georgia Oriental. El dominio de los árabes no pudo cortar sin embargo el desarrollo de la cultura Georgiana cristiana, aun cuando lo dificultó.

A partir del Siglo VIII, el centro del desarrollo cultural georgiano cristiano se desplaza paulatinamente hacia la Georgia Sudoccidental, donde en Siglo VIII comienza el dominio de los Bagratidas Georgianos. Simultáneamente con el debilitamiento del Califato árabe, el dominio pasa a manos de los potentados locales, y comienza la lucha por la unificación de toda Georgia, en la que intervienen todos los países vecinos. Finalmente, la dinastía de los Bagrationi unifica Georgia en el Siglo IX, continuando la lucha contra los Señores Feudales

hasta la constitución de una firme monarquía feudal.

También contribuyó a la unificación y fortificación de Georgia la circunstancia que las fuerzas musulmanas, debido a las Cruzadas, estaban ocupadas en la lucha contra Europa. Ahora bien, para guardarse las espaldas en esta lucha, los dirigentes musulmanes trataron de aniquilar el potente Estado que se estaba desarrollando prósperamente en el Norte, y que constituía una retaguardia cristiana. Pero la Gran Coalición fué vencida en forma radical por el Rey Georgiano Davith el Constructor, en la batalla de Didgori, en el año 1121, con lo que los Georgianos prestaron a los cruzados una valiosa ayuda. El dominio georgiano se extendía continuamente en esa época, y ya en el Siglo XII, Georgia domina todo Caucaso y una extensión más allá de las fronteras de la misma igual a la actual República Francesa.

En esa época de la Reina Thamar, durante la cual, el poder georgiano llegaba a su apogeo, no sólo política sino también culturalmente. Georgia poseía tres Academias Universitarias y en el extranjero numerosos Monasterios, como por ejemplo en el Monte Athos (Iberón), en el Monte Sinaí, en Palestina, en Siria, etc., que eran academias georgianas y constituían un estrecho vínculo con la cultura occidental.

La arquitectura, música y pintura georgianas eran en su mayor parte autóctonas e independientes, así la poesía georgiana, fundandose sobre la base de la tradición cultural del feudalismo georgiano, de sus héroes y de sus cortes.

El feudalismo georgiano y la poesía georgiana eran europeos, aun cuando no habían sufrido la influencia de Europa.

Es a esa época, que constituye la época de oro de la historia de Georgia, que pertenece la máxima expresión del espíritu creativo georgiano, o sea el poema de Schotha Rusthaveli — El Caballero de la Piel de Tigre — .

A principios del Siglo XIII, cuando Georgia se proponía ayudar a los Cruzados mediante su intervención en la lucha, ese desarrollo sucumbió a las incursiones mongolicas. El dominio mongólico tuvo como consecuencia la disolución de la monarquía feudal y la división del país en varios dominios.

En el Siglo XIV, Jorge V vuelve a unificar el país, pero Georgia es devastada por las siete incursiones de Timur Leng, perdiendo definitivamente su uni-

dad como Estado.

Persia y Turquía, luchan entre sí por la posesión del Reino Georgiano, mientras que los Georgianos se defienden y tratan de mantener su integridad, a veces mediante las armas y otras veces por medio de la política. En esta gigante y cruenta lucha, Georgia queda despoblada y se debilita, pero a pesar de ello, no queda paralizado su desarrollo cultural.

En el desarrollo cultural georgiano, los Siglos XVII y XVIII son considerados como los Siglos de Plata, en que se desarrollan sobre amplias bases la creación artística, la codificación legislativa y las ciencias, a pesar de las graves condiciones que las continuas guerras crean al país.

A partir del Siglo XV, los Reyes Georgianos se relacionan con los Estados Europeos y colaboran con los Papas Romanos en la creación de una coalición anti-turca. No obstante ello, Europa no estaba en aquel entonces en situación de crear tal coalición y desalojar a los Turcos. Los Reyes Georgianos dirigieron entonces hacia el norte sus miradas esperanzadas, donde se extendía cada vez más el Estado de Moscú, llegando poco a poco hasta el Caucaso. Se inician entonces relaciones diplomáticas con Rusia, y las gestiones terminan en 1783 con la celebración de un tratado entre el Rey Erekle II y la Emperatriz Catalina II.

El estado ruso asume la protección de Georgia. De acuerdo al convenio, Rusia debía proteger a Georgia contra los enemigos extranjeros, y los Reyes Georgianos por su parte renunciaban a una política exterior independiente, mientras que en el fuero interno, conservaban toda su independencia. El trono Georgiano quedaba reservado a los Bagrationi, que reinaron en Georgia durante doce siglos. No obstante, Rusia no cumplió sus compromisos, aboliendo la dinastía georgiana, como así mismo la independencia de la Iglesia Georgiana, las Leyes Georgianas, la moneda Georgiana, etc. Esta traición rusa fué contestada por el pueblo de Georgia mediante levantamientos. En el curso del Siglo XIX, el pueblo georgiano organizó, en varios terrenos y en distintas épocas, 25 levantamientos contra Rusia, sin que le fuera posible no obstante cumplir los objetivos políticos que se había propuesto.

En el Siglo XIX, el pueblo georgiano, por intermedio de Rusia y en forma inmediata, se relaciona y forma parte de

la cultura europea, y alrededor de 1860, comienza el florecimiento de las letras georgianas, sobre la base de ideas nacionalistas. Durante esa época, se constituyen los partidos políticos, que asumen la dirección de la lucha nacional y social.

La cuestión más apremiante era entonces la rusa, debido a que el Gobierno ruso trataba de rusificar el pueblo georgiano. Los Georgianos opusieron no obstante viva resistencia, y en base a esa resistencia, se fortaleció también su espíritu combativo. En la lucha contra el régimen ruso, el pueblo georgiano no perdonaba, estando representado en la Duma Nacional Rusa, en todo momento, por los Socialdemócratas.

Vino luego la primera guerra mundial, en que Rusia se desmoronó y desintegró. Todos los pueblos subyugados aprovecharon esa oportunidad histórica y declararon su independencia, así Finlandia, Estonia, Lituania, Latvia, Ucrania, los Cosacos, los pueblos del Cáucaso Septentrional y la Transcaucasia, que el 22 de Abril de 1918 constituyen la República Federativa Transcaucásica.

Durante la guerra contra Turquía, dicha República Transcaucásica quedó no obstante disuelta, y el 26 de Mayo de 1918, Georgia creó su propio estado republicano, cumpliéndose así el sueño de muchas generaciones — Georgia se hallaba libre, abocándose de inmediato al ordenamiento de su propia vida, tarea ésta que en tiempos de revolución y

guerras, resultaba de difícil realización. Georgia era gobernada entonces por el Partido Socialdemócrata, y de esa misma filiación política era el Gobierno, cuyo objetivo era fortalecer y asegurar el poder del joven estado georgiano, interiormente y en el exterior.

Ese objetivo bien pronto quedó cumplido. Las grandes potencias reconocieron la independencia de Georgia, primero de facto y más adelante también de jure. El reconocimiento de jure fué pronunciado en primer termino por la Argentina, y luego por Alemania, más adelante también por Inglaterra, Francia, Italia, el Japón y otros estados.

La Rusia bolchevique por su parte, reconoció la independencia de Georgia de jure, por el tratado del 7 de Mayo de 1920. No obstante, ese reconocimiento no impidió las tentativas expansionistas bolcheviques. El Estado Rojo de Moscú conquistó primero la Ucrania, rebasó los Cosacos, destruyó luego la República Nortcaucásica, en Abril de 1920 ocupó Aserbeidschan, en Noviembre de ese mismo año Armenia, y en Febrero de 1921 penetraba en Georgia.

La Nación Georgiana sucumbió en la lucha contra Rusia.

La Asamblea Nacional Georgiana, que había dado al pueblo una libérrima constitución democrática, encomendó, en su última sesión en Batum, a su Gobierno, que se había dirigido al extranjero, prosiguiera la lucha en el extranjero por el reintegro de los derechos

de la Nación Georgiana.


En Europa, ese atropello de la Rusia Roja causó gran indignación general. No había Diario en Europa ni reunión alguna que no se ocuparan de la cuestión georgiana. La Internacional de Trabajo, los gremios, los partidos políticos, especialmente los socialistas, las Ligas de la Sociedad de las Naciones, todos ellos expresaron a Georgia sus simpatías, exigiendo a Rusia que evacuara el suelo georgiano. Repetidas veces se trató el problema georgiano en los Parlamentos de Francia e Inglaterra, y también se ocupó de el la Liga de las Naciones, en una de sus resoluciones.



No obstante todo ello, ninguna ayuda efectiva le fué prestada, y es así que el pueblo georgiano resolvió proseguir sólo la lucha contra los conquistadores rojos, levantándose primero Svanethi y luego Khevsurethi. Las tropas de guerrilleros, que se habían ubicado en las montañas, lucharon en forma incansable contra los comunistas, y en 1924, en toda Georgia se produjo un importante movimiento revolucionario...

Muchos fueron los sacrificios que esta lucha impuso al pueblo georgiano, lucha que no obstante prosigue y proseguirá hasta que Georgia haya podido cumplir sus objetivos, o sea obtener la libertad de su país y la independencia del mismo.

Acompañan en esa lucha a Georgia los heroicos pueblos caucásicos y todas las naciones que han caído bajo el yugo comunistas.

Dr. HATCHIDZE





# სამართველო და რუსეთი

## წერილი მეორე

დასავლეთ საქართველოს მხარეთაგან რუსეთთან ერთიერთობა ყველაზე უწინ ოდიშმა ანუ სამეგრელომ დაიწყო. ოდიშის მთავარი დადიანი გრიგოლ (1789 — 1804) ან იმერეთის მეფე სოლომონ მეორეს უნდა დამორჩილებოდა და მისი ხელქვეითი გამხდარიყო. მისთვის ლენჩხუმიც გადაეცა, რომელსაც მეფე მოითხოვდა, ან რუსეთის მფარველობა უნდა მოეპოვებინა. მან არჩია რუსეთის მფარველობა და 1802 წელს ოქტომბრის 5-ს უკვე უფლება-აყრილ ბატონიშვილს დავითს თბილისში სწერდა — როგორც თქვენ მოსურვეთ (!) მიგეცათ თქვენი სახლი იმპერატორისათვის და მიეცით (!), აგრეთვე ჩვენ და ჩვენი სახლიც მიეცით მას თქვენი ხელით, — ჩვენ ამის უფლებას ვაძლევთ!

ოდიშის მთავარს ამაზე, რასაკვირველია, არავითარი პასუხი არ მოსულა და იმავე, 1802, 20 დეკემბერს, დადიანი გრიგოლ გენერალ ციციანოვს მიმართავს, რათა იგი იმპერატორმა მფარველობაში მაიღოს, და თან იმუქრება — თუ რუსეთი ჩემზე მფარველობას არ მიიღებს, ოსმალეთის მფარველობაში შევალ! 1803 წლის 26 ივნისს გენერალი ციციანოვი დადიანს აცნობებს, რომ მისი თხოვნა შეწყნარებული არისო. — რუსეთი თავის თავზე სამეგრელოს მფარველობას აღებულობს, მაგრამ დადიანმა თავის მხრივ უნდა მიიღოს ერთგულების ფიცი, გამოკვებოს 1.500 რუსი ჯარისკაცი, რომელიც სამეგრელოს საზღვრებს დაიცავს, და სამეგრელოს შინაური მართველობა დამოუკიდებელი დარჩებაო. ამავე

დროს რუსეთის ელჩი იტალინსკი თავის მთავრობას აცხობინებს — ოსმალეთი წინააღმდეგი არაა სამეგრელომ რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღოსო. და 1803 წლის დეკემბრის 23-ს სამეგრელოს მთავარმა, დადიანმა გრიგოლ რუსეთის იმპერატორს თავისი ერთგულება შეჰფიცა — ფიცი და აღთქმა საუკუნო: შევსწირავ თავსა ჩემსა ყოვლად უმოწყალებსა მონარხსა სრულიად როსიისა და სხვათა.

ცამეტი მუხლიდან, რომელსაც სათხოვარი მუხლები შეიცავს, 11 მუხლი იგივეა, რაც იმერეთის მეფის, სოლომონ მეორეს ხელშეკრულებაში. მეოთხრამეტე მუხლით დადიანი უარს ამბობს საბაჟო შემოსავალზე და ნავთსადგურების მოწყობის შემთხვევაში, გადასახადების აღებაზედაც. მე-13 მუხლით დადიანი მოითხოვს: ვინაიდან იგი სარდალი იქნება თავის ოდიშში, ამიტომ მიეცეს მას სათანადო ჯილდო — ხმალი და დროშა!

დადიან გრიგოლს 4 ივლისს გამოეცხადამის უფლებათა დამტკიცება, და 24 ოქტომბერს 1804 წ. იგი გარდაიცვალა. მის შემდეგ სამეგრელოს მთავარი გახდა მისი შვილი ლევან, (1804 — 1842), მაგრამ მისი მცირეწლოვანებისა გამო, მმართველად დანიშნა ღედა მისი ნინო. ლევანის გარდაცვალების შემდეგ მთავრად იყო მისი შვილი დავითი (1842 — 1853), ოღონდ მისი მცირეწლოვანებისა გამო, სამეგრელოს მმართველი იყო ღედა-მისი ეკატერინე, დიდი მგოსანის ალექსანდრე ჭავჭავაძის ასული.

ყირიმის ომის დროს (1853—1856) საფრანგეთის, ინგლისის და ოსმალეთის აჯენტები ეკატერინეს არწმუნებდნენ რუსეთის წინააღმდეგ გამოსულიყო და მათ მიმხრობოდა: ამისათვის ისინი მას ქვეყნის განთავისუფლებას ჰპირდებოდნენ, მაგრამ ეკატერინემ ეს ნაბიჯი არ გადადგა. ამის შემდეგ იგი მაინც პეტერბურგს გაიწვიეს და მისი ადგილმამულის მზრუნველობა ცნობილ მოღვაწე დიმიტრი ყიფიანს ჩააბარეს. მალე ისიც გადააყენეს, ეკატერინეს 10000 მანეთი წლიურად დაუნიშნეს და სამეგრელო ქუთაისის გუბერნიას მიაწერეს, ხოლო მთავარ ნიკოლოზ დადიანს ერთი მილიონი მანეთი გადაუხადეს. ამგვარად დასრულდა 1868 წ. სამეგრელოს სამთავროს ისტორია.

იმერეთის მეფე სოლომონ მეორე (1790 — 1810) რუსეთის დიდი მოწინააღმდეგე იყო და ძალიან სცილობდა იმერეთის სამეფოსათვის დამოუკიდებლობა შეენარჩუნებინა და გაეძლიერებინა.

„რათა იმერეთი შეეერთებინათ, (რუსები) იძულებული გახდნენ დიპლომატიისათვის მიემართათ, რადგან (იმერეთის) მეფეს ჰყავდა ჯარი და ერთგვარი ძალა და დამოუკიდებლობა და თავისი კავშირებით ქართლკახეთთან და მეზობელ თურქულ ფაშებთან ამერკავკასიაში შეეძლო შფოთი გამოეწვია“-ო, ამბობს ალექსანდრე ბერჟე. მართლაც, სოლომონ მეორე ფიქრობდა ალექსანდრე ბატონიშვილთან, რუსეთის შეუთრებელ მტერთან, სპარსეთის შაჰ ბაბახანთან და ოსმალეთთან კავშირის დაჭერით რუსები ქართლ-კახეთიდან გაეჩეკა. რუსეთი თავის მხრივ პირდაპირ შეტევაზე ვერ გადავიდოდა, ოსმალეთთან ანგარიშის გაწევისა გამო.

სოლომონ მეორეს ოდიშის მთავარ დადიანთან ლენჩხუმის გამო, ცხარე დავა ჰქონდა და როდესაც დადიანმა ნაბიჯები გადასდგა რუსეთის მფარველობის მისაღებად, სოლომონისათვის აშკარა გახდა, რომ იგი ვერც სადადიანოს მიიღებდა და ლენჩხუმსაც

დაპყარავდა. ამიტომ სოლომონ მეფემ რუსეთთან მოლაპარაკება დააჩქარა და იმპერატორ ალექსანდრე პირველთან თავისი კანცლერი სოლომონ ლეონიძე გაავზავნა. ამავე დროს სოლომონმა დადიანთან ბრძოლა არ შესწყვიტა და სცილობდა საჩქაროდ ლეჩხუმი ხელთ ჩაეგდო, რათა მისა ფაქტიური მფლობელი გამხდარიყო. ეს ამბავი, რასაკვირველია, სასწრაფოდ პეტერბურგს აცნობეს და იმერეთის მეფის ელჩი ლეონიძე სასახლეში არ მიიღეს. იმპერატორის ბრძანებით მთავარმართებელმა ციციანოვმა იმერეთის საზღვარზე რუსული ჯარები მიიყვანა და სოლომონ მეორე ძულელებული შეიქმნა გენერ. ციციანოვთან მოლაპარაკება გაემართა.

ეს პირველი მოლაპარაკება ლეჩხუმის საკითხმა ჩაშალა.

ამავე დროს, ციციანოვმა, როგორც თვითონ ამბობს, აამუშავა ოქროს ვირი, ესე იგი დაიწყო გავლენიანი იმერლების დაქრთამვა, მოსყიდვა და მათ რუსეთის მხარეზე გადაყვანას შეუდგა. მდგომარეობა ისე განვითარდა, რომ სოლომონი იძულებული შეიქმნა გენერალ ციციანოვს შეხვედროდა. ამ მოლაპარაკების დროს იმერეთის მეფემ მოითხოვა რუსეთს ეცნო ლეჩხუმი, ორგორც იმერეთის საკუთრება. მაგრამ ციციანოვმა ამაზე უარი განაცხადა იმ მოსაზრებით, რომ ეს მხარე დადიანს ეკუთვნისო. აქაც ლეჩხუმის საკითხმა ჩაშალა მოლაპარაკება.

მაშინ გენ. ციციანოვმა ბრძანება გასცა, რუსის ჯარის ერთი ნაწილი იმერეთის საზღვარზე გადასულიყო და სოფლები დაეკავებინა (20 აპრილს, 1804 წ.). მეფე სოლომონს სხვა გზა აღარ დარჩენოდა, თუარა მოლაპარაკების განახლება, და 25 აპრილს იგი გენ. ციციანოვს კვლავ შეხვდა. ეს შეხვედრა დასრულდა სათხოვარი მუხლების მიღებით და ფიცის დადებით. გენერალმა ციციანოვმა მიიღო მეფის სათხოვარი მუხლები და სოლომონ მეორემ რუსეთის იმპერატორს ერთგულება შეჰპიცა.

სათხოვარი მუხლები შემდეგი იყო — 1. სოლომონ მეორე, მეფე იმერეთისა რუსეთის მფარველობას ღებულობს.

2. იმერეთის ტახტი სოლომონსა და მის მემკვიდრეებს რჩება,

3. სასამართლო ქართული დარჩება,

4. რუსეთი შეიყვანს იმერეთში ჯარს, რომელიც მას გარეშე მტრებისაგან დაცავს,

5. თუ იმერეთში რაიმე მადანი გამოჩნდება, მეფეს მისი დამუშავებიდან განსაკუთრებული წილი მიეცემა,

6. მეფეს მიეცემა აგრეთვე სამეფოს შემოსავლის ერთი წილი,

7. მეფე დაემორჩილება იმპერატორის მიერ დანიშნულ მთავარგამგებელს,

8. მეფე ააგებს ყაზარმებს რუსული ჯარისათვის,

9. და ზომიერ ფასებში მას სანოვაგეს მისცემს,

10. აღმოჩენილ მადანთა დამუშავებისათვის მეფე მისცემს მუშებს, ხელფასს, რომელიც სამთო მართველობის მიერ იქნება, განსაზღვრული.

11. შავსლვაზე გემთა აშენებისათვის მეფე უფასოდ ტყეს მისცემს,

12. მეფე ლეჩხუმზე უარს ამბობს,

13. მეფეს გაიყვანს და უზრუნველჰყავს ზებებს,

14. მეფის მემკვიდრე კონსტანტინეს მიეცემა სამმართველო საკუთრებად მისი საუფლისწულო,

15. მეფეს ზომები უნდა მიეღოს, რათა მემკვიდრე არ გამდგარიყო და რუსეთის წინააღმდეგ არ წასულიყო,

16. მეფე უარს ამბობს რუსულ საქონელზე ბაჟი დაადოს, მაგრამ ერთი ნაწილი საბაჟო შემოსავალიდან მეფეს უნდა მისცემოდ,

და 17. იკრძალებოდა იმერეთიდან ქართლ-კახეთში მცხოვრებთა გადასახლება და იქიდან აქეთ გადმოსახლება მთავარმართებელის ნება დაურთველად.

ოთხ ევლის 1804 წ. რუსეთის იმპერატორმა იმერეთის მეფეს აცნობა, რომ იგი მას თავის მფარველობაში ღებულობს და ყველა მის სათხოვარ მუხლს ამტკიცებსო. ამის მიუხედავად, იმერეთის სამეფო მოსპობილ იქმნა 1810 წელს.

რუსეთ - იმერეთის შეთანხმების მიხედვით, გურია იმერეთში შემავალ მხარედ იქმნა აღიარებული. მაგრამ რუსეთის მთავრობის წარმომადგენელმა გურიის მთავარ მამიას კაცები მიუჩინა და მას იმერეთისაგან დამოუკიდებლად რუსეთის მფარველობა მოათხოვინეს. მაგრამ მას შემდეგ მხოლოდ, რაც რუსებმა სოლომონ მეორე იმერეთის ტახტიდან გადააგდეს, მამია გურიელმა, 10 მაისს 1810 წელს, რუსეთის მფარველობა ითხოვა და თავისი სათხოვარი მუხლები წარადგინა, რომელიც იგივეა, რაც მეფე სოლომონისა და დადიანისა. განსხვავებაა მხოლოდ მეთორმეტე მუხლში, რომლითაც მოთხოვნილია სანავთსადგურო ბაჟის ერთი მეოთხედი. მამია გურიელს ეს თხოვნა რუსეთის იმპერატორმა დაუმტკიცა და მან გურიელი და მისი მემკვიდრენი სამუდამო მთავრებად გურიაში აღიარა. მაინც გურიის სამთავრო გაუქმებულ იქმნა 1828 წელს.

აფხაზეთის მთავარს რაღა დარჩენოდა! მასაც უნდა შესაფერი წაბიჯი გადაედგა. და მთავარმა გიორგი შარვაშიძემ განაცხადა სურვილი რუსეთის მფარველობა მიეღო, და მანაც წარადგინა სათხოვარი მუხლები, რომელიც დანარჩენთაგან არაფრით არ განსხვავდება. 9 აგვისტოს 1810 წ., რუსეთმა თავის მფარველობაში მიიღო აფხაზეთის სამთავრო და მთავარმა იმპერატორს ერთგულება შეჰპიცა. აფხაზეთის სამთავრო გაუქმებულ იქმნა 1867 წელს.

1833 წელს სადადეშქელიანო სვანეთმაც მიიღო რუსეთის მფარველობა, ხოლო თავისუფალმა სვანეთმა კი 1840 წელში. 1858 წ. სვანეთის თვითმართველობა გაუქმებულ იქმნა.

ეს ხელშეკრულებანი, რომელიც ქართულმა სამეფოებმა და სამთავროებმა რუსეთთან დასდევს საერთაშორისო ხასიათისა იყვნენ. რუსეთის იმპერატორი თავის თავზე ღებულობდა სუბრენული ხელშეწყობის უფლებასა და მოვალეობას, ხოლო ქართველი მეფენი და მთავარნი ხდებოდნენ ვასალური უფლებითა და მოვალეობით იმპერატორზე დაქვემდებარებული.

რუსეთ - საქართველოს საკითხს შეეხო არა ერთი და ორი ევროპიელი იურისტი და მათ შორის კიდევ უკანასკნელად, პარიზის უნივერსიტეტის პროფესორი იურისტი (1933 წელს) —

„საერთაშორისო თვალსაზრისით, ამბობს პროფ. ლე ფურ, რუსეთის მიერ მოხდენილ ანექსიას ის ფაქტიური შედეგი ჰქონდა, რომ საქართველომ დაპყარვა საერთაშორისო უფლების პიროვნების ღირსება. სახელმწიფოთა წარმოშობა და გაქრობა პოზიტიური საერთაშორისო უფლების შეხედულებით, არიან მარტო ფაქტები, რომელთაც იგი აღნუსხავს მხოლოდ. მაგრამ ფრიად მნიშვნელოვანია საქართველოსათვის ის მოვლენა, რომ მიუხედავად ფაქტიური მდგომარეობისა, მან შეინახა თავისი იურიდიული სახე დამოუკიდებლობისა, — სახელმწიფო შეიძლება აღარ არსებობდეს როგორც ასეთი, მაგრამ მას შეუძლია აღსდგეს, და მაშინ დიდი მნიშვნელობა ექნება იმას, რომ საშუალება აქვს დაამტკიცოს თავისი უფლების გაგრძელება. (იხილეთ რივიერ, გვ. 95 და სხვა). მაშინ დაისმება საკითხი არა ახალი სახელმწიფოს შექმნისა, არამედ წინად არსებული სახელმწიფოს აღდგენისა, რასაც იე-ლლანეკ სრული სისწორით უწოდებს „საერთაშორისო იურიდიული პიროვნების აღდგენას“ (დას ვიდერა-

უფლებენ აინერ ფოელკერრეტლი-  
ჰენ პერზონლიკაიტი). სწორედ ასე  
მონხა საქართველოსათვის, რომელ-  
მაც თავისი დამოუკიდებლობა გამო-  
აცხადა“-ო.

(წერილი მესამე)

პირველი მსოფლიო ომის დროს,  
როდესაც რუსეთის იმპერია რევოლუ-  
ციის ქარცეცხლმა მოიკვია და მოსკო-  
ვში ბოლშევიკური ხელისუფლება  
მყარდებოდა, ვახრწილმა რუსულმა  
ჯარმა მიატოვა კავკასიის ფრონტი  
თურქეთის წინაშე და კავკასია თურ-  
ქული ოკუპაციის საფრთხის წინაშე  
დადგა. ამიერკავკასიამ დამოუკიდე-  
ბლობა გამოაცხადა, მაგრამ მან თა-  
ვის დაცვა ვერ შესძლო და ამ ნია-  
დაგზე დაირღვა კიდევ, მაშინ საქარ-  
თველომ თავისი სახელმწიფოებრივი  
დამოუკიდებლობა გამოაცხადა და  
იგი შემდეგნაირად დაასაბუთა —

„მრავალ საუკუნეთა განმავლობა-  
ში საქართველო არსებობდა როგორც  
დამოუკიდებელი და თავისუფალი  
სახელმწიფო.

„მეთვრამეტე საუკუნის დასას-  
რულს, ყოველ მხრით მტრისაგან შე-  
ვიწროებული საქართველო თვისი  
ნებით შეუერთდა რუსეთს იმ პირო-  
ბით, რომ რუსეთი ვალდებული იყო  
საქართველო გარეშე მტრისაგან და-  
ეცვა.

„რუსეთის დიდი რევოლუციის  
მსვლელობამ რუსეთში ისეთი შინა-  
განი წესწყობილება შექმნა, რომ  
მთელი საომარი ფრონტი დაიშალა  
და რუსის ჯარმაც დასტოვა ამიერ-  
კავკასია.

„დარჩნენ რა თვისი ძალღონის  
ამარად, საქართველომ და მასთან ერ-  
თად ამიერკავკასიამ თვით იდგეს  
თავს საკუთარი საქმეების გაძლოლა  
და პატრონობა და შესაფერი ორგა-  
ნოებიც შექმნეს, მაგრამ გარეშე და-  
ლთა ზეგავლენით ამიერკავკასიის  
შემაერთებელი კავშირი დაირღვა და  
მით ამიერკავკასიის პოლიტიკური  
მთლიანობა დაიშალა“...

აქ ჩვენ ვხედავთ, საქართველოს  
დამოუკიდებლობის გამოცხადება და-  
საბუთებულია არსებითად რუსეთ-  
ქართლ - კახეთის ხელშეკრულების  
მიხედვით (1783 წ.).

—1918 წლის 26 მაისს, საქართვე-  
ლოს დამოუკიდებლობის გამოცხა-  
დების აქტი დაყრდნობილი არის 1783  
წლის ტრაქტატზე.

ამ აქტში ნათქვამია —

„საქართველო თვისი ნებით (!) შე-  
უერთდა რუსეთს იმ პირობით, რომ  
რუსეთი ვალდებული იყო საქართვე-  
ლო გარეშე მტრისაგან დაეცვა“-ო.  
მაგრამ 1918 წელში საქართველოდან  
მოიხსნა რუსული ჯარი და კავკასი-

ური ფრონტი თურქეთის წინაშე გა-  
შიშვლებული აღმოჩნდა. — და ამ  
მოვლენას აღნიშნავს 1918 წ. 26 მა-  
ისის დამოუკიდებლობის აქტიც —  
„რუსეთის დიდი რევოლუციის  
მსვლელობამ რუსეთში ისეთი შინა-  
განი წესწყობილება შექმნა, რომ  
მთელი საომარი ფრონტი დაიშალა  
და რუსის ჯარმაც დასტოვა ამიერ-  
კავკასია“-ო.

ქართველი იურისტები, რომელ-  
თაც ეს კული შესავალი დამოუკიდე-  
ბლობის აქტისათვის შეადგინეს, ფი-  
ქრობდნენ, მისთვის საერთაშორისო  
ხასიათი მიეცათ და დარღვეული  
ტრაქტატის (1783 წ.) ძალა გამოე-  
ყენებინათ, მაგრამ ეს მოსაზრება მი-  
საღები არ გახდა, მაგალითად, გერ-  
მანიის საგარეო სამინისტროს იური-  
სტებისათვის. გერმანიის საგარეო სა-  
მინისტროს საუფლებო განყოფილე-  
ბის უფროსი დრ. კრუგე ამბობდა —  
გერმანიას არ შეუძლია საქართვე-  
ლოს დამოუკიდებლობა სცნოს დე-  
იურედ, სანამ თვით ბოლშევიკური  
რუსეთი მას არ იცნობს.

1918 წლის 17 აგვისტოს, ბრესტ-  
ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულების  
დამატებითი ხელშეკრულების ძალით  
ბოლშევიკური რუსეთი დასთანხმდა,  
გერმანიას საქართველოს დამოუკი-  
დებლობა აღეარებინა. ამით გზა გა-  
ეხსნა საქართველოს იურიდიული  
დამოუკიდებლობისათვის.

1918 წელს მაისში, როდესაც სა-  
ქართველოს თურქეთთან ომი ჰქონ-  
და, რუსმა ბოლშევიკებმა ვლადი-  
კავკაზში შეადგინეს ბოლშევიკური  
რახმები და დარიალის ხეობით სა-  
ქართველოს შემოუტყეს, მაგრამ ამ  
ცდამ მათ ფუჭად ჩაუარა.

1918 წლის ივნისში და ივლისში  
ბოლშევიკური დიდი ძალები სოჭისა  
და სოხუმის მხარეს მოადგნენ, მაგრამ  
ქართულმა ნაწილებმა, გენერალი მა-  
ხნიაშვილის მეთაურობით, ისინი სას-  
ტიკად დაამარცხეს, მათ ფეხდაფეხ  
მისდიეს და 27 ივლისს 1918 წელს  
ტუაფსე დაიპყრეს.

მაგრამ ამავე მხარედან, ცოტა ხანის  
შემდეგ ბოლშევიკები შესცვალეს  
თეთრგვარდიელებმა, რომელთაც  
უკვე ხელში ეჭირათ მთელი ყუბანის  
მხარე. თეთრგვარდიელები დიდი და-  
ლებით მოადგნენ ტუაფსის რაიონს  
და რადგან აქ ქართველების მხრივ,  
მხოლოდ 300 ჯარისკაცი იმყოფე-  
ბოდა, ამათ სოჭისაკენ დაიხიეს.. სო-  
ჭის რაიონის მოსახლეობა იძულები-  
თი არჩევანის წინაშე დადგა — ან  
თეთრგვარდიელებს უნდა მიმხრო-  
ბოდა იგი, ან საქართველოს უზენა-  
ესობა მიეღო; სოჭის მოსახლეობა  
უკანასკნელ გადაწყვეტილებას და-

დგა და საქართველოს სთხოვა დახმ-  
რება თეთრგვარდიელთა წინააღმდეგ,  
საქართველოს მთავრობამ სოჭის მო-  
სახლეობის სურვილი გაიზიარა და  
განაცხადა — სანამ საზღვრების სა-  
კითხი საბოლოოდ გამოირკვეოდეს,  
საქართველო სოჭის რაიონის მფარ-  
ველობას კისრულობს.

ამ ამბავმა თეთრგვარდიელთა შო-  
რის აღშფოთება გამოიწვია. თეთრ-  
გვარდიელნი, რომელნიც ძველი რუ-  
სეთის აღდგენაზე ოცნებობდნენ და  
ერთა დამოუკიდებლობის პრინციპს  
სასტიკად უარსპყოდნენ, საქართვე-  
ლოს დამოუკიდებლობას, რასაკვირ-  
ველია, არა ცნობდნენ; და ამას ეხლა  
დაემატა კიდევ სოჭის მოსახლეობისა  
და საქართველოს გადაწყვეტილება!

ფართო ხასიათის შეტაკება საქარ-  
თველოსა და თეთრგვარდიელთა შო-  
რის დღედღეზე მოსალოდნელი იყო  
და ამიტომ საქართველოს მთავრობამ  
მშვიდობიან საშუალებას მიმართა,—  
მოლაპარაკების მეოხებით მათთან  
ერთგვარი კეთილი განწყობილება  
დაემყარებინა. ამის შედეგად, საქარ-  
თველოს საგარეო საქმეთა მინისტრი,  
ეგენი გეგეჭკორი, 25 სექტემბერს  
1918 წ. შეხვდა თეთრგვარდიელთა  
მოხალისე არმიის წარმომადგენელს,  
გენერალ ალექსეევს, რომელიც მაშინ  
თეთრგვარდიელთა არმიის მთავარ-  
სარდალი იყო.

გენერალმა ალექსეევმა არამცთუ  
არ იცნო საქართველოს დამოუკიდე-  
ბლობა, არამცთუ სოჭის მხარის დაცლა  
მოითხოვა, არამედ აფხაზეთსაც წაე-  
პოტინა და იგი რუსეთისათვის მოი-  
თხოვა!

მოლაპარაკება უშედეგოდ დასრუ-  
ლდა. და მალე მოხალისეთა ჯარებმა  
საქართველოს იარაღით შემოუტყეს  
... არა ერთჯერ და ორჯერ, ხან ხმე-  
ლეთით, ხან ზღვით. ქართული ერ-  
თეულები თავგანწირვით იბრძოდნენ,  
ხან წინსვლით, ხან უკანდახევით. ერთ  
ხანს ქართველები იძულებული გახ-  
დნენ მდინარე კოდესკიდან მდინარე  
ბზიბამდე დაეხიათ, მაგრამ შემდეგში  
ისევ შესძლეს წინსვლა და მდინარე  
მეხადირზე გამაგრება. ეს ამბავი მო-  
ხდა 1918 წლის ოქტომბერში.

ბოლშევიკებიც თავის მხრივ კიდევ  
არ ისვენებდნენ და სექტემბერში  
1918 წ. კვლავ დარიალის მხარედან  
შეუტყვევნ და ამასთანავე ლუშეთის  
მაზრაში გამოსვლებს აწყობენ. სა-  
ქართველოს ამ მხარიდან აწიოკების  
ცდაც მათ მეორედ ჩაეფუშათ.

როგორც თეთრგვარდიელები, ისე  
ბოლშევიკები საქართველოს თავს  
ესხმოდნენ, მაგრამ ყოველი მათი ცდა  
ქართული სახელმწიფოს წაქცევის  
წადლით ნაკარნახევი, მათთვის ყო-  
ველთვის დიდი მარცხით დასრულდა.

საქართველომ შესძლო მაშინ ამ ორი დაუძინებელი მტერის გალახვა და ალაგმვა.

როგორც უკვე მოვიხსენიეთ, ქართული სამხედრო ერთეულები მდინარე მენადირის პოზიციებზე იდგნენ რუსულ მოხალისეთა ჯარის მოპირდაპირედ. საქართველოს მთავრობამ კარგად იცოდა, რომ მოხალისე ჯარების მთავარსარდალი, ეხლა დენიკინი, მას მოსვენებას არ მისცემდა, — ამიტომ იგი სცდილობდა ინგლისელები დაეჯერებინა, საკითხის საბოლოო გამოჩვევამდე, ამ მხარეში ნეიტრალური ზონა შეექმნათ. ინგლისელი გენერალის კორის ჩარევით, მართლაც, ასეთი უზრუნველყოფილი სარტყელი დაწესდა, და ამის მიხედვით, ქართულ ჯარებს მდინარე ბზიბამდე უნდა დაეხიათ. ინგლისელები თავის მხრივ საქართველოს დაჰპირდნენ, რომ დენიკინელები ამ სარტყელს დაიცავდნენ, მაგრამ ეს დაპირება. ცარიელი სიტყვა აღმოჩნდა, და რუსული ჯარები ქართულ მცირე ნაწილებს მოულოდნელად თავს დაესხნენ და ვაგრის რაიონი დაიჭირეს. საპასუხოდ, ქართველებმა შეუტიეს და 17 აპრილს 1919 წ. ვაგრა დაიბრუნეს. ამის შედეგად, 23 მაისს 1918 წ. თბილისში მოხდა მოლაპარაკება საქართველოს მთავრობისა და მოხალისეთა (დენიკინის) ჯარის წარმომადგენელთა შორის. ეს მოლაპარაკება მრავალ მხრივ იყო საინტერესო —



საქართველოს უკანასკნელი მეფე  
გიორგი მეცამეტე  
(1746 — 1800)

1. მოხალისეთა არმიის წარმომადგენელად თბილისს მიბრძანდა ინგლისელი გენერალი ბრიგს, რომელიც ინგლისის წარმომადგენელად მოხალისეთა არმიასთან იყო; 2. რუსები მოიხზოდნენ აფხაზეთს და ამტკიცებდნენ, რომ აფხაზეთს საქართველოსთან შეერთება არა სურსო; 3. დენიკინი საქართველოს დამოუკიდებლობას არა სცნობდა. ამის მიუხედავად, დაბოლოს მაინც, საქართველოსა და რუსულ მოხალისეთა ჯართა მიერ დაკავებულ ტერიტორიას შორის ნეიტრალური სარტყელი დაწესდა. ამ ნეიტრალურ ნაწილად გამოიკხადა სოჭის მხარე. მაგრამ სინამდვილეში ეს ნეიტრალობა არ არსებობდა, რადგან მალე ინგლისელებმა ამ მხარის პატრონობა დენიკინელებს ჩააბარეს. ოღონდ ეს პატრონობა დიდ ხანს არ გაგრძელდებულა — სოჭის მხარეში აჯანყება დაიწყო მოხალისეთა არმიის წინააღმდეგ. ეს მოხდა 1920 წლის იანვარში. ეს ის დროა, როდესაც თეთრჯვარდიელებს ბოლშევიკები მეტად აწუხებენ და დამარცხებისაკენ მიარბენინებენ.

1920 წლის აპრილში თეთრჯვარდიელთა არმია ბოლშევიკებმა გაა-

ნადგურეს და რუსული მოხალისეთა არმიის ისტორიაც დასრულდა. სამაგიეროდ, საქართველოს საზღვრებს წითელი ჯარები მოადგნენ და ბოლშევიკური რუსეთი საქართველოს რესპუბლიკის უშუალო მეზობელი გახდა.

1920 წლის აპრილის 29-ს აზერბაიჯანის რესპუბლიკა რუსულმა წითელმა ჯარებმა დაიკავეს. რუსული ჯარების ნაწილმა საქართველოსაკენაც გამოილაშქრა და სამი დღის შემდეგ, 1 მაისს 1920 წელს, საქართველოს საზღვრებს მოაწყდა. რუსული წითელი კავალერია ქართულ ნაწილებს თავსესმის 2 მაისს, წითელ ხილთან. რუსულმა ქვეითმა ჯარებმა და ჯავშნოსნებმა შეუტიეს ქართველებს ფოილოს ხილთან. ქართველმა ჯარებმა ეს თავდასხმანი მოიგერიეს და თვით გადავიდნენ შეტევაზე — რუსები გარეკეს საქართველოს საზღვრებიდან და თვით შეიჭრნენ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე და გასდიეს მტერს, რომელიც სასწრაფოდ უკან იხევდა. ეს ბრძოლანი გაგრძელდნენ 12 მაისამდე. ბოლშევიკები დამარცხდნენ და 16 მაისს 1920 წ. საქართველოს მთავრობამ ხელშეკრულება


დასდო აზერბაიჯანის ბოლშევიკურ მთავრობასთან. ეს საზავო ხელშეკრულება იმ მოვლენამ დააჩქარა, რომ ქალაქ განჯაში ბოლშევიკების წინააღმდეგ აჯანყება დაიწყო...

აი, ასეთ პირობებში გრ. ურატაძემ ხელ მოაწერა მოსკოვში ბოლშევიკურ რუსეთთან ხელშეკრულებას, რომლის ძალით რუსეთმა 7 მაისს 1920 წელს საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობა აღიარა.

მუხლი პირველი 1920 წლის 7 მაისის საქართველოს და რუსეთის ხელშეკრულებისა —

ეყრდნობა რა რუსეთის სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკის მიერ ყველა ხალხისათვის აღიარებულ თვითგამორკვევის უფლებას იმ სახელმწიფოსაგან სრულ ჩამოშორებამდე, რომლის ნაწილსაც ისინი შეადგენდნენ, რუსეთი სცნობს საესებით საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობასა და სუვერენობას, და ნებაყოფლობით ხელს იღებს ყველა იმ სუვერენულ უფლებებზე, რომელნიც ეკუთვნოდნენ რუსეთს ქართველი ხალხის და საქართველოს ტერიტორიის მიმართ.

მუხლი მეორე. ეყრდნობა რა ამ



1798 წ. 11 იანვარს ქ. თელავში, ღრმად მოხუცებული ერეკლე მეფე გარდაიცვალა და ტახტზე გიორგი მეცამეტე ავიდა. სამწუხაროდ, ეს მეფე არაფრით ჰკავდა დიდებულ მამას, და მისი სიმტკიცე და მხნეობა, რაიც ეხლა სპარსეთისაგან დარბეულ სამეფოს ასე სჭიროდა, გიორგის სრულიად არ გააჩნდა...

ეხლა საქართველოს მცველი აღარ ჰყავდა. ერეკლეს „მორიგი ჯარი“ ქვეყანას აღარ გააჩნდა, ხოლო რუსეთმა კი 1783 წ. ტრაქტატი ამჟამად დაარღვია და პავლე პირველმა ზუბოვის რაზმები უკან გაიწვია.

ამრიგად, მეფეს ტახტისა და ხალხის დასაცავად არც საკმაო ავტორიტეტი ჰქონდა და არც რაიმე რეალური ძალა. ამიტომ იგი ლეკების დაქირავებული ძალებით შეეცადა ამ ჩიხიდან გამოსულიყო და გამდგარ ბატონიშვილებს მანაც გამკლავებოდა. მაგრამ სამეფოს ხაზინა აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის შემდეგ სავესებით დაცლილი იყო, ახტალის ვერცხლის მადნები დაქცეული და ლეკთა რაზმებისათვის ქირის მიცემა გასჭირდა.

გიორგი მეფემ, დაინახა რა — რომ რუსეთს მამის მიერ დადებული ხელშეკრულება უკვე აღარ აინტერესებდა, და ის არც აღთქმულ ორ ბათალიონს, არც საჭურველს და საქართველოსათვის საგანგებოდ ჩამოსხმულ ზარბაზნებს გზავნიდა —, არჩია ისევ აღმოსავლეთისაკენ ებრუნა პირი. ამიტომ მან დესპანები გაგზავნა ოსმალეთს და სპარსეთს, რათა ძველი ურთიერთობა ამ გადაკიდებულ მეზობლებთან კვლავ აღედგინა.

მაგრამ მოულოდნელად პეტერბურგმა საქართველოსა და აღმოსავლეთის გზებისადმი ისევ გამოიჩინა ინტერესი და მეფესთან დავით ბატონიშვილი წარმოგზავნა. გიორგის, ღრმა მორწმუნეს, ერთბაშად გაუცოცხლდა იმედები საქრისტიანო დიდ იმპერი-

ისადმი და აღმოსავლეთისაკენ გაგზავნილი დესპანები გზიდან უკან დააბრუნა.

დავით ბატონიშვილს ამბები მოჰქონდა, რომ რუსეთი 1783 წლის ტრაქტატს ისევ სცნობდა.

მართლაც, 16 — 4 — 1799 წ. საქართველოში ორი ბათალიონი ჯარი გამოიგზავნა და რუსეთის მინისტრად სამეფოს კარზე კოვალენსკი დაინიშნა. საქართველოს მეფეს მოუვიდა აღთქმული ინვესტიტურები და საგანგებო ღრამოტა, რომლის ძალით დავით ბატონიშვილი მემკვიდრედ ცხადდებოდა.

თითქმის ყველაფერი გიორგი მეფის სასარგებლოდ შებრუნებულიყო, მაგრამ ეს მხოლოდ გარეგნულად.. არსებითად კი რუსეთი ეხლა უფრო გაბედვით დაადგა თავისი ზრახვების ასრულებას, რასაც ერეკლეს დროს ის მორიდებით ვერ ამჯღავნებდა...

იმპერიის გეგმა იყო: საქართველო კიდევ უფრო დაესუსტებინა; ფორმალურად დახმარება — მფარველობას დაჰპირდებოდა და მით მაჰმადიანი მეზობლებს მის საწინააღმდეგოდ უფრო აეგულიანებინა, ხოლო კრიტიკულ მომენტში იქედან ჯარი გამოეყვანა და საქართველო მტერთა ანაბარად დაეგდო.. და ამრიგად დასუსტებულ სამეფოს ხელში ჩაგდება რუსეთს უფრო ადვილად შეეძლო. ეხლა დიდი ძალების მუდმივად საქართველოში დაბანდება მას აღარ ეჭირვებოდა: რუსეთს 1783 წ. შემდეგ — ვით მოკავშირეს — დარი-ალის კარები ღია ჰქონდა.

პოტიომკინის ცნობილ ინსტრუქციას პავლე პირველი ეხლა სხვა სიტყვებით უმეორებდა კავკასიის ხაზის მმართველს კნორინგს: „საქართველოს დახმარება დაჰპირდით და თავი ისე მოაჩვენეთ, თითქოს მართლაც ვეხმარებით, მაგრამ ჩვენი ძალები კი შეინახეთ და მისთვის არ გასწიროთ“—ო... (იხილეთ დუბროვინი).

ამ ხანებში (1799 წ. ოქტომბერში) პავლემ თვისი რწმუნებული კამერჰერი მუსინ - პუშკინი გამოგზავნა ვითომ სამეფოს მადნეულობათა გამოსარკვევად, ხოლო ნამდვილად კი საქართველოზე დაპატრონების გეგმის წარსადგენად. მუსინ-პუშკინმა წინადაც იკოდა საქართველოს ამბები და სწამდა, რომ დიდ იმპერიის გასაგრძობად და მისი გეგმების განსამტკიცებლად, საქართველოს ხელში ჩაგდება უცილო და გარდაუვალ იყო. მხოლოდ ამით შეეძლო რუსეთს ინგლისისათვის კონკურენცია გაე-

წია და სპარსეთში და კასპიის ზღვაზე გაბატონებით, ინდოეთის მიღმარ სავაჭრო გზებზე გამოსულიყო. ამიტომ რუსეთს დაუწყინებელი უნდა ხელთ ევალ ეს უმდიდრესი და უმშვენიერესი ქვეყანა, რომელსაც დიდი სტრატეგიული, პოლიტიკური და ეკონომიური მნიშვნელობა ჰქონდა... (იხ. ბუტკოვი). ამავე დროს ის პავლე პირველს საიდუმლოდ აუწყებდა, რომ ეს საქმე, საბედნიეროდ, ეხლა ფრიად გაადვილებულია გიორგი მეფის განუკურნებელი სნეულების გამო. მეფე დღეს თუ არა, ხვალ თვალებს დახუჭავს და ამ დროს რუსეთს კარგად უნდა გამოეყენებინა ტახტის გამო სამეფო სახლში ატეხილი დავა.

რუსეთის სახელმწიფო საბჭომ მუსინ - პუშკინის რჩევა მიიღო და პავლე პირველი შეუდგა ამ მხაკვრულ გეგმათა განხორციელებას.

მაჰმადიანი მტრები ამ ცნობებმა უფრო გაააფთრა. შეიწროებულ საქართველოს ბაბა - ხანი აოხრებით ემუქრებოდა და მძევლად დავით ბატონიშვილს ითხოვდა; ახალციხის ფაშა უფრო აგულიანებდა ლეკებს და ოსმალეთიც მას მხარს უჭერდა. განმდგარი დარეჯან დედოფალი და მისი შვილები, ხედავდნენ რა რუსეთის საფრთხეს, მეფეს ეურჩებოდნენ და ამჟამად ებრძოდნენ.

ამ მძიმე დროში ორი ბათალიონი სამეფოს ვერას არგებდა და გიორგი მეფემ ახალი ჯარების და ზარბაზნების გამოგზავნა ითხოვა.

რუსეთმა სამეფოს ამ გაჭირვებით ისარგებლა და დახმარების მაგიერ, ლაზარევის პირით დემუქრა, რომ იმ ორ ბათალიონსაც უკან გაიყვანდა. სნეულსა და უძლურს მეფეს ეხლა სხვა რამ იმედი აღარ დაშთენოდა და მუსინ - პუშკინის და კოვალენსკის რჩევას ის ნებას დაჰყვა და პეტერბურგს მეტი უფლებების დათმობა აღუთქვა.

მეფემ „თხოვნითი პუნქტები“ შეადგინა და საიდუმლოდ პავლე პირველს აახლა. ამ თხოვნის ძალით ის რუსეთის სასარგებლოდ თითქმის ყველა უფლებებზე ხელს იღებდა, თავს ვასალად აცხადებდა და მხოლოდ ტახტის დატოვებას ითხოვდა. მეფობა ბაგრატიონთა ოჯახში უნდა მემკვიდრეობით დაშთენილიყო. ამრიგად, სუვერენობის დათმობით, მეფე რუსეთის გულის მოგებას და რეალურ დახმარების მიღებას ლამობდა. პავლე პირველმა ეს წინადადება სიამოვნებით მიიღო და ფორმალურად შესასრულებლად მეფისაგან საგანგებო რწმუნებულების წარმოგზავნა და აქტზე რეალის მოწერა მოით-

ხელშეკრულების პირველ მუხლში განცხადებულ პრინციპებს, რუსეთი ვაძლდებულებას იღებს თავი დაიჭიროს საქართველოს შინაურ საქმეებში ყოველგვარი ჩარევისაგან.

როგორც რუსეთის თეთრმა მეფეებმა, იმპერატორებმა არ შესრულეს თავისი სიტყვა და თავის ხელისმოწერას პატივი არა სცეს, ისე წითელმა მეფეებმა, კრემლის ბატონებმა არ გაანადღეს თავისი სოციალისტური სიტყვა და არა სცეს პატივი თავის ხელის მოწერას...



ხოვა. ამ მიზნით მან საქართველოს ელჩები უკან, თბილისს გაგზავნა.

მაგრამ საყურადღებო ის იყო, რომ ამავე დროს პავლე პირველმა კნორინგს საიდუმლო ინსტრუქცია გაუგზავნა: მას უნდა საკმაო ჯარები მიეზიდებინა საქართველოს საზღვრებისაკენ, მეფე გიორგის მიცვალებილსთანავე ეს ჯარები მთლიანად უნდა შეეყვანა და არავითარ შემთხვევაში საქართველოს ტახტზე არც დავით და არც რომელიმე სხვა პრეტენდენტი არ უნდა აეშვა. ამ სამზადისის შემდეგ, 18 — 12, პავლემ პეტერბურგში საქართველოს სრული შეერთების მანიფესტს ხელი მოაწერა იმ იმედით, რომ მეფე გიორგი უკვე მიცვალებულ უნდა ყოფილიყო... კნორინგს ამ მანიფესტის პირი გაეგზავნა და ებრძანა: შეფის გარდაცვალებისთანავე ის ტფილისში გამოეჭყეყნებინა. მაგრამ მეფე ამ „რეკეპტით“ არ მიიცვალა და პეტერბურგს ანგარიშები აებნა. ეს მდგომარეობა კნორინგმა უფრო კიდევ გაუართულა პეტერბურგს. თუმცა მას ნაბრძანევი ჰქონდა პავლე პირველის მანიფესტი საქართველოს შეერთებისა უეჭველად გამოცხადებინა თბილისში მაშინვე, როგორც კი მეფე „სკონჩაეტისა“-ო, მაგრამ კნორინგი დაიბნა და ეს ნაბიჯი ვეღარ გადადგა... რუსეთის ამ უერთგულეს მოხელესაც კი ვერ წარმოედგინა, რომ შესაძლებელი იყო 1783 წლის ტრაქტატის ასე ცალმხრივად და ერთის დაკრით გაუქმება. იქ ხომ ნათქვამი იყო, რომ რაიმე დამატება, ან ცვლილება მხოლოდ ორივე მოპირდაპირის თანხმობით უნდა მომხდარიყო და მინისტრი როსტოპჩინიც ამ „თანხმობის“ მისაღწევად ხელმეორედ უგზავნიდა მეფეს ავალიშვილსა და ფალავანდიშვილს. ეს ელჩები კი თბილისში ჩასული არ იყვნენ, როცა 28 — 12 — 1800 წ. გიორგი მეფე აღესრულა... და აღესრულა ისე, რომ „თხოვნითი პუნქტების“ საბოლოო რედაქციას ხელი ვერ მოაწერა.

კნორინგი ამან საგონებელში ჩააგდო და მან ბრძანებას გადაუხვია: 5—1—1801 წ. ის თავის გასამართლებელ მოხსენებით მიმართავდა პირადად ხელმწიფეს და ბოდიშს იხდიდა, რომ სამეფოს გაუქმების მანიფესტი ვერ გამოაქვეყნა თბილისში; ეს შეიძლებოდა მხოლოდ მაშინ, როცა დესპანებს (ავალიშვილსა და ფალავანდიშვილს) გადაეცემოდათ სათანადო „ღრამოტები“ მეფისა და ხალხისაგან, რომ მათ სურთ „იყვნენ ქვეშევრდომნი რუსეთისა“-ო. ამას შემდეგ ეს დესპანები, წარჩინებულთა დეპუტაციის თანხლებით, უნდა დაბრუნებულიყვნენ პეტერ-

ბურგში... აი, ამის გამო ვერ გავებდე გამომეჭყეყნებინა მანიფესტი, — „ვიღია, ჩტო დელო ონოე კონცა სვოეგო, სოობრაზხო პრედლოჟენიამ, ნე ვოსპრილო“... და საქართველოს ერი „ნე პრედვორენ“ თქვენი საბოლოო წადილის შესახებ, — რათა შეიქმნეს ის ძილებული რუსეთის მმართველობის ქვეშ“. ამას კიდევ იმ ცნობასაც ურთავს კნორინგი, რომ გიორგი მეფე ამ მოლაპარაკებას სრულიად საიდუმლოდ აწარმოებდა და არავინ, არც ერთმა მისმა ძმთაგანმა და არც თვითონ მემკვიდრე დავითმა მეფის ასეთი განზრახვის შესახებ არ იცოდნენ რა“-ო... (იხ. „აქტი არქეოგრ. კომ.“. ტ. 1. გვერდი 192).

ამ მარცხის გამო „შეერთების“ საქმე რუსეთმა იურიდიულად ბოლომდე ვერ მიიყვანა; მაგრამ ამ დამსახურებას მარტო კნორინგს ვერ მივაწერთ და მაშინდელ ქართულ დიპლომატიას ერთგვარ წინდახედულობას და შორსსწვრეტას უნდა ვუმადლოთ იმპერიის ეს მარცხი.

მასალებში ჩვენ ერთ პატარა ცნობას წვაფუცდით, რომელიც სათანადო ახსნას გვაძლევს ამ დიპლომატიური მარცხისად:

ლენერალი ლაზარევი კნორინგს მოახსენებს (3 — 1 — 1801), რომ როგორც კი თქვენგან მანიფესტი მივიღე, მინდოდა მეფის სიკვდილის შემდეგ გამოეჭყეყნებინა, მაგრამ ამავე დროს მოძივიდა დესპან ავალოვის ცნობა („სოობშენიე“), რასაც ორიგინალში აქვე გაახლებთო და რამაც იძულებული მყო შემეჩერებინა მანიფესტის გამოქვეყნებაო. მით უმეტეს, რომ თქვენგან გაფრთხილებული ვიყავ, ყველა საქმეთა გამო ავალოვთან ახლო ურთიერთობა მქონოდა“-ო...

ავალიშვილის ამ გაფრთხილებას ჩვენ, სამწუხაროდ, ვერსად შევხვდით; მაგრამ აშკარაა, ჩვენი დესპანები სათანადო პროტესტს განაცხადებდნენ და აჩქარებულ ლენერალს, „დროებითი მმართველობა“ რომ შეუქმნა საქართველოს, და თვისი თავი ამ მმართველობის თავჯდომარედ გამოაცხადა, ამ ფრიად „გატაცებულ“ ლაზარევს სათანადო ადგილი უჩვენებდა და ავალიშვილმა მას უკან დაახევინა. ჩვენმა დესპანებმა მას არა თუ მანიფესტის გამოქვეყნებაზე აალებინა ხელი, არამედ თვით ის „დროებითი მმართველობა“-ც გააუქმებინა, რომლის თავჯდომარედ ითვლებოდა ეს შამაცი ლენერალი, კნორინგის თანხმობით...

კიდევ მეტიც. დესპანებმა ის აიძულეს მმართველობა ბატონიშვილ დავითისათვის გადაეცა... ლაზარევი კნორინგის წინაშე ბოდიშსაც იხ-

დის — არავითარი დროებითი მმართველობა მე აქ არ შემეძენიაო, რაც იყო, უცვლელად იგივე დავტოვეო. ეხლა კი 14 იანვრისათვის დესპანებმა ყველა ბატონიშვილები და წარჩინებულები დაიბარეს მოსაღამარაკებლად, ვიდრე პეტერბურგში დაბრუნდებოდნენო.

ჩვენ ვხედავთ, რომ ქართულ დიპლომატიას ბოლომდე ცდა არ დაუკლია, მაგრამ საკითხს საბოლოოდ რეალური ძალა სწყვეტდა და აქ ალალი სამეფო დიდ იმპერიის წინაშე სუსტი იყო. მაგრამ მეფის ადრევე გარდაცვალებამ და ავალიშვილის საქმეში ჩარევამ იმ ხანად მინც გამარჯვება მიანიჭა საქართველოს დიპლომატიას და მან მომხდარ ფაქტების გაუქმებასაც მააღწია. დროებითი მართველობის ნაცვლად, ქართული სამეფოს სათავეში შემკვიდრე მოექცა რეგენტის უფლებით. ამას მეორე ნაბიჯიც რომ მოჰყოლოდა და დავითს სოლომონ ლეონიძის რჩევით, გვირაგინი დაედა და ინვესტიტურებისათვის არ ეცადა, სამეფო იმ ხანად მაინც გადაურჩებოდა ხიფათს. მაგრამ კნორინგმა საიდუმლო ინსტრუქციის მეორე მუხლი მოკარბებით აუსრულა პავლე პირველს: მან დიდძალ ჯარს მოუყარა თავი და მიუხედავად მრავალ დაბრკოლებათა და დიდ თოვლისა, ეს ჯარი მთლიანად შეიყვანა საქართველოში, როგორც კი მეფის სიკვდილი გაიგო. ბატონიშვილ დავითს ამ ჯარის საწინააღმდეგო ძალები აღარ გააჩნდა და იძულებული გახდა კნორინგს - ლაზარევის „რჩევათვის“ შეტი ყური ეთხოვებინა.

დავითი მაინც მხნეობდა და ავალიშვილი და ფალავანდიშვილი, ვით საკუთარი დესპანები, ხელახლა აფრინა პეტერბურგს „გაუგებრობათა“ გამოსარკვევად და თან კერძო წერლებითაც სთხოვა ლაშქარაშვილს, დახმარებოდა ამ ძძიმე დროს; აკი მამას „თხოვნითი პუნქტებში“ სამეფოზე არასდროს აუღია ხელი და სამედიწვილოდ უახდერდა ბაგრატიონთა ტახტი თვის შემკვიდრეთ... მაშ ეს „მანიფესტი“ რუსეთთან შეერთებისა რამ და საიდან წარმოშვა? ეს კითხვები დავითის ელჩებს პეტერბურგში უნდა გამოერკვიათ, მაგრამ ეხლა ამათ ვეღარც პავლე პირველს ჩაუსწრეს ცოცხალს. 13 მარტს 1801 წ. რუსთა ხელმწიფე მოაშთვეს. მაგრამ „ფაქტები“, ძლიერი, საიმპერიო მნიშვნელობის ფაქტები უკვე დროზე შეექმნა რუსეთს და დავითის ელჩების ამოცანა განწირული იყო.

უკვე 18 — 1 — 1801 წ. პეტერბურგში საქართველოს სამეფოს გა-

უქმების მანიფესტი იყო გამოქვეყნებული. საქმის ხელახლა შებრუნება ძნელი შეიქმნა, თუმცა არც საქართველოს ელჩები, არც პეტერბურგში მყოფი ბატონიშვილები, არც მათი დამხმარე ლაშქარაშვილი ცდებს და ზრუნვას არ აკლებდნენ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ დიპლომატიურ მუშაობაში ღენერალი პეტრე ბაგრატიონიც მათ ხელს უმარტავდა.

საქმე იქამდე მივიდა, რომ საქართველოს საკითხი „არაოფიციალურმა კომიტეტმა“ ახალ ხელმწიფის, ალექსანდრე პირველის ლიბერალიზმის გამოცდის საკითხად დასვა... საქმე ერთხელ კიდევ შებრუნდა, პავლეს მანიფესტი განზე გადაიხდო და სახელმწიფო საბჭო საკითხის ხელახლა შესწავლას შეუდგა. ახალმა მონარხმა დიდი რყევა განიცადა... ესეც უკვე ერთგვარი ნაბიჯი იყო ქართული დიპლომატიის მეოხებით წინ გადადგმული... მაგრამ ყველაფერი ეს იყო უკვე გვიან — საქართველო რუსეთს მაგრად დაეჭირა ხელში და რუს სანოვნიკებს სათანადო პოსტები უკვე დაენაწილებინათ. „არაოფიციალურმა კომიტეტმა“, ჩარტორიჟისკის, ვორონკოვის, კოჩუბეის და სხვათა მეთაურობით, მაინც მხნე და კეთილშობილურად დაუჭირა მხარი ქართველ ემიგრანტებს, მაგრამ საქათველოს სამეფოს აღდგენა მომხდარ ფაქტების შემდეგ შეუძლებელი შეიქმნა.

სახელმწიფო საბჭომ ალექსანდრეს ურჩია — საკითხის გამოსარკვევად, მკოდნე პირის ადგილობრივ გაგზავნა. კნორინგს საქართველოში მიუდგომელი ცნობები უნდა შეეკრიბა და ამ მასალის შესწავლის შემდეგ, ორ მთავარ საკითხზე გაეცა პასუხი: 1. მართალია, რომ მთელ საქართველოს სწადია რუსეთთან საბოლოო შეერთება და 2. შეუძლია თუ არა საქართველოს საკუთარის ძალებით თავის დაცვაო.

საქართველოს მტრის კნორინგის წარგზავნა უკვე წინასწარ სწყვეტდა ამ ორ საკითხს.

კნორინგმა საქართველოში ჩასვლისათანავე დავით ბატონიშვილს „ყოველი უფლება მიუღო“, სამეფოს ყოველი ფუნქციები გააუქმა, ყველს ამ პოლიცია ჩააყენა და მთელი ძალაუფლება ღენერალ ლაზარევს გადასცა. მან ავალიშვილის წყალობით გაუქმებული „საქართველოს სამეფოს დროებითი მმართველობა“ კვლავ აღადგინა და ღენ. ლაზარევი ამ მმართველობის „თავჯდომარედ“ დანიშნა. აქ კნორინგმა სომხურსა და გან-

მდგარ წრეებში ვითომდა ცნობები „მოაგროვა“ და მალე რუსეთისათვის სასურველი პასუხით უკან, პეტერბურგს დაბრუნდა. ეს „ცნობები“ მან ალექსანდრე პირველს წარუდგინა და სახელმწიფო საბჭომ 8 — 8 — 1801 წ. თვის ისტორიულ სხდომაზე საქართველოს საკითხი საბოლოოდ გაარჩინა და, თანახმად მუსინ-პუშკინის ახალ დაქინებითი რჩევისა, საქართველოს შეერთება უცილოდ სცნო.

ალექსანდრე პირველმა 12 — 9 — 1801 წ. ეხლა უკვე მეორე და ვრცელი მანიფესტით აუწყა ქვეყანას, ამ უძველეს სამეფოს გაუქმება და „თვით ქართველთა საბედნიეროდ“ მინი საბოლოოდ რუსეთის იმპერიასთან შეერთება.

აქ ჩვენ გვსურს სიიტყვა დავუთმოთ ჩვენს სახელოვან მკვლევარსა და მეცნიერს, პროფესორ ივანე ჯავახიშვილს. ჩვენი ისტორიკოსი სწერს, რომ ალექსანდრე პირველის მანიფესტში „ფარისევლურად იყო ნათქვამი, ვითომც ეს აქტი მხოლოდ საქართველოს კეთილდღეობის ძლიერი სურვილით ყოფილიყო ნაკარნახევი. ლამაზ სიტყვებს, რასაკვირველია, არ შეეძლოთ მაინც გაექარწყლებინა ის შთაბეჭდილება, რომ რუსეთის მთავრობის საქციელი შემადრწუნებელი უპირობა, ფიცისა და აღთქმის დარღვევა და ძალმომრეობა იყო და სხვა არაფერი.

ადვილი წარმოსადგენელია, რაოდენად თავზარდამცემი უნდა ყოფილიყო ეს ამბავი ქართველ მოწინავე, შეგნებულ წრეებისა და მთავრობისათვის. რაკი რუსეთის მთავრობამ იცოდა, რომ საქართველო ამის გამო აღმფოთებული იქმნებოდა, შვიდი თვის განმავლობაში ამ მანიფესტს საქართველოში არ აცხადებდა. ხოლო როდესაც მეტი დამალვა აღარ შეიძლებოდა და მისი გამოქვეყნება და ხალხის დაფიცება აუცილებელი შეიქმნა, მაშინაც ღენ. კნორინგს იმედი არა ჰქონდა, რომ ქართველები ნებაყოფლობით საკუთარ დამოუკიდებლობის მოსპობაზე თანხმობას განაცხადებდნენ და რუსეთს ქვეშევრდომობის ფიცს მიიღებდნენ. ამიტომ გადასწყვიტა ეს საქმე მოტყუებით და მუქარით მოეხერხებინა. მან დაჰპატიჟა გავლენიანი წრეები, თავადაზნაურობა და ქ. თბილისის მოქალაქენი და როდესაც ყველამ თავი მოიყარა, მან ბრძანება გასცა, რომ მათთვის საიერიშოდ განმზადებული („აკი მტურმო“) რუსის ჯარი შემოერთყუათ, მაშინდელი ერთ რუსული ცნობის მიხედვით, „ლომების ხანასავით განხმული იყო“ თურმე იქ ზარბაზ-

ნების პირი. გენ. კნორინგმა ამის მნახველს ხალხს წინადადება მისცა რუსეთის ქვეშევრდომობისა და ერთგულობის ფიცი მიეღოთ. ქართველობა გაცივებული და აღმფოთებული იყო ასეთი უმსგავსო საქციელით! მოწინავე წრითგან მრავალმა ისეთი გამბედაობა გამოიჩინა, რომ შემორტყმულ ჯარს არ შეუშინდა, ძალით ფიცი არ მიიღო და ეკლესიითგან გავიდა. მაშინ გენ. კნორინგმა ბრძანება გასცა, რომ უქმყოფლონი დაეჭირათ და ციხეში ჩაესვათ (ღუბროვინ, ისტორია ვიინი... ნა კავკაზე, 3. 444).

მაინც ბეგრისათვის იმდენად ძნელი წარმოსადგენელი იყო, რომ „ქრისტესმოყვარე“ რუსეთის ხელმწიფეებს ფიცისა და ხელშეკრულების დარღვევა შეეძლოთ და პატარა საქართველო „მფარველს“ მოკავშირეს ძალმომრეობით დაეპყრათ, რომ ეს ყველაფერი საქართველოში გამოგზავნილ რუს მოხელეთა პირადი თვითნებობა და მეტიჩრობა ეგონათ. ეს ქართველები დარწმუნებული იყვნენ, რომ საქართველოს უელახუდ უფლებათა და დამოუკიდებლობის აღსადგენად საკმარისი იყო მხოლოდ რუს ხელმწიფესათვის საქმის ნამდვილი ვითარება ეცნობებინათ (იქვე, 446). თვით პეტერბურგში მყოფი საქართველოს ელჩი გარს. ჭავჭავაძეც თუმცა აღმფოთებული იყო იმ გარემოებით, რომ მეფე გიორგის არც ერთი მონდობილობა და სურვილი ძსრულებული არ იყო, პირიქით, მეფობა მოსპეს და საქართველო საშინლად დაამცირეს, მაგრამ მასაც ეგონა, რომ ეს გენ. კნორინგის ცრუ ცნობებით სავსე მოხსენების წყალობით მოხდა და ვითომც საკმარისი იყო ქართველ ხალხს რუსეთის ხელმწიფისათვის თავისი ნამდვილი გულისწადილი ეცნობებინა, რომ მაშინვე ყველაფერი გამოსწორებულიყო (აკაგკ, 2. 304). გამოცდილებამ და რუსეთის მთავრობის პოლიტიკამ საქართველოში ნათლად დაამტკიცა ამ განუსაზღვრელი ნდობისა და გულუბრყვილობის სრული უსაფუძვლობა!...

ასე ამთავრებს ჩვენი სახელოვანი ისტორიკოსი თვის შრომას, რომელიც ამ 150 წლის წინ მომხდარ ამბებს უძღვნა და რომელიც მან საქართველოს დამოუკიდებლობის ხანაში დასწერა.

დიდი მკვლევარი მოწამე იყო საქართველოს სახელმწიფოს მკვდრეთით აღდგომისა... ისიც სხვა პატრიოტებთან ერთად იმ იმედით გადავიდა, რომ 26 მაისი არასდროს არ მოკვდება...  
აკაკი პაპავა



ბატონიშვილი ალექსანდრე და თეიმურაზი ერთ-ერთ წერილში დარეჯან დედოფალს სწერდნენ: „თქვენი შვილი ალექსანდრე და თქვენი შვილისშვილი თეიმურაზ ჩვენს მოწყალე ხელს ვაკოცებთ; ჩვენს ამბავს მოიხსენებთ; ღვთის მოწყალეობით, ყოვლითურთ მშვიდობით გახლავართ. ამას წინად ჩვენის ხელმწიფედან დიახ მძიმე ხალათები მოგვივიდა და დიდი მწყალობელი ბრძანდება ჩვენი; ჩვენი საქმეც ღვთის შეწევნით თქვენად გუნებად მოვა. ყოველსავე ჩვენს ამბავს თვითთულად საქარია გაამბობთ; რომელიც რომ წიგნება გეთხოვათ, ისიც მოვართვით“ და სხვა. აზის ბეჭედი ბატონიშვილთა (იხ. აქტები“, 2.).

აშკარა იყო, რომ მუხრანში ყოფნას დედოფალი არა სამკურნალოდ, არამედ სულ სხვა მიზნებისათვის იყენებდა. დედოფალს შეეტყო, რომ მისი პირში იმედი, იულონი სპარსეთს ეხლა საქართველოს მეფედ ეცნო ამიტომ საჭირო იყო დროს მოგება, დაცდა ვიდრე ალექსანდრე ბატონიშვილი სპარსთა დახმარებით შემოიჭრებოდა და იულონს ტახტზე აიყვანდა.

მდგომარეობა რუსეთისათვის სახიფათოდ ვითარდებოდა და დარეჯანის საქართველოში დატოვება, ერეკლეს ხსოვნას რომ ასე აცხოველებდა, შეუძლებელი იყო. და ციციანოვმა გადასწყვიტა მოხუცი დედოფალი მუხრანის სასახლიდან ძალით გამოეყვანა და გაეგზავნა ძლიერის კონვოის ქვეშ მოზდოკში, ცნობილ და მკაცრ კომენდანტ პროტოპოპოვისათვის მიეგვარა: ეს კი ბრძანებისამებრ პეტერბურგისაკენ ჩქარა გაისტუმრებდა „ჯიუტ დედოფალს“.

აი. აქედან იწყება მკაცრი შეტევა ციციანოვისა დედოფლის წინააღმდეგ: გადასახლების მძიმე ამოცანის შესრულება წინანდელ მწარე გამოცდილების გამო (დედოფალ მარიამისაგან გენ. ლაზარევის მოკვლის გამო), მხოლოდ ათასჯერ გაწრთენილს და სიმაძაქვე-ჭკუა-მახვილობაში ნაცადს, რუსთა ერთგულს, ლენერალ ორბელიანს მიანდობს:

ციციანოვი 10—9—1803 წ. უკანასკნელ წერილს (უკეთ — ბრძანებას) უგზავნის დარეჯანს და ურჩევს, სასწრაფოდ გაემგზავროს რუსეთს და სხვა და სხვა დაპირებებით ნულარ ცდილა დროს გადადებას, თორემ მთავარ მართებელი იძულებული გახდება ძალა იხმაროს და ისე გადასახლოს ის.. თუ მუხრანში წასვლა შესძელით, იქაც შესძლებთ წასვლასო...

ამაზე დედოფალი დარეჯანი მეორე დღესვე ვრცელის წერილით უპასუხებს და სთხოვს მისი მოხუცებულებისა და სნეულების გამო შეიწყალოს ციციანოვმა დიდი ერეკლეს ქვრივი და ერთ ხანს კიდევ დასტოვოს იგი თვის ქვეყანაში.. „ორჯერ ისე შევიქნე ამ სნეულებისაგან აქ ყოფაში“-ო, სწერდა დედოფალი ციციანოვს, „რომ სიკვდილს ცოტას მოვრი“-ო... „აღარ იქმნა ჩემი განკურნება და რა ვქმნა; ჩემი ბტრები, რომელნიც დიდ მარხვაში მოგახსენებდნენ — ავად არ არისო — ვიცი, არც ეხლა დაიშლიან ჩემს ბეზღებას. ღმერთმან ისე ამყოფოს თქვე-

ნი მტერიც და ჩემიც, როგორც მე ვარ — მეტად აღარ დავსწყვევლი — ესეც გებრძანებინათ: „მუხრანს წასვლა შეიძელით და რუსეთს წასვლასაც შეიძლებთო“; კარგად მოგეხსენებათ, დიახ სხვა და სხვა რიგი გზა არის თბილისიდან მუხრანი და მუხრანიდან პეტერბურგი“...

ბოლოს დედოფალი, ხედავს რა, რომ მისი მიწერ-მოწერა ალექსანდრე ბატონიშვილთან ციციანოვმა გამოამჟღავნა და გადასახლებას ამის გამო აჩქარებს, ცდილა ცოტა ოდენი დრო მაინც მოიგოს; და ამ დროში ვინ იცის — რა გართულება მოუხდეს რუსის ჯარს და მის ლენერალს საქართველოში, იქნება კიდევ მოასწროს მისნა ძემ, ალექსანდრემ საქართველოს დროშის აფრიალება და ბაგრატიონთა ტახტზე აბრძანება..

და დედოფალი ცდილა რუსეთის ხელმწიფეს მიმართოს საგანგებო თხოვნით და მისი პასუხის მოსვლამდე მაინც მოახერხოს მუხრანში დარჩენა, საითკენაც ფიცხელი შიკრიკები ბატონიშვილებიდან ახალ ცნობებს მოაქროლებდნენ.

„ამას ვითხოვ თქვენის ბრწყინვალეებისაგან დიდის ვედრებით“, განაგრძობს დედოფალი იმავე წერილში — „ეს მოწყალეობა მოილოთ ჩემზე, ჩემი მოხუცებულობაში მყოფი უძლურება შეიბრალოთ, „ბაშფორთი“ მიბოძოთ, რომ კაცი გავგზავნო — მის დიდებულებას უმდაბლესი არზა მივართვა და შევევედრო — მანამდი კი დამაცადოთ... კვლავადვე ცრემლით ვთხოვ ამ თხოვნის ასრულებას, რათა კაცის გაგზავნის ნებაც მომცეთ და მოსვლამდე მისსა კიდევ დამაცადოთ, რისათვისაც მადლობის გამო-თქმაც არ შემიძლება“... და სხვა. (იხ. დედოფლის წერილი 11—9—1803 წ. აქტები, ტ 2.).

დედოფლის შეიწროების ამბები ბატონიშვილებმა კარგად იცოდნენ და ისინიც თავიდანვე სცდილობდნენ, რითაც და როგორადაც კი მოეხერხებოდათ, მიხმარებოდნენ განაწამებ მოხუც დედას რუსეთთან ამ უსწორო ჩრძოლაში...

ბაგრატიონთა და დედოფლის მხარეზე იყო მხოლოდ სიმართლე, მაგრამ ძალა კი რუსეთსა და ციციანოვს ეპყრათ ხელთ. სიმართლის, სამართლის და დედებულის პირობის ეხლა რუსეთს აღარ ეშინოდა; ეს „სიფრთხილის“ ხანა მან უკვე განვლო: საქართველოში ეხლა აღარც მეფე იყო და აღარც ბაგრატიონები, მათი ერთგულებით, ხოლო ახალ არტილერიით შეჭურვილი რუსის-ჯარი კი ბლომად იდგა.

აბა, რალა საბოდიშო საქმე უნდა ყოფილიყო ამ დროს დედოფლის რუსეთში გარდასახლება?..

მაგრამ უცხოეთში გახიზნული ბაგრატიონები, მაინც არ ჰყრიდნენ იარაღს და დიპლომატიით და ხმალით სცდილობდნენ სამეფოს ოჯახის აყენებას, სახელმწიფოს აღდგენას...

იმ „მანიფესტის“ სიყალბე და ფარისევლობა, რითაც ალექსანდრე პირველმა მსოფლიოს 12 — 9 — 1801 წელს საქართველოს სამეფოს გაუქმება ამცნო, ხომ მაინც უნდა გაეგო მთელ ქვეყანას და რუსეთი 1783 წლის „ტრაქტატის“ დამრღვევად ელიარებინა. და ალექსანდრე

ბატონიშვილი რუსეთის ხელმწიფეს სწერდა: — დასამზობად კი არ შემოსულა ეს უძველესი სამეფო თქვენს საფარველში, არამედ შეწვევისათვის... „მამამან ჩემმან მეფემან ირაკლიმ შევედრა თავი თვისი იმპერატრიცა ეკატერინას, რათამცა დაიცვას სამეფო და სახლი თვისი გარემოთა თვისთა მტერთაგან; მხილველთა ამისა სპარსთა... მოვიდნენ და წარსწყვიტნეს ქალაქი ჩვენი — ტყვე ჰყვეს და იავარ ჰყვეს ქალაქი ჩვენი. შემდგომად ამისა მოვლოდა სახლი ჩვენი ნუგეშის ცემასა; — ვინათგან როსისა ხელმწიფისა, საფარველისა დადებისათვის წარსწყვიტნის ვიქნებით ჩვენ“. სწორედ თქვენთან ხელშეკრულების დადებისათვის სასიკვდილო ლახვარი ჩავგვცა 1795 წელს სპარსეთში.

... და აბა, სადღაა ეს აღთქმული მფარველობა საჩუქრისაო, ჰკითხულობს ბატონიშვილი; ეხლა ხომ, ერკლეს მიცვალების შემდეგ, სულ უარეს დღეში ჩავვაგდო რუსეთმა და „მფარველობის“ ნაცვლად, სამეფო მთლად გააუქმაო, — „ოდესცა იქმნა მეფედ ძმაი ჩვენი გიორგი, მსასოებელმა ქრისტიანებაგან ხელმწიფისა შევედრა თვისი სახლი, რათამცა დაიცვას მშვიდობასა შინა და არა განსრულიყო მეფობა სახლით ჩვენიო...“

„ყოვლად მოწყალე ხელმწიფე, ნაცვლად კეთილად დაცვისა, ესგვარი დაცვა მიიღო სახლმან ბაგრატიონთამან, რომ ერთიც ძე ბაგრატიონთა აღარა იპოვების საქართველოსა შინა და არა თუ უფლად, არამედ არცა-ცა თუ სახითა ერთისა კეთილშობილისათა... ასეთ ნაირად აღვიფხვრენით ქვეყნით ჩვენი, რომელსაცა შინა განვლო შთამომავლობამან ჩვენმან. ათას ორას ოც და თოთხმეტი წელნი მეფობისა შინა, რომელთაცა სისხლითა სყიდულ არს მრავალის გზის საქართველო და ერნი საქართველოსანი“...

ამ დიპლომატიური ნოტის შემდეგ, რომლითაც ნათლად მჟღავნდება რუსეთის მიერ საქართველოსადმი ჩადენილი ვერაგობა, ბატონიშვილი დედოფალ დარეჯანის შეიწროვებულ მდგომარეობაზე ვადადის და სთხოვს ხელმწიფეს — ამ ერთ საკითხში მაინც გამოიჩინოს ქრისტიანული ლობიერება და მოხუც დედოფალს ნება მისცენ თავისი ძვლები ერეკლეს გვერდით მოასვენოს... „გიბრძანებდით“; სწერს ალექსანდრე ბატონიშვილი, „ხელმწიფის დედის ჩემის, დედოფალის მანდ წამოვლა, რომელიც მოხუცებულებისა და მწუხარებისაგამო, ესრეთ უსუსურ ქმნილ არს, რომე ვერ ძალუძს აღდგომად სარეცელით თვისით, არამც თუ კავკასიის გარდმოვლა და მაგნიშორის გზის გავლა შეეძლოს. ვევედრები დაგრდომით ხელმწიფებასა თქვენსა, არა ინებოთ სიკვდილი მაგისი უკამოდ გზასა ზედა... მიხვდეთ მოწყალეობით, დაუტყვევეთ ეგე, რათა რა უამს აღესრულოს, შთაყარონ ძვალნი თვისნი თვისსა მეუღლესთანა... და თუ არა ინებებთ, იყვნენ ნება ხელმწიფისა თქვენისა“...

ალექსანდრე ბატონიშვილი ამგვარისავე თხოვნით მიმართავდა გრაფ ვ. ზუბოვს და ევედრებოდა შუამდგომლობას ხელმწიფის წინაშე, რათა დაეტოვებინათ საქართველოში ავადმყოფი და უძლოური მეუღლე დიდის ერკლესი, რომელსაც რუსეთისათვის მრავალი ომები გარდაეხადა.

ამ წერილებს ბატონიშვილი თავრიზიდან გზავნიდა და ელოდა, რომ ციციანოვს პეტერბურგიდან შესაფერი

ბრძანება მოუვიდოდა (იხ. ალ. ბატონ. წერ. 1 — 7 — 1803. აქტები, 2).

ალბათ შვილის ამ ცდების იმედი ჰქონდა დედოფალს, როცა ციციანოვს სთხოვდა: ცოტა კიდევ მაღრმევე და ხელმწიფესთან კაცი გამაგზავნიეთო ამ გზით დედოფალს მცირე დროს მოგება შეეძლო და ის „დრო“ სწორედ ეხლა იყო საჭირო...

მაგრამ პეტერბურგი სხვა გვარად ანგარიშობდა და მისი პასუხი ასეთ თხოვნაზე დუმილი იყო; ციციანოვს კი კვლავ ახალი ბრძანებები მისდიოდა გადასახლების დასაშურებლად... ციციანოვიც ამ ინსტრუქციებს გადაჭარბებულის ენერგიით და სიტლანქით ასრულებდა: — მან ეხლა ლენერალი ორბელიანი დიდ ძალის ჯარით მუხრანს გაისტუმრა და თუ საჭირო იქნებოდა ამ ჯარს იქ მდგომი პოლკიც (უმიანცევისა) უნდა მიმატებოდა და დედოფალი მუხრანიდან სასწრაფოდ გამოეყვანა და ასეთივე სისწრაფით დარიალს იქეთ გაეგზავნა. ეს დიდი სისწრაფე საჭირო იყო, რათა ქართველთ რაიმე მღელვარებისა და თავდასხმის მოწყობა არ მოესწროთ...

რუსების ერთგულ ლენერალ ორბელიანს ციციანოვმა დარეჯანის შესახებ საგანგებო დარიგებანი მისცა. ამ ინსტრუქციებში ყველაზე შესანიშნავია გაფრთხილება, რათა დედოფალს ჯერ ხანად დიდის მორიდებით და თავზიანად მოეპყრონ და ამასთან ერთად კარგად გასინჯონ, რომ რაიმე იარაღი არა ჰქონდეს გადამალული; რომ ორბელიანს ზედმიწევნით უნდა ახსოვდეს განსვენებული ლენერალი ლაზარევის ბედი და სხვა. (იხ. წერ. ციციანოვისა ორბელიანისადმი, 1803 წ. აქტ. 2).

მაგრამ დედოფალმა ეხლა სხვა ტაქტიკა ამჯობინა: ნან, რაკი საქმე წაგებულად მიაჩნდა, არჩია მეტის ღირსებით და დიდებით გაბრძანებულყო საქართველოს საზღვრებიდან, ვიდრე ეს დედოფალს მარიაამ წილად ხვდა. ამით მას უნდოდა დედოფალის დიდება და სახელი არ მოჰკლებოდა თვის მიწა-წყალზე, რათა ქართველ ერს ერთხელ კიდევ დაენახა; რომ რუსეთშიც ის „დედოფლად“ მიბრძანდება „მიპატიებისა“ გამო და არა იძულებით... ამას გარდა, მას ეხლა არა დარჩენოდა რა; ვინცის, იქნებ დარეჯანი ფიქრობდა, რომ მისი ასეთი დედოფლური სიამაყე და ქედმაღლობა, რითიმე კიდევ გამოადგებოდა ქვეყანას, თუ მას მომავალში ერთხელ კიდევ ეწერა საქართველოში დაბრუნება.

დინჯად და მეფურის ღირსებით იძლევა დარეჯანი უკანასკნელ განკარგულებებს და თვითეულ კვალს თავის მიწა-წყალისას ძნელად სტოვებს.

ლენერალ ორბელიანის დიდის ხვეწნა - მუდარის შემდეგ; დედოფალი მისი ამალით 25 — 10 — 1803 წელს დაიძრა მძიმედ მუხრანიდან. (მარი ბროსეს დედოფალის გარდასახლების თარიღი შეცდომით აქვს აღნიშნული. ის სწერს, რომ დედოფალი დარეჯანი გარდასახლეს 1804 წ., როცა იგი 70 წლისა იყო. (იხ. ტ. 2, გვ. 636))

ამ გამარჯვებას გენერალი ციციანოვი დიდის ამბით ულოცავდა იმპერატორსა და მის მინისტრს; ამავე დროს ის შემთხვევას არ უშვებს, რომ ძალად გაძევებულ დედოფალს ერთი ქვა კიდევ ესროლოს და პეტერბურგის კარზე საქმე უფრო გაუფუჭოს...

„იმყოფებოდა რა შუა ქართლში“, სწერს ის პეტერბურგს, „დედოფალი ცდილობდა უახლოესი გავლენა მო-



მარია მ, უკანასკნელი დედოფალი  
(1768 — 1850)

ეპოქები ქართლის წარჩინებულებზე და თავისი შიკარეების წყალობით ათას შეუსაბამო ხმებს ავრცელებდა, ამიტომც სპარსეთის ჯარი უკვე საქართველოსაკენ დაძრულიყოს, რომ ერთგულ ლეკთა 500 კაცი უკვე გამოგზავნილია მუხრანისაკენ, რათა დედოფალი მთებში გაიტაცონო. ასეთმა უაზრო ამბებმა, რომელსაც მეორე მხრივ უფრო ადვილებდნენ იულონ და ფარნაოზ ბატონიშვილები, იქონიეს უკვე თავისი გავლენა იმ ერზე, რომელზე უფრო ქარაფშუტას მე მთელს ქვეყანაზე არ შეხედრივარ“-ო... „მაგრამ ამშვიდებს ციციანოვი შემწვიფეს, „დიდი არა გამოუვიდათ რა აქედანო, გარდა რამოდენიმე შეკრებულებათა და ეხლა კი, დარეჯან დედოფლის წასვლის შემდეგ აქ ყველაფერი მათთვის უცილოდ საშინელი დამარცხებით უნდა დამთავრდეს“-ო... და ბოლოს დასძენა: „მართალია, დარეჯანმა ცხრა თვეზე მეტი მაწვალა, მაგრამ ბოლოს მივმართე ერთადერთს სამუალებას: შიშა და ძალდატანებას, რაიც აზიელებზე სე ძლიერ მოქმედებს და აი, ამან გასჭრა“-ო. (იხ. აქტები, ტ. 2. წერილი 27 — 10).

ლენერალი ორბელიანი, რომელიც განსაკუთრებულად ააზნით მუხრანში ჩავიდა 25 — 10 — 1803 წელს, აღქედან ციციანოვს აუწყებდა, რომ თუმცა ისეთის სისწრაფით, როგორც ნაბრძანები ჰქონდა, ვერ იმოქმედა, მაგრამ ასე თუ ისე მიზანს მაინც მიაღწია, რადგან დედოფალმა ამ შემთხვევაში დათმობა არჩია და წინააღმდეგობა აღარ გაუწვია; თუ წინააღმდეგობად არ ჩაითვლება ზოგიერთი ნაბიჯები დედოფლისა, რაიც მისს გაგზავრებას ახანგრძლივებენო.

„დედოფალმა თავისთან მიიხიზო“, სწერს ორბელი-

ანი, „და განმიცხადა, რომ ის ემორჩილება უმაღლეს ნებას რუსეთში გადასახლების შესახებ, თუმცა ძლიერ ავად ბრძანდება. დედოფალი იმედოვნებს, რომ გზაზე მას მიეცემა სათანადო დახმარება, ურომლისოდაც ის ვერ იმგზავრებს; და ბოლოს მან მომთხოვა დრო, რათა წასვლის წინ ეზიაროს, რაიც მე იძულებული ვიყავ შემეხრულებინა. ამის შემდეგ დედოფალმა გადმოიყა სია იმ პირთა, რომლებიც მას სურს, რომ თან ეახლონ. ამ სიაში, თქვენს მიერ ნება დართულ 20 პირის ნაცვლად, აღნიშნული არის 36, მაგრამ ამაზე დედოფალს მე წინააღმდეგობა ვეღარ გაუწვიე, მისს მეტ წყენას მოვერიდე და საბოლოოდ ეხლა თქვენა ვთხოვთ ამ კითხვის გარდაწყვეტას“-ო. (იხ. 25 — 10 — 03 მოხსენება ორბელიანისა ციციანოვისადმი).

მიუხედავად ყოველგვარი ზომებისა, არ იქმნა, ვერ შესძლო ორბელიანმა ეს გარდასახლება სასწრაფოდ ჩატარებინა; შემდეგ მოხსენებაში ციციანოვისადმი, იგი სწერს, რომ რამდენიც არ შეეცადა დედოფლის ყურადღების დამსახურებასა და გულის მოგებას — არაფერი გაშივიდა — დედოფალი ვერ ავაჩქარეო...

მუხრანიდან წამოსვლის შემდეგ დედოფალმა ერთი დღე წილკანში დაჰყო შვილებთან გამოსათხოვარად; როცა ჯიკურიანთ კარში მივედით, დედოფალმა ავადმყოფობა მოიმიზეზა და ერთი დღე იქ დაჰყო; ანანურში ჯერ ერთი დღით აპირებდა დარჩენას, ნამდვილად კი 2 დღე დარჩაო, დღესაც ანანურიდან 3 ვერსის მანძილზე გაჩერდა და ღამეს აქ ათევს; ისევე ავადმყოფობის მომიზეზებითო ამავე დროს ჩვენი ექიმი ახლოსაც არ მიიკარა... ჩემს თხოვნაზე, დაჩქარებით მგზავრობის შესახებ, დედოფალმა განმიცხადა, რომ დღეში სამ ვერსზე მეტს ვერ გავივილიო.. ამის გამო ვთხოვთ მოსწეროთ მას, რომ ააჩქაროს მგზავრობა და მეც მაცნობეთ, შემძლია თუ არა; ძალა დავატანო და ასე ავაჩქაროო (იხ. ორბელიანის მოხსენება 1 — 11 — 1803 წ. აქტ. ტ. 2.).

რუსთა და ციციანოვის გულის მოსაკლავად, დედოფალი მაინც არა ჩქარობდა. ის თითქმის თითო დღე და ღამე რჩება ყოველ სოფელში და გამოსათხოვებლად მეფურ ნაღიმებს იხდის. ამ დროს მასთან იმყოფებიან არა მხოლოდ 20 მხლებელი, რამდენის წაყვანის ნებაც მისცეს, არამედ თითქმის ორი იმდენი და ისიც კიდევ მეტადამყოლთ მოითხოვს, რომ საქართველოს დედოფლის ჩაბრძანება პეტერბურგს მართლაც დედოფლური გახადოს. ყველა ამ მხლებელთა გარდა, მას საქართველოს საზღვრამდე აცილებენ მისი საყვარელი ქალიშვილები და შვილისშვილები, სიძეები, უხუცესნი, სამღვდელოება, ყოფილი სარდლობა და სხვა მრავალი..

ერეკლეს ძველი საქართველო ადვილად არ უთმობდა რუსეთს თავის საყვარელ დედოფალს: ხალხი უკან მიხედვდა, ჯარით გარშემორტყმულ დედოფალს და მიუსტიროდა; ეხლა მეორედ ამ ერთი წლის მანძილზე; დედოფალ მარიაშის გარდასახლების შემდეგ, მისტიროდა საქართველო მართლაც უკანასკნელ დედოფალს, რომელიც იძულებით და ამაყად სტოვებდა საყვარელ სამშობლოს. ვერავის აეხსნა: რათა, რისთვის? თუ დედოფალმა მარიაშმა რუსის ლენერალი ხანჯლით განგმირა, დარეჯანს ხომ არავინ მოუკლავს! მაშ, ამ ღრმად მოხუცს და სწულს რად აძევებენ ასე შორს და რად არ აძლევდნენ

ნებას უკანასკნელი დღეები გაეტარებინა საყვარელ თბილისში?...

კიდევ მრავალს სწავლდა, რომ თან გაჰყოლოდა დედოფალს და ამით თავისი ერთგულება დიდი ერეკლეს იჯახისადმი სიკვდილამდე შეენახა, მაგრამ ამის ნება რუსეთმა მათ არ მისცა... ამის საილიუსტრაციოდ მრავალთაგან ერთი მაგალითი: მოგვეყავს ერთი წერილი ექვთიმე თაყაიშვილის რედაქციით გამოცემულ „საქართ. სიძველენი“—დან — დედოფალ დარეჯანის მოლარე ვარდაგი, მოზღოკიდან სტეფანე ყორანაშვილს, რომელმაც ვერ მოახერხა დედოფალს ხლებოდა, სწერდა: „მერმე წერილი გიბოძებინა, მივიღევით, რომელიც ცხად „ყოფდა სიტყვასა მრთელსა და ჭეშმარიტსა, რომელმაც ჩვენ შორისა ანაკანდა ცრემლნი მრავალნი... რასაკვირველია, შენი, დედოფლის შემსჭვალული და თავდადებით ერთგული, გული აგრე შესწუხდებოდა. ამისმა უმაღლესობამაც ასე დაირწმუნა და ბძანა, „თუ ამისთანა საგანსაცდელი მწუხარება არა ჰქონოდაო, ფეხშიშველ იც გამოიჭრებო-ცაო და მეც მნებავს იმის ჩემთან გაუშორებლობა“—ო, მაგრამ ღმერთს ერწმუნე და ამ ჩვენის ხელმწიფე დედოფლის მზემ, ციციშვილმა ისეთი წერილი მოსწერა, რომ უკუ ითხოვა: წიგნს ნუღარ მომწერო და აღარც ვისილა თან წამოყოლა იქნებაო. ამ მიზეზით აღარც ესე გწერს წიგნსა. და ვინც ახლავენ, ამასაც ბევრობენ რუსები და ამასაც ეუბნებიან და მოახსენებენ (დედოფალს), რომ კიდევ უნდა დააბრუნოვო. ხომ იცი, შენი ჩვენთან ყოფნა როგორ საამოა, მაგრამ არ შეიძლებოდა და ამისათვის გულს ნუ დაგაკლდება. ღმერთს სთხოვე — შენი ხელმწიფის კვალად საქართველოში ხილვა, ამის მოწყალე გული შენზედ არ შეიცვლება“. შემდეგ ის აუწყებს დედოფლის უზომოდ დამწუხრებას და აუტანელ ყოფას, რომელშიაც რუსეთმა დარეჯანი ჩააყენა: „ამისი უმაღლესობა, როგორც იცი, ისე ბრძანდება გულ-დაწყლულე-ნი, და ღვთის მშობელს შეჰყურებს, მწუხარეთა ნუ-გეშ... ჩვენი ამბავი სხვა რაღა მოგწეროთ“—ო, დასძენს — „იცი, რაც სიხარულიანი გული გვექნება“—ო... (იხ. „საქართველოს სიძველენი“, გვ. 400). ამ წერილს ხელს აწერს მეორე მხლებელი — თამარ.

მაგრამ უფრო მეტის მთქმელია აქვე მინაწერი ორად ორი სიტყვა დედოფლის დეკანოზის ალექსისაგან: — „რა მოგახსენო, არა ვიცი რა“... ამით, ველურ ფორმებში ჩატარებულ „კარანტინის“ გამო, რუსეთის ვერაგობით შეწუხებულმა დეკანოზმა უკვე ყოველი სიტყვა...

მაგრამ დაეუბრუნდეთ ისევ დედოფლის გარდასახლების ამბავს.

ამოდენა ამალის ხლებით გულ-წასული, „ექსპედიციის“ ეკონომი უმიანცევი დედოფალს მოახსენებს, რომ პეტერბურგამდე სამყოფი ფული და სურსათი ჯერ კიდევ აქ, საქართველოში თავდება; და თუ შეიძლება, დედოფალმა შეამკიროს და უფრო გაასადავოს სტუმართა კვებაო. ამაზე დედოფალი მოჭრით უპასუხებს, რომ ის და მისი მხლებელი ჩვეული არ არიან ნაკლებსა და მდარე სუფრას, ხოლო თუ კი რუსეთს ამისი სახსარი არა აქვს, ეს ისევ თავის ქვეყანაში დარჩება და აქედან ფეხსაც არ მოიცვლია... შეშინებული უმიანცევი ისევ ყველაფერს პირდება დედოფალს, ოღონდ ასე „ტატი“ წარმოებულ მგზავობა, როგორმე ააჩქაროს. ამაზე ის პასუხს

იღებს, რომ დედოფალი ცდილობს, რაც შეიძლება დააჩქაროს მოგზაურობა, მაგრამ ავადმყოფობა ძლიერ უშლის ხელსაო (იხ. წერილი უმიანცევისა ციციანოვისადმი ანანურიდან. აქტ. 2).

მაგრამ ყველაზე უფრო შესანიშნავი დედოფლისა ნაბიჯი, რომელიც საქართველოს საზღვრების გაცილებისას მან გადასდგა.

დედოფალი აქ ბარონ უმიანცევის იბარებს და გადასცემს წერილს ციციანოვისათვის და თან პირადადაც ავალეებს, შეატყობინოს ლენერალს, რომ დედოფალი მოზღოკიდან პეტერბურგამდე ორბელიანის მეთვალყურეობის ქვეშ ვერ იმოგზაურებს; მას არ შეუძლია მოითმინოს, რომ რუსეთის ტერიტორიაზე საქართველოს დედოფალს, იძულებით, თითქოს ტყვეს, გაატარებს ქართველი ლენერალი... — „მე მოვიტხოვ გამოვლ ჯარის უფროსად რუსი დამინიშნონ, ხოლო თარჯიმნად დარჩეს იგივე ქართველი პრაბ. ჯომარჯიძე“—ო.

აქვე უმიანცევი დასძენს, რომ დედოფალი თავის სიმტკიცეს არ იშლის და ძალიან მძიმედ იცვლის ფეხსო. დღესაც „წყაოთშია“ და უნდა ამ ღამითაც აქ დარჩეს, ავადმყოფობისა გამოო. მისი სამი ასული და ბატონიშვილები ჯერაც აქ არიან მასთან, და ალბ თ კაიშაურამდე დააცილებენ თავისი მხლებლებითო. ამითაც, რა თქმა უნდა, „ეკონომის“ ხარჯები იზრდებაო, დასძენს უმიანცევი (იხ. უმიანცევი მეორე მოხსენება ციციანოვისადმი, იქვე). უმიანცევის ამ მოხსენების გამო ციციანოვი ბრავით იგება; დადოფლისადმი ასეთ „ლმობიერ“ მოპყრობაში ის აუღვილო ლიბერალიზმს ხედავს და მოხელეს აფრთხილებს — მომავალში მიცემულ ინსტრუქციებს ოდნავაც არ გადასცდეს... ამასთან უსაყვედურებს, რომ გაბედა და ხარჯებს, (20 მხლებელისათვის მისგან დადგენილი რომ იყო), გადააბიჯა... „თქვენ მეტს თანხას არ მიღებთ“—ო, სწერს იგი; „რაც შეეხება დედოფლის „ავადმყოფობას, დეე მან აწიცი იტყოფს; მას მაინც ძალით წააყენან უფროსი (ორბელიანი) მის ნელ მოგზაურობაზე თქვენ მზრუნველობას არავინ გკითხავთ, ყველაფერი ეს მარტო ლენერალ ორბელიანის საქმეაო, რომელსაც ვუპირძანე, დღედაღამ სასწრაფოდ იმოგზაუროსო. რაც შეეხება დარის განცხადებას და წერილს, უნდა ამაზე გიპასუხოთ, რომ მომავალში თქვენ არ მწეროთ წერილები, გარდა ისეთებისა, რომელნიც შეეხებიან კვების კითხვებს; სხვა რამეში კი ნუ ერევი; ეს მინდობილი აქვს მხოლოდ ღენერალ ორბელანსო (იხილეთ წერილები ციციანოვისა უმიანცევისადმი. იქვე. 2 და 5 ნომერისა, 1803 წ.).

ერეკლესი და განსაკუთრებით გიორგის სიკვდილის შემდეგ საქართველო უკვე საფრთხეს აღარ წარმოადგენდა პეტერბურგისათვის და ეხლა არა მარტო მეფობა და სამეფო უნდა ჩათვლილიყო გაუქმებულად, არამედ მთელი სამეფო სახლის ავტორიტეტი, წონა, ღვიადობა რუსეთს ტალახში უნდა ამოესვარა. საჭირო იყო ძველ ბაგრატიონთა დინასტიის არა მარტო დაშლა და გაქრობა, არამედ მისი შარავანდედის სრული გაიფება და გაყალბება. და მერმედ რატომ? რათა საქართველოს ყველა მეზობელს, სამეფოსთან დაახლოებულ ერებს ერთბაშად ეგრძნოთ ამ სამეფოსი და მისი დინასტიის სრული არარაობა დიდი რუსეთის წინაშე. ამით ერთხელ და სამუდამოდ უნდა ამოკვეთილიყო ზრახვა ამ საქართველოსთან და მის

ქველ დინასტიასთან რაიმე დაახლოებისა და მისი წინა-მძღოლობით კავკასიის რომელიმე კუთხეში ანტირუსული პოლიტიკური ერთეულის შექმნისა...

აბა, ვის შეეძლო წინაღ, თუ არა საქართველოს, რომელსაც უძველესი სახელმწიფოებრივი ტრადიცია ჰქონდა, კავკასიის ხალხთა შორის პირველობა ეკისრა და რომელიმე პოლიტიკური გაერთიანებისათვის ხერხემალი მიეცა!

აი, ეს დასაყრდენი ისე უნდა მოშლოდათ კავკასიის მრავალნაირად, ეთნოგრაფიულად აჭრელებულ, განცალკევებულ ერებს, რომ იქ ცარიელი ადგილი და ცუდი მოგონება დაშთენილიყო.

საქართველოს სამეფო სახლის წევრთ ყოველგვარი ნალაშველელობის და ბრწყინვალეების ნიშნები უნდა ჩანოშორებოდა...

აი, ეს საქმე იმპერიამ ციციანოვს დააკისრა და მანაც იგი „ღირსეულად“ ბოლომდე მიიყვანა. ამ ლენერალმა ბატონიშვილთ და ორთავე დედოფალთ ჯერ ყოველგვარი საგანგებო უფლებები წაართვა; მერმედ მთელი მათი მანულები და ყოველგვარი ქონება რუსეთის ხაზინას გადასცა, მათ სასახლეებში ჯარისკაცები და ყაზახები მოათავსა და ბოლოს რუსეთშიც ძალად გადაასახლა, და ჩერმე როგორ ასახლებდა? როგორც სისხლის სამართლის უკანასკნელ დამნაშავეს; ხშირად ისე ნაცემ-ნაგვემთ, ვით მძარცველთ და ავაზაკთ, გარს შემორტყემულთ; შეიარაღებულ რუსის ჯარისკაცების რაზმით. ასე სწრაფად მიათრევდა ციციანოვი საქართველოს ღირსეულ დედოფლებს, ტახტის მემკვიდრეს და სხვა ბატონიშვილებს ჩრდილოეთისაკენ. აი, ამაზე სწერდა ირონიით ერთ-ერთი ბატონიშვილი ციციანოვს, რომ რუსეთიდან მემკვიდრე დავითმა მიიღო გადაჭედილი კიდობანი და პატივი დამნაშავეისა „მუჟიკისა“-ო“. (აქტები 2).

ესლა კი არა მარტო ქართველ ხალხს უნდა ეხილა თვალით მათი „წარხდენა და დაგლახება“; არამედ, როგორც აღენიშნეთ, კავკასიის სხვა ერებსაც, რომელთაც ქართულ დინასტიისადმი დიდი პატივი და მედი შეენახათ. აი ამიტომ იყო, რომ ციციანოვი მკაცრ ბრძანებას აძლევს ყველა რუსის კომენდანტებს, გადასახლებულთ გზაში რომ ხვდებოდნენ: სასტაკად და დამამცირებლად ნოპყრობოდენ მათ, ხოლო თუ ვისმეს რამე სიფრთხილეს ურჩევდა; მხოლოდ იმის შიშით, რომ უხეშობას ხალხში ამბოხება და არეულობა არ გამოეწვია და ამით მთელი რუსული პოლიტიკა თავდაყირა არ დაეყენებინა...

ამით აიხსნება დედოფალ დარეჯანისა, მის წარჩინებულთა და მხლებელთა ისე ტლანქად და უდიერად მიღება; რაიც კომენდანტმა პროტოპოპოვმა მათ მოზღოკთან და შემდეგ თვით მოზღოკში გაუმართა: — ეს კომენდანტი ციციანოვისაგან საამისოდ ადრევე იყო გაფრთხილებული. მან ხომ წინადაც დიდი მადლობა მიიღო ციციანოვისა და რუსეთისაგან, დედოფალ მარიამისადმი მკაცრი და ტლანქი მოპყრობისათვის... ეს მეორე დედოფალიც უნდა ამავე დღეში ჩაეყენებინა კომენდანტ პროტოპოპოვს, რათა ჩრდილო - კავკასიის ხალხების თვალნი ყოველგვარი პატივისცემა და წონა დაპყროდა საქართველოს უკანასკნელ დედოფალს... ძველი დიდების ძალა ერთბაშად უნდა დავიწყებოდა მათ...

ამ უხეში მოპყრობის ზოგიერთ ამბებს ჩვენ ვტყუ-

ბილომბთ პროტოპოპოვის მოხსენებიდან ციციანოვისადმი. ეს კომენდანტი, 24 — 11 — 1803 წ. ციციანოვს აუწყებდა; რომ 18 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე დედოფალი დარეჯანი თავისი მხლებლებით მოზღოკს ჩამოვიდაო. კომენდანტს ამ საშინლად დაქანცულ პირთათვის გასაოცარი „მიღება“ გაუმართავს: მას ისინი ქალაქში არ შეუშვია და მდინარის გაღმა, მოშორებით გაუჩერებია; ხოლო ვინაიდან იქ არც ერთი ადამიანი არ ბინადრობდა და არც რაიმე შენობა იდგა, კომენდანტს „კეთილ უწყებია“ და დედოფლისა და ზოგ მხლებელთათვის ერთი კარავი გაუმართავს, ხოლო დანარჩენთ „პოვოზკა“-ში უნდა „მოესვენებინათ“.

აღშფოთებულ დედოფალს, ასეთის დამცირების გამო, პროტესტი გამოუთქვამს; რაზედაც მას განუმარტეს, რომ ყველაფერი ეს ხდება „საკარანტინო წესდების“ ძალით, რომ ჯერ ყველანი აქ უნდა დარჩნენ, თანახმად ამ წესდების 119 მუხლისაო; მხოლოდ განსაზღვრული დროის შემდეგ შეეძლებათ მათ თვით ქალაქში შესვლაო...

დედოფალსა და მის მხლებლებს იქ სრული ექვსი დღე დავაყოფინეო, სწერს პროტოპოპოვი, და მრავალ შებოღება - ხრჩოლვითა შემდგომ (პო შესტიდნენოვი ოკუტრეკე); გამოირკვა რა, რომ არავითარ საშინოვროებას არ წარმოადგენდნენ, 23 — 11 ნება მივეცი ქალაქში შემოსვლისაო. დედოფალი, ახლობლებით, საკომენდანტოს სახლში მოვათავსე, ხოლო დანარჩენები კერძო ბინებშიო.

**ესლა დედოფალი ისვენებს და ნელნელა გონებას მოდისო.** ჯერ-ჯერობით მათი ნივთები კვლავ კარანტინშია და როდის გაანთავისუფლებენ იქედან, არ ვიციო. როცა ეს მოხდება; მაშინ დედოფალს საგანგებო ეტლით და სხვეებს კი 10 პოვოზკით, (მხლებელთა სიმრავლის გამო ესეც ძალიან ცოტააო), გავისტუმრებო; გიორგიევსკამდე გასალოლად 60 ყაზახს დავუნიშნავო; სჩანს, მარტო ამ საკითხში იჩენს პროტოპოპოვი გულგაშლილობას. აი, ამ 6 დღედაღამის „ღრჩოლვა - შებოღების“ შემდეგ სწერდა გონება - შეშფოთებული დეკანოზი ალექსიძე თბილისში: „რა მოგახსენოთ; არა ვიცი რაო“-ო. ვერ გამიგია, თუ ჩვენს თავზე რა ხდება...

ამ ცნობებს ციციანოვი დიდის აღფრთოვანებით შეეგება და 17 — 12, კომენდანტს პროტოპოპოვს უპასუხს, რომ დიდად კმაყოფილია ყველა მისი განკარგულებით და „მოხარული ვარ, რომ ასე გაამართლეთ ჩემი იმედები“ და ასეთი მიღება გაუმართეთ დედოფალსო. რაც შეეხება მის მხლებელთა სიმრავლეს; ყოველგვარად ეცადეთ ოცზე ჩამოიყვანოთ; ხოლო თუ დედოფალმა არა ჰქმნას, გამოუცხადეთ; რომ ასეთია ჩემი ბრძანება და სხვა არაფერიო...

როგორც დავინახეთ, „მცველების“ გაყოლებაში პროტოპოპოვს გადაჭარბებული გულუხვობა დაუმტკიცებია და აქედანაც ირკვევა, რაგვარად ეშინოდა რუსეთს დედოფლის ავტორიტეტისა და ერეკლეს ოჯახისადმი ჩრდილო - კავკასიის ხალხთა განწყობილებისა... შესაძლო იყო ამ „თავზე ხელ აღებულთ“ მართლაც მოულოდნელი დაცემა მოეხდინათ, გზები გაეფუჭებინათ და ერეკლეს მოხუცი მეუღლე და დედოფალი სამარცხვინო ტყვეობიდან ეხსნათ...

რაც შეეხება დედოფლის ამალის რაოდენობას, პროტოპოპოვმა ის ვერ შეამცირა, მაგრამ ორ ჯგუფად გაჰ-

-ყო და ამით მისი ძალა შეასუსტა... ეტყობა, ამ საკითხში პროტოპოპოს დიდი წინააღმდეგობა გაუწია დედოფალმა; მან ალბათ გადაწყვეტით გამოუცხადა, რომ ამ შემთხვევაში ფეხსაც არ მოიცვლიდა მოზღოვიდან და ამის გამო კომენდანტმა დედოფლის მხლებელთა შემცირების საკითხის მიფუჩეჩება არჩია.

7 — 1 — 1804 წ. ის ციციანოვს სწერდა, რომ კარანტინის ობერაცია დედოფლისა, მის მხლებელთა და ნივთთა მიმართ კარგად მოთავდა და დედოფალს 5 იანვარს უკვე ვამგზავრებდი გეორგიევსკისაკენ, მაგრამ უეცრივ იგი ავად გახდა და ერთის დღით კიდევ გადავდე მისი გამგზავრებაო. ხოლო 6 — 1, ღამის 11 საათზე ის მაინც გავისტუმრე, ზოგიერთი მისი მხლებელნი კი: სახლთუხუცესნი — გ. ჩოლოყაშვილი, ვახტ. ორბელიანი (სიძენი დარეჯანისა), და ემიკ-აბაში სვ. ჯანდიერი მსახურებითურთ, „კონვოის“ თანხლებით უკვე 5-ს გავაგზავნეო, ხოლო დარეჯანი კი გუშინ გავგზავნე და თან 100 კაცი-საგან შემდგარი მცველები გავაყოლეო.

საინტერესო იქნებოდა გაცნობოდით დარეჯან დედოფლის შვილის-შვილის ისტორიკოს ალექსანდრე ორბელიანის ცნობებს, დედოფლის რუსეთში გარდასახლებისე შესახებ. ისტორიკოსს მთელი რვეული დაუტოვებია ამ იძულებითი „მოგზაურობის“ აღწერით მაგრამ ამ უანად ჩვენ ამ რვეულამდე, სამწუხაროდ, ხელი არ მიგვიწვდება. ამიტომ უნდა დაგვამაყოფილდეთ სულ მცირედით, რაიც ამონაწერის სახით მოჰყავს ვახტანგ კოტეტიშვილს თავის „ლიტერატურის ისტორიაში“; იქ აღნიშნულია ორი დამახასიათებელი ეპიზოდი.

პირველი შეეხება გარდასახლების იმ ღამეს, რომელიც დედოფალმა კაიშაურში გაატარა. ალექსანდრე ორბელიანი გადმოგვცემს, რომ დედოფალს მრავალი ახლობელნი აცილებდნენ და მათ შორის მისი ასულნიც.

კაიშაურში შუალამისას ვილაც მოხუცი გამოეცხადებოდა დედოფალს და მოახსენებს: — „მთელი მთიულეთი დიდი ხანია მზადებაში ვართ, ეხლა სულ შეყრილი ვახლავართ აქ, მახლობლად. თუ თქვენ ნებას მოგვცემთ, გათენებისას დავესხმით ამ რუსის ჯარს, გავსწყვეტთ, თქვენ ერთიან მთაში შეგიყვანთ, და მასუკან რაც მოხდეს, ეს ღვთის ნება იყვეს დედოფალო“-ო!

თეკლა ბატონიშვილი — „მამა - ჩემს მეფეს ერეკლისთვან ვახლავარ დასწრობილი ბევრს სროლაში, თვით თქვენც იცით ესა, რომლისაგან ნება მქონდა, კაცურად ჩაცმული ვყოფილიყავ და იმათთან მეგლო... ეხლაც თუ თქვენი ნება იქნება, კიდევ ვაქცურად ჩავიცვამ, თოფიარადს შემოვირტყამ, ამ ჩემს ქმარსაც თან წავიყვან და ამ მოხუცს ქვევითით თან გავყვებით“-ო...

მაგრამ დედოფალმა აღარ ინება თავისი გარდაწყვეტილება შეეცვალა; ის ეხლა სისხლის ღვრას და დიდ გართულებას მოერიდა.

ალექსანდრე ორბელიანის მეორე ამბავი შეეხება დარეჯან დედოფლის გარდასახლებაში, პეტერბურგში ცხოვრებას. იგი სწერს: —

„ერთს დღით დედოფლის სასახლის წინ დამწყვედილი ჩიტები გაატარეს ვასასყიდად. დედოფალმა უბრძანა, რომ ეყიდათ მთელი ვალია. ყველანი გაცოდნენ, თუ რათ უნდოდა დედოფალს ამოდენი ჩიტები. დედოფალმა

ვალთა აილო გამოალო ფანჯარა და ჩიტები სათითაოდ გადააფრინა...

— ჩვენც გვეყოფა ტყეობა, თქვენ მაინც იყავით თავი სუფალნიო — და თვალზე - ცრამლიანმა ვალია გადაადლო“-ო. „კიდევ რამდენ ასეთს სურათს აგვიწერს ჩვენი ავტორი“-ო, დასძენს გ. კოტეტიშვილი. მაგრამ. საუბედუროდ, მას ეს საინტერესო მასალა, ალექსანდრე ორბელიანის რვეულიდან დარეჯან დედოფლის პეტერბურგში ცხოვრების შესახებ აქ შეუწყვეტია.

შემდეგ ამბებიდან ჩვენ ვიკით მხოლოდ, რომ დედოფალი და მისი მხლებელნი 22 მარტს მოსკოვს ჩაუყვანიათ, ხოლო 28 მაისს 1804 წ. მათ პეტერბურგში ვხვდებით.

წაბრძანდა დედოფალი, მაგრამ მისი გული საქართველოში დარჩა; იქ, სადაც მისი ბატონი ერეკლე ესვენა; იქ, სადაც მისი საყვარელი ქალები და ვაჟები, ზოგნი უცხოეთში გაჭრილნი, და ზოგნიც დასავლეთ საქართველოში გახიზნულნი, დარჩნენ... გულის ძეგრით უსმენდა პეტერბურგიდან დედოფალი სამშობლოს ამბებს. მან რუსეთიდანაც მოახერხა, მიუხედავად უსასტიკესი პირობებისა, არა მარტო საქართველოსთან, არამედ სპარსეთთან — თავის შვილთან და შვილისშვილებთან კავშირი გაება.

დარეჯანი პეტერბურგიდან სომეხ გოგია კალუსოვს უზავნის სპარსეთში, სრულიად ლეგალურად, ხელმწიფის ლოცვა-კურთხევით. აქ დარეჯანი თითქოს ერთხელ კიდევ უჩჩევს ალექსანდრე ბატონიშვილს რუსებთან შერიგებას, მაგრამ ეს მხოლოდ რუსთა თვალის ასახვევად, წამდვილად კი ამ შიკრიკს უფრო სხვა გვარ დავალებებით ისტუმრებდა დედოფალი. რუსეთის იმპერატორი კი ყოველგვარ მფარველობას სთხოვს ციციანოვს დედოფალ დარეჯანის ამ შიკრიკისათვის...

მწარედ იკვნეტს ჩარბებს ციციანოვი, რომელიც სინამდვილეს კარგად ხედავს, მაგრამ უმალლეს ბრძანებას ვერ უხვევს...

გოგია კალუსოვი კარგა ხნის მერმე ბატონიშვილებისაგან ისეთივე „საჩვენებელი“ წერილებით ბრუნდება, ხოლო წამდვილ დავალებაზე ზეპირი პასუხებით.

გენერალი ციციანოვი ბრაზობს და ჯავრს იყრის ახალი „დანოსებით“; რომელთაც ის ამ უამად დიდ მხედარისა და სარდალის, პეტრე ბაგრატიონის წინააღმდეგ სწერს.

სწორედ ამ პეტრე ბაგრატიონმა იშუამდგომლა იმპერატორის წინაშე დედოფალ დარეჯანის თხოვნის გამო — გოგია კალუსოვის სპარსეთს ვასაგზავნად.

გენერალი ციციანოვი მას, კარიერის უმალლეს სატეხურზე მდგომს, ისე პირდაპირ და უხეშად ვერას უხედავს, მაგრამ მზაკერულად ხელმწიფეს მოახსენებს, რომ ბაგრატიონი „დიდი მხედარია“; მაგრამ „მდარე პოლიტიკოსი“-ო, რაიც დარეჯანისადმი გაწეულ პროტექციიდან ჩანსო. ამავე დროს დედოფალზე ყოვლად უიღერი და უშვერი იერიში მიაქვს, რომ მომავლისათვის ამით მაინც წაუხდინოს საქმე; გენ. ციციანოვი მას „ნიღაბის მატარებელ ინტრიგანს“ უწოდებს, რომელიც „არასდროს არ დანებებს თავს ადელვოს აქაური“ (ქართველი) „ქარაფშუტა





უკანასკნელი ტახტის მემკვიდრე  
დავით ბატონიშვილი  
(1767 — 1819)

ხალხი“-ო... (იხილეთ აქტები, ტ. 2. პატაკი ხელმწიფისა დმი, 30 — 12 — 1804 წ.).

ამ პატაკში გენ. ციციანოვი ბრალს სდებს დედოფალს, რომ ის სომეხ კალუსოვის საშუალებით დაბრუნება-შერიგების ნაცვლად, სულ საწინააღმდეგო რასმეს სწერს და თან ცნობებს აწვდის თავის შვილს და შვილის შვილებს სპარსეთში.

ამ ამბებით შეძრწუნებული გენ. ციციანოვი საიდუმლოდ სწერს ასტრახანის ლუბერნატორს: „გთხოვ ყველა, სპარსეთიდან მაქეთ მომავალნი და აგრეთვე რუსეთიდან სპარსეთს მიმავალნი პირები, რომელთაც შეიძლება რაიმე კავშირი ჰქონდეთ საქართველოს სამეფო სახლის წევრებთან გაჩხრიკოთ; ამ გზით უნდა აღკვეთილ იქმნას მავნებელი მიწერმოწერა რუსეთსა და სპარსეთში მყოფ საქართველოს სამეფო სახლის წევრთა შორის. თუ რაიმე საეჭვო უპოვნოთ, დააბატონოთ და გვაცნობეთ მეცა და პეტერბურგსაც“-ო. (იხ. ციცი. წერ. გუბერნატორ ტენი შოვისადმი. აქტ 2).

გენერალ ციციანოვის იქვეები რასაკვირველია, მალე გამართლდა; შიკრიკი გოგია კალუსოვი, სპარსეთიდან წერილებით და საგანგებო დავალებებით, დედოფალ დარეჯანთან წარმოგზავნილი, მართლაც გაჩხრიკეს, და მას ალექსანდრე და თეიმურაზ ბატონიშვილის წერილები აღმოუჩინეს.

გენერალი ციციანოვი თავის გამარჯვებას დღესასწაულობს და 29 აგვისტოს მინისტრს ჩარტორიუსკის სწერს, რომ სომეხი გ. კალუსოვი, რომელიც ცნობილ პეტრე ბაგრატიონის პროტექციით, დედოფალი დარეჯანის მიერ წარგზავნილ იქნა წერილებითურთ, აჯან-

ყებულ ალექსანდრე და თეიმურაზ ბატონიშვილებთან, ბოლოს დაბრუნდა და ბატონიშვილთა პასუხი (წერილები) ჩამოიტანაო. ეს ბატონიშვილები ითხოვენ, რომ დედოფალმა მომავალშიაც გ. კალუსოვის ხელით გზავნოს წერილები და სხვა. აქედან აშკარაა, ასკენის გენ. ციციანოვი, რომ ამ კალუსოვს უეჭველად ჰქონდა საიდუმლო დავალებანი დედოფალ დარეჯანისაგან — და არამც თუ ურჩია მათ დაბრუნება და შერიგება, არამედ სულ საწინააღმდეგოდ... საპასუხო წერილებში, დედოფლის რჩევით, ის აზრი უნდა გამოთქმულიყო, რომ მხოლოდ იმ შემთხვევაში დაანებდნენ ბატონიშვილები თავს საქართველოზე დაცემას, თუ რომელიმე წევრი სამეფო სახლისა, საქართველოს მეფედ გამოცხადდებო. აშკარაა, დამწერ ბატონიშვილთა და უფრო კი მათი შთამბეჭებელის, დარეჯანის მიზანია ამ წერილების საშუალებით რუსეთის ხელმწიფეს მათი ნამდვილი ზრახვები გაცნონო. დაასრულს გენ. ციციანოვი საგანგებოდა აღნიშნავს თეიმურაზის წერილიდან იმ ადგილს, სადაც ბატონიშვილი სთხოვს მთელი ქვეყნის რუკას, აქედან ის დაასკენის, რომ ბაბა - ხანის დამარცხების შემდეგ, ბატონიშვილები ახალ გზებს ეძიებენ და უნდათ გადავიდნენ ან თურქეთში, ან შეიძლება საფრანგეთში; ეს მართლაც მოსალოდნელია, თუ მხედველობაში მიიღებთ ჩემს წინა მოხსენებას (13 — 8 ნომ. 546), რომლითაც გაცნობებით, რომ ბონპარტეს ემისარი, ლენერალი ფრანგული არმიისა, რომც მოვიდა სპარსეთში და ბატონიშვილებთან შეხვედრა ჰქონდაო (იხ. ციცი. მოხსენება ჩარტორიუსკისადმი. აქტ. 2).

ესლა გვინდა, მკითხველს გავაცნოთ, ზოგის შემოკლებით ეს წერილები, რომელნიც გენ. ციციანოვმა დედოფალ დარეჯანის შიკრიკს დაუჭირა —

ალექსანდრე ბატონიშვილი 30 ივლისს 1805 წელს, თავის დედას სწერდა:

„ხელზე გემთხვევით და თან გაუწყებთ, რომ თქვენი წერილი მივიღე... თქვენ მიბრძანებთ, დავბრუნდე უკან და მე არ ვიცი როგორ უნდა მოვიქცე: თუ მათ (ესეიგი რუსებს) სურთ, რომ მე დავბრუნდე, მაშინ აღიყვანონ სამეფო ტახტზე ერთი რომელიმე წევრი ჩვენის ოჯახისა, მაშინ ჩამოვალთ და ვემსახურებით ხელმწიფესა, და თუ ეს ასე არ იქმნება, მაშინ ჩვენ მაქეთ ვერ ჩამოვალთ, რადგან არ გვიკირს მავათი პური და არც იქამდე მივსულვართ, რომ ვისმეს ერთი ნაჭერი პური ვთხოვოთ (აქ სპარაკია ორდენებზე და ჯამაგირებზე, რასაც მათ შერიგებისათვის ჰპირდებოდნენ). მე ისევ ჩემს გზით ვეცდები შივალწიო მიზანს. დიდ ხელმწიფეებიდან ერთი მაინც გამოგვიწვდის დახმარების ხელს. თქვენ რომ მანდ ტყვეთ არ ბრძანდებოდეთ, არამედ თავისუფლად სცხოვრობდეთ, მაშინ რასაკვირველია ყველაფერს, რასაც კი გვიბრძანებთ, ავასრულებდით, და რაკი თქვენ ტყვეთ ბრძანდებით, არ ვიცით, რა მოგვოთ... ჩვენ ვერ ვიახლებით მანდ. თუ კი ხელმწიფე მოინდომებს ჩვენი ოჯახის გაბედნიერებას, მაშინ ჩვენ ისეთ საქმეებს ვაჩვენებთ, რომ არაერთა არევას (აჯანყებას) ადგილი აღარ ექმნება და საქართველოს უომრად დავიჭერთ. სხვა ყველა ჩვენს ამბებს გაუწყებთ თქვენ ეს გოგია კალუსოვი, რომლისაც მე დიდი მიდღიერი გახლავარ“-ო და სხვა.

მეორე წერილი ეკუთვნის ბატონიშვილ თეიმურაზს და დახლოებით იმავე შინაარსისა; ამას გარდა თეიმუ-

რაზის ძმას, მემკვიდრე დავითსაც სწერს, რომლის წერილი, სჩანს, მას კალუსოვის ხელით მიუღია —

„ჩემი გული ველარ იტანს იმ უბედურებას, ჩვენს ოჯახს თავს რომ დაატყდა“-ო, შესჩივის თეიმურაზი უფროს ძმას, „ასევე მაწუხებს ფრიად, რომ თქვენს ადგილას ზის ერთი „დურაქი“ და თქვენ კი ტყვეთ იმყოფებით... თუ მათ (რუსებს) უნდათ ჩვენი შერიგება, ალადგინონ სამეფო ჩვენი და აიყვანონ ტახტზე ერთ-ერთი ბაგრატიონთაგანი, მაშინ ყოველი ლეღვა, ამბოხება და ცხრება და მრავალ სამფლობელოსაც შეიძინენ ჩვენის წყალობით და რასაც ეხლა ხარჯავენ, მისი მესამედიც არ დაეხარჯებათ, არც ამდენი ჯარი დაეღუპებათ და არც ასეთ სირცხვილს სჭამენ და თუ ასე არა ჰქმნენ, სიკვდილამდე არ მოვეშვებით ჩვენს საქმეს. ყველა ჩვენს ამბებს ეს გოგია გაუწყებთ, რომლისაც მე დიდი მადლოზელი ვარ და თუ აწივ გამოგზავნით ვინმე, ეს გოგია გამოგზავნეთ“-ო. დასასრულს ის ითხოვს სიტყვებს, საქართველოს ისტორიას და მსოფლიო რუკას (იხილეთ იქვე, წერილები ალექსანდრე და თეიმურაზ ბატონიშვილთა, 30 — 7 — 1805 წ.).

ამ წერილებით გენ. ციციანოვმა მართლაც აუხილა თვალები პეტერბურგს; ამის შემდეგ ხელმწიფეს აღარაფერი სჯეროდა: არც ბატონიშვილთა შერიგება დაბრუნებისა, არც დედოფალ დარეჯანის ამგვარი წადილისა. იგი მიხვდა, რომ ამ ქალში ქართველი დედოფალის მოვალეობა უფრო სჭარბობდა ვიდრე მოხუცი დედისა, სიკვდილის წინ შვილთა ნახვა რომ ენატრებოდა.

რუსეთი მიხვდა, რომ ერეკლე მეფის მეუღლე პენსიებზე და პეტერბურგის გაჩაღებულ სასახლეზე არა ჰყიდდა ქართველი დედოფალის ღირსებას. გენ. ციციანოვს საბოლოოდ დაუჯერეს და დედოფალსა და ბატონიშვილების შუა ყოველი გზა გადასჭრეს. აწი მათ ურთიერთ-თათვის არც წერილით, არც სიტყვიერად ხმის მიწვდენა აღარ შეეძლოთ.

ამ ახალ მარცხს მოხუცმა დედოფალმა ველარ გაუძლო. ყველა მისი იმედების დამარცხებამ, საქართველოსთან და შვილებთან კავშირის გაწყვეტამ, მას სიცოცხლე ნოუსწრაფა და 1807 წელს, ნოემბერში, მან სამუდამოდ დახუჭა თვალები.

როგორ სცხოვრობდა დედოფალი უკანასკნელ წლებში, ჩვენ სამწუხაროდ არ ვიცით. „საქართველოს სიძველენი“-ში მოიპოვება ცოტა რამ, რაიც დედოფლის დიდ გაჭირვებაზე ლაპარაკობს: მთელი მისი ქონება ხომ რუსეთის ხაზინამ მიითვისა და ტყვეობაში მყოფ დედოფალს საკმაო ულლუფაც კი არ მიუჩინეს! ერთ — ერთი, 1806 წ. მაისის 22-ს დაწერილ წერილში, დაჩეჯან დედოფლის მოღალატეები, ალალო ყორღანაშვილს სწერენ:

„ღვთის მადლობა გემართებს, რომ ბატონი დედოფალი მშვიდობით ბრძანდება. სხვა ამას გარდა, მოგესხენება, რაც ცხოვრება გვექნება... **წიგნს რომ მოგართმევთ ხოლმე, არ ვიცით, მოგერთმევთ თუ არა“-ო**

ისინი ბოდიშს იხდიან, რომ ცარიელ წერილს გიგზავნიით, მაგრამ ჩვენი ვფალი შენვე იციო. ექვთიმე თაყაიშვილს აქვე მოჰყავს ორი წერილი დედოფლისა ა. ყორღანაშვილიაღმი, 1805 წლის სექტემბრის ბოლოსი და 1806 წლის 22 მაისს დაწერილი. ორივე წერილში

დედოფლის მიძიმე მწუხარება და ვაება იხატება მრავალ უბედურებათა გამო, მას რომ თავს რუსეთმა დაატყდა. პირველში დედოფალი ატყობინებს ა. ყორღანაშვილს, რომ წერილი მივიღე, მაგრამ სამაგიეროს არას ვწერ. პირადად ვაბარებ იოანე აქიმსო და ის წერილიდ გვიამბობს. „მწუხარებისა გამო თავი ხელთ არა მაქვს“-ო, სწერს დედოფალი, „და არცა გონება თავისუფალი არის მწუხარებისა გამო“-ო.

მეორე და უკანასკნელ წერილში ა. ყორღანაშვილი-საღმი ჩვენ ვკითხულობთ:

„მეც დიდათა მსურს შენთვის წიგნის მოწერა, მაგრამ გზაზედ ვგონებ თურმე იკარგება წიგნები და ამისთვის ვერ მოგწერ... რამდენიმე ხანია მანდაური ამბავი აღარა შემიტყვია რა“-ო და ბოლოს სთხოვს — „ჩემო ალალო, მანდაური ამბავი და ჩემი ქალებისა წერილად მომწერე... სხვებზე ვიცი ჩემს ამბავს მიხსენებ, ჩემი ამბავი რაღა სათქმელი არის“-ო.. (იხ. საქართ. სიძვ. გვერდი 292 — 294).

პეტერბურგში დარეჯანის უმწეო მდგომარეობას, მისი ორი წერილიდანაც ვხედავთ, რომელსაც ის თავის საყვარულ შვილს, ფარნაოზს უგზავნის და რომელსაც ჩვენ შემოკლებით მოვიყვანთ. ეს წერილები 1806 წლის თარიღს ატარებს და ეს ის წელიწადია, როცა დედოფალს უკანასკნელი იმედები დაემსხვრა და იგრძნო, რომ საქართველოს თავისუფლების ხილვას ის ველარ მოესწრებოდა!

მართალი იყო, რომ სპარსეთში გახიზნული ალექსანდრე ბატონიშვილი ისევე იბრძოდა და გულს არ იტებდა, მაგრამ თვით საქართველოდან გულსაკლავი ამბები ჩამოუტანეს: რუსეთმა 1804 წ. მთიულეთის დიდი აჯანყება, თავში რომ ასე წარმატებით მიდიოდა, სისხლში ჩაალრჩო და მისი მეთაური, ფარნაოზ ბატონიშვილი ხელთ იგდო. ხოლო მეფედ გამოცხადებული, უსაყვარლესი შვილი, იულონი ხომ უფრო ადრე იქმნა ქართლის საზღვარზე დაპატიმრებული! ამრიგად, რუსეთმა და გენ. ციციანოვმა ბაგრატიონები, ერეკლეს და გიორგის ვაჟები, საქართველოდან გარდასახლა, ხოლო ალექსანდრე ბატონიშვილს კი მისი მარჯვენა ხელი წაერთვა.

დედოფალს გულგამგმირავი ცნობები მოსდიოდა ქ. ტულიდან. სადაც იულონი იყო გარდასახლებული და ქ. ყორღანეთიდან, სადაც ფარნაოზ ბატონიშვილი, მთელი მისი მხლებლებით, დიდ შევიწროებას განიცდიდა გარდასახლებაში. მასთან ერთად იმყოფებოდნენ მეუღლე მისი ანა და ოთხი მცირეწლოვანი შვილი. ფარნაოზი აქ უდიდეს გაჭირვებას განიცდიდა, რადგან ციციანოვმა საგანგებოდ ხელმწიფეს სთხოვა — ფრიად შემცირებული ულლუფა დაენიშნათ მისთვის და ამას გარდა, ის უნდა დაშთენილიყო ვორონეჟის ადმინისტრაციის მუდმივ თვალყურის დევნებაში, როგორც ბელადი მთიულეთის აჯანყებისა: მთელი ქონება ბატონიშვილისა კი გენ. ციციანოვმა რუსეთის ხაზინას გადასცა! აი, ამ ამბებმა დაუქვმო დედოფალ დარეჯანს უკანასკნელი იმედის კარები, მისი გული იდაგებოდა, რომ საყვარელ შვილების, მისი ერთგული მებრძოლების ხილვის ნება არ დართეს...

დედოფლის ყოველი ცდა და თხოვნა, რათა ნება დაერთოთ იულონისა და ფარნაოზისათვის, თვისი გარდასახლების წლები მოხუც დედასთან ერთად გაეტარებინათ, უშედეგოდ დარჩა. ხელმწიფემ მხოლოდ ციციან-

ნოვის რჩევას ათხოვა ყური და ბატონიშვილები დედას სამუდამოდ განაშორა.

ყველაზე მეტად ესლა ფარნაოზის და მისი ოჯახის დიდი მატერიალური გაჭირვება სტანჯავდა მოხუც დედას. მოვიყვანოთ მისი ორი წერილი ფარნაოზისადმი პირველი წერილი დათარიღებულია 10 — 12 — 1805 წ. და დედოფლის საიმედო პირის მიერ არის ფულთან ერთად წარგზავნილი. ამ წერილიდან არა მარტო ფარნაოზ ბატონიშვილის გაჭირვებულ მდგომარეობას ვეცნობით, არამედ თვით დედოფალისასაც —

„უგანათლებულესო მეფის ძეო,

„უსაყვარლესო შვილო ფარნაოზ!

„მესამოდა რა ნაკლუნევაწებთი მდგომარეობა თქვენი ამად იძულებულ ვიქმენ დ დობრივთაგან ნაწლევთა და წარმოგივლინე ორმოცი თუმანი შესაწევნელად ნაკლუნევაწებისა თქვენისა. შენმა სიცოცხლემ, ერთის თვის ულსუფა ჩემი კერძობისა ეს არის, რაც შენ და იულონს გამოგიგზავნეთ... რომ ერთს თვეში ერთი ფული არავისთვის მიმიცია. მრავალ გვარად ვეცადე და ამაზედ მეტი ვერსაიდან რა მოგავგარე. ჩვენც დედრონი ხარჯები გვაქვს, რომ ვალიც მრავალი მედება... სხვას გარდა მარტო ოცდაშვიდის თუმნის შეშა გვინდება თვეში... ამის გამო, ვერსაიდან რა ვიშოვნე, ისევ ჩემს კერძობას დავაკვლ და თქვენ გამოგიგზავნეთ“...

ამის შემდეგ დედოფალი თავის პირად ამბებზე მოკლედ აუწყებს საყვარელ შვილს:

„ვცხოვრობ ძალითა ღესათა, ჯერეთ მწუხარებასა შინა... და ვთხოვ, რათა არა მომაკლდებოდეს სმენა ვითარებისა თქვენისა, რცა უძვირფასეს არს ჩემთვის.

„უგანათლებულესო მეფის ძეო, თქვენის ბედნიერებითისა ხილვისა მოსურნე, საქართველოს დედოფალი — დედა თქვენი“.

ქვემოთ დედოფალი ასეთივე სიყვარულით მოკითხვას უძღვნის თავის რძალს ანას და შვილისშვილთ.

მეორე წერილი დაწერილია 22 — 5 — 1806 წ. ამ წერილიდან ვტყობილობთ, რომ დედოფლის ჯანმრთელობა ამ ხუთ თვეში ფრიად გაუარესებულა. „მინდოდა წიგნის მოწერა, მაგრამ სნეულებისაგან დრო არა მქონდა“ —ო სწერს დედოფალი, „ამას წინად ისე ავად ვიყავ, რომ რალა მოგახსენო“... შემდეგ დედოფალი აუწყებს, რომ თქვენს აქეთ გადმოყვანას, როგორც ვეთხოვათ, ბევრს ვეცადე, მაგრამ არა გამოვდა რაო... ღწნ ისე შენი გრძლად სიცოცხლე და ბედნიერება ინებოს, როგორც გულითად მე მაგ საქმის აღსრულებას ვსციდილობდე, მაგრამ მეტად გვიან გამოდის პასუხიო. (იხ. სვედენია ოპამიატნიკას.. გვ. 284 — 6). ალბათ ამ პასუხთა ლოდინმა დალია დედოფლის გული. უმაღლესი ხელმწიფე უმაღლესი კედელი იყო მოხუც დედოფლის წინ აღმართული და ეს კედელი ყრუ იყო.

ამის შემდეგ დედოფალს დიდ ხანს არ უცოცხლია.

დედოფალ დარეჯანის გარდაცვალებაზე ჩვენ ძალიან ცოტა ცნობა მოგვეპოვება. ხელთა გვაქვს მხოლოდ ერთი წერილი, გამოგზავნილი პეტერბურგიდან, დედოფლის ერთერთ მხლებელის მიერ, რომელიც მოკლედ აუწყებს დედოფლის მიცვალების ამბავს.

გაბრიელ ჭილაძე თბილისში, თათულას, ერეკლესა და გიორგი მეფის სასახლის ექიმს სწერს:

„უფალმა მიგვილო უკანასკნელი, უცხოებასა შინა შინა, ნუგეში და მოგვაცლო ჩვენ საზოგადოსა დედისა და მფარველსა ჩვენსა, საქართველოს დედოფალს დარეჯანს ვითარსა ღვთაებრ მოწყალესა გვაშა, რომელიც არა მხოლოდ ჩვენზედა, არამედ ყოველთა იწროებათა და უბედურებთა ბნელ მორტყმულთა ზედა მოჰვენდა სხივთა ღმობიერთა და ხელის აპყრობასა მოწადეობდა... ცხათ ვახდა და 8 ნოემბერს მიიცვალა, ოჰ, რა საცოდაობა იყო იმისის შვილებისა და იქ მყოფ ქართველთა — მამრთა და მდედრთა! ბატონიშვილები და ბატონის რძალი ქეთევან (ალბათ იოანე ბატონიშვილის მეუღლე, ზურაბ წერეთლის ასული) და სხვანი ქართველნი, ყველანი სრულებით იქ ვახლდით. თქვენ წარმოიდგინეთ, რა უამი შეუდგებოდათ იმის შვილებსა: ყოველი ჭირი გაუხლდათ... ძველმა და ახალმა იმათის მწუხარების ცეცხლმა აღგზნება დაიწყო და ჩვენც იმათის სიბრალულის ცეცხლით ვიწოდით... ნეკსკის მონატერში დიდის დიდებით დავსაფლავეთ. განსვენებას დაესწრო თვით იმპერატორი და დიდი ჯარი“.. (იხ. მ. ჯანაშვილის „საქართველოს ისტორია“. გვ. 490).

რა იყო ეს ძველი ცეცხლი, „აღგზნება რომ დაიწყო“, და ყველა იქ დამსწრეთ „ძველი ჭირი გაუახლა“, ჩვენ კარგად ვიცით: გარდვიდა ესეცა, უკანასკნელი აჩრდილი ერეკლეს ძველი დიდების ხანისა...

მეორე, უფრო მოკლე ცნობა დედოფლის გარდაცვალების შესახებ, ჩვენი წარსულის უებარ მკვლევარს მარი ბროსეს ეკუთვნის: ის გვაუწყებს, რომ დედოფალი დარეჯანი 8 ნოემბერს, 1807 წელს, პეტერბურგში გარდაიცვალა და რუსეთის იმპერატორმა ის მეფურის ღირსებით, ნევის მონასტერში, ხარების ეკლესიაში დააკრძალა (იხ. ბროსე, 2. გვ. 289). ისტორიკოსი გულის ტკივილით აღნიშნავს, რომ მას, რალაც შეთხვევისა გამო, გამორჩენია დარეჯან დედოფლის ეპიტაფია და თავის „აღწერებში“; (რომელიც დაბეჭდილია „მემუარ დე ლეკადემი, 6 სერი, ტ. 4), არ შეუტანია.

სამწუხაროდ: ამაზე მეტს ცნობას დედოფლის გარდაცვალებაზე არც ბატონიშვილი დავითის „ნარკვევებში“ ვხვდებით.

ბოლოს მოგვყავს მარი ბროსეს ცნობანი დარეჯან დედოფლის ბეჭდების წარწერების შესახებ.

დედოფალს ორი ბეჭედი ჰქონია. ერთზე რომელიც ამოჭრილი იყო 1796 წ., სწერია: „დედოფალი დარეჯან“, ხოლო მეორეზე, რომელიც დედოფალმა უფრო ადრე — 1776 წელს ამოაჭრევინა, შემდეგი წარწერაა:

„ვინ არს მიწეზი არსთა მკობისა მან მცა წიადი დედოფლობისა“. (იხ. „მონოგრაფი ყეორყენ დე მოსკუ“. ბაულეტენ 4. გვ. 299).

დასასრულ გვინდა მკითხველს დედოფლის მხლებლების ბედის შესახებ ერთი მცირე ცნობაც მივაწოდოთ.

დარეჯან დედოფლის მოლარე, მახურნი მარიამ და თამარ, მაისის 12-ს, 1812 წ. სტეფანე ყორღანაშვილს სწერენ, რომ ისინი, სხვა მხლებლებთან ერთად, დედოფალ დარეჯანის გარდაცვალების შემდეგ, იმერეთის დედოფალს, ანას, თვის მზრუნველობაში აუყვანია — „ჩვენი ვითარება მოიხსენოთ: იმერეთის დედოფალ ანასთან ვართ, თავის სახლში დავგაყენა, შეშა და სახ-

ლი უსაყვედუროთ გვაქვს და პატივსაც გვცემს და შემდეგ მომიღონე და ჩვენს სიცოცხლეს მოიხსენებ: სანატრელის ჩვენის ხელმწიფის შემდგომად — რა სიცოცხლე გვექმნება? და ამ სნეულების გამოც რა მწუხარებაში ვიქმნებით“...

**ამავე თარიღით სწერს სტ. ყორღანაშვილს დარეჯან დედოფლის დეკანოზი ალექსიძე და აცნობებს, რომ ისიც დედოფალმა იმერეთისამ, ანამ, შეიხიზნა. დარეჯანის ყოფილი დეკანოზი დედოფლის დაკარგვის გამო მის**

მწიგნობრობა გლოვას აუწყებს ყორღანაშვილს: „მანათი მწუხარებისა აბა რაღა მოგახსენოთ“ — ი. მას ამის გამოთქმაც კი უძნელდება. (იხ. „საქართველოს სიძველენი“, ტ. 3).

როგორც ვხედავთ, დედოფლის უანგარო-სიყვარული მისმა ამაღამ ბოლომდის შეინახა გაჭირვებაში და უცხოებაში.

თამარ პაპავა

კ ი ლ ე ვ ე რ თ ი ო ც ლ ა ე ქ ვ ს ი მ ა ი ს ი

სადღესასწაულო ჯერ კიდევ არაფერი გვაქვს, მაგრამ მაინც ერთგვარის სიამაყით გვინდა აღვნიშნოთ, რომ დღეს მეოცდაათე 26 მაისია, რომელსაც გარდახვეწილი ქართველობა უცხოეთში ხვდება.

ჩვენი მტრები ამაზე იცინიან, მაგრამ არც ჩვენ ვსტირით...

ოცდაათი წელი ლტოლვილობაში, უცხო კარზე გატარებული უამრავ მორალურ დევნა - დამკირების და დუხჭირ ეკონომიურ პირობებში გატარებული, მთელი ისტორიაა ერთის თაობისა, გარნა ერთი სტრუქტურა გრძელს, ქართულ მატრიან ფურცლებზე დაწერილი.

ჩვენი გზა ეკლიანია, შეიძლება კიდევ უფრო მძიმე და გრძელი გზა გვექმნეს სავლელი. მრავალჯერ ჩავიბუხლეთ, მძიმე ქმენა აღმოგვხდა, ქირის ოფლი და ცრემლები ვღვარეთ ამ 30 წლის გზაზე, მაგრამ ხომ ხედავს ქვეყანა, ხომ ესმის ჩვენს განაწამებებს, რომ ჩვენ ისევ ვღვავართ, ისევ ვგუშავობთ და ქართული დროშა ხელიდან არ გაგვიშვია.

განა ეს ცოტაა ამ მსოფლიო ქარკვეცხლის დროს? განა ეს ერთგვარი ნუგეში მაინც არ არის ტყვეობაში მყოფ ერისათვის?

ჩვენი თაობა ისევ 26 მაისის სადარაჯოზე სდგას და მოთმინებით აღტურვილი, უცდის საქართველოს აღდგომის დღეებს... ჩვენი რაზმები არ შემცირებულა; წინააღმდეგ, — ისინი უფრო გააზარდნენ და განმტკიცდნენ. საქართველოზე ფიქრით და ზრუნვით მოხუცნი არ დადლილან, მაგრამ წლებმა და სნეულებამ მრავალნი წარიღეს. მათ ადგილას ორი და ოცი დაღვა — შემოგვემატნენ ახალი ძალები... მტრებს გახარება არ მისცეს — რაზმი არ შეთხელეებულა.

ეს 30 წელი რას ვაკეთებდით ამ სადარაჯოზე? რას მავალწიეთ? განა შევძელით ჩვენის სუბი ძალებით ბუმბერაზი მტერი შეგვეწირობინა? ჰქონდა განა აზრი ამდენ წამებით და ვაებდით ამ 30 წლის მანძილზე ეკალნარით სვლას?

ჩვენ და ჩვენი თაობა ამის მსაჯულები არა ვართ; ვერც ვიქნებით. ამას ისტორია იტყვის: პირუთენელი, მიუღოგომელი...

ჩვენ მოსამართლენი არა ვართ, მაგრამ ჩვენ მოწამენი გახლავართ — შეფიცულნი და მოწამენი საქართველოს ხსნისათვის.

ისე, როგორც ჯვარით ხელში იდგნენ ჩვენი წინაპრები და კვდებოდნენ, მაგრამ ერსა და სარწმუნოებას არ დალატობდნენ, ასევე ვღვავართ ჩვენც ქართულის დროში ხელში და სამშობლოსათვის სიკვდილი არ გვაშინებს...

ჩვენი აქტივია — ჩვენი სიმტკიცე, ჩვენი იმედი და მოთმინების ძალა.

მაგრამ ამ აქტივს ამ 30 წლის მანძილზე ობიექტიურადაც ბევრი მიემატა: დღეს ჩვენ მარტო არა ვართ, ჩვენი ძახილი წინად, ბარბაროსულ რეპრესიონიზმის დასათრგუნავად და პატარა ერთა სახსნილად, დღეს მარტო ჩვენი ძახილი ადარაა...

გზა და გზა შემოგვიერთდნენ მრავალი კულტურული ერები, რომელთაც უკუღმართი ბედის გამო საყვარელი სამშობლო დაჟმონეს და ჩვენებრ ლტოლვილჰყვეს.

ჩაგრულთა, დაპყრობილთა რაზმები გაიზარდნენ; დღეს ჩვენი ტკივილი მილიონებს სტკივა, ჩვენი ქვეყნის მტერი მრავალ ერების და ქვეყნების დაუძინებელი მტერი გახდა.

ჩვენი სიმართლე დამპყრობელ ბარბაროსთა შესახებ წინად არავის ესმოდა. უკიდურეს შემთხვევაში ფრიად გარდაჭარბებულად და ტენდენციურად ეჩვენებოდა. „მთლად ეგრეც არ იქმნებოდა“, გვიმტკიცებდნენ პირველ, „ჩვენის ცნობებით დღეს რუსეთი მაინც დემოკრატიულია, ძველს ბევრით სჯობს... ერებს საკმაო თვითგამორკვევას და უფლებას ანიჭებს და ეკონომიურადაც ხომ აყვავებისაკენ მიჰყავს. ტერორი დროებითაა, ყველა რევოლუციათა საერთო სენი... მაგრამ ამ ტკივილებში უქვევლად ახალი და დიდი იშობა. უნდა აიტანოთ, მოითმინეთ... თქვენ-

თვის“... „გვასწავლიდნენ“ ეს განათლებულნი და პოლიტიკურად დაწინაურებულნი.

ჩვენი ჭეშმარიტება — ოჯახის განადგურებაზე, ერის საფუძვლის მოშლაზე, მოწინავე თაობის უწყალო აღეტაზე მათ „შეთხულებ“ მიანიდათ და ჩვენს უტყუარ ცნობებს პრესამაც არ ათავსებდნენ, ან ისეთ შენიშვნებს უკეთებდნენ, რომ ეს სინამდვილე აღარავის სჯეროდა.

„ვაპქრა ეს დროცა“ და დღეს ეს სკეპტიკოსი ჩვენს რაზმებში სდგას, ჩვენზე უფრო ძლიერი ხმით გაიძახის ჭეშმარიტებას და უფრო მკვეთრად და ულმოზელად დარტყმისათვის მოუწოდებს მთელს კულტურულს კაცობრიობას.

შემდეგი გადაწყვეტი ფაქტორი, ჩვენს აქტივს რომ შემატებია, არის ერთ ინტერნაციონალურ ორგანიზაციებში თავმოყრილი ძლევაშისილება ყველა კულტურული ქვეყნებისა, რომელიც შექტურვილია დაუშრეტელ ეკონომიურ, ტექნიკურ და სტრატეგიულ დოვლათით. ამ შეკავშირებულ ძალას წინ უძღვის დიდი ამერიკა, ქვეყანა ყოველგვარ შესაძლებლობათა; ეს ის ამერიკაა, რომელმაც ორივე მსოფლიო ომის სასწორი მძლავრად თავისაკენ გადახარა და, დაგვიანებით ლაშქრობაში შესულმა, ბრძოლა სახელოვანად მოიგო. ამერიკასთან ერთად სდგანან ყველა მოწინავე ერები.

სკეპტიკოსები იტყვიან: რუსეთს ორი უპირატესობა მაინც რჩება მონავალშიაცო: 1. მას აუფორიალებია დროში ცოცხალ და წარმტაც ლოზუნგებით ახალ ქვეყნის, შრომისა და თავისუფლების სასუფეველისა და 2. მას ყველა ქვეყნებში ჰყავს დარაზმული ლეგალური თუ არალეგალური ძალები, ე.წ. „მეხუთე კოლონა“, რომელიც ყველგან სამოქალაქო ომს გააჩაღებს და ლენინის ძველს ლოზუნგს: „გარდააქციეთ საერთაშორისო ომი სამოქალაქო ომად“ — ემსახურება.

ეს დაიკვება, დამფრთხალ და და-

შინებულთა ფანტაზიის ნაყოფია. ეს „უპირატესობანი“ მირაჟია და სინამდვილეს არაფრით უდგებია.

გავსინჯოთ დღეის რუსეთის ეს ლოზუნგები: ეს არის განთავისუფლება და სოციალური ემანსიპაცია, სხვანაირად, პიროვნებისა და შრომის თავისუფლება. ეს ლოზუნგი იქნებ წარმტაცად ეჩვენებოდა ჩაგრულ ერებს და ქალაქისა და სოფლის ძუძებს. მაგრამ ამ თითქმის 35 წლის მანძილზე მათ საკმაოდ იწვნიეს ეს ეროვნული და ეკონომიური „ემანსიპაცია“!

რუსეთის წითელი იმპერიალიზმი „დიდ პოლიტიკოსთა“ დაუდევრობით თითქმის ხახვევარ ევროპას ძოვდო და სადაც მისი ტლახქი ძალა მისწვდა, იქ ყველაფერი ეროვნული ბორკილდებულყო, ნაციონალური შემოქმედება ჩაჰკლა და რუსული დამახინჯებული კულტურა თავს მოახვია. ათასობით და ათიათასობით გამოზობიან სოვეტების გუშინდელი მოტრფიალენი და რკინის ფარდის აქეთა მხარეს იბრუნებენ ჩაკლულს ეროვნულ სულსა და ბუნებას. ყველა ესეხი და ვინაც ამ ფარდას 'ში-ში'ს და ტერორის გამო ვერ გამოვიდა, დაუძინებელი ძტრები განდნენ რუსულ ხაციოხალურ ბოლშევიზმისა და ჩვენს ძტერს შედგრად უტევენ.

მათი თეორე ლოზუნგი — „თოიში თავისუფლება“ ხომ უფრო დიდი ხანა რაც გაკატრდა და სახელმწიფო კაპიტალიზმის ყუომოტრილ მოხებად იქცხეხ ყველა თუშები ქალაქებისა და სოფლებისა. საკმარისია უბოლო ფიქრი ამ შრომის თავისუფლებაზე, ამ რაიმე ადამიანურ პირობებზე, რომ ეს „მუშები“ საკონცეტრაციო ლაგერებში შეკაროხ და ყინვაძი და ჭაოებში დღედაღამ მძიერი და ხახვევად მიძველიი ამუშაონ, ვიდრე ფიხზე დგოძაა შეხსლებენ. ძილიონობით იელიტება ეს თეორე საუკუნის მონათა რახში და მათ ადგილას ახალ ძილიონებს მიერეკება ამ ლაგერებში საბჭოთა ადმინისტრაცია, განუჯვალად და გახუკითხავად.

დღეს ესეც ყველამ კარგად იცის და ამ სისამდვილეს ძთელი ყვეყახა შედავს.

რუსეთის „მემდეგი „უპირატესობა“ — ძეხუთე კოლოხა, ხომ ძხოლოდ აეთიფე ახაოქული და დამძლეილი, ამორალური ძალაა, რუტულ ფულით მოსყიდული — ერთა და ძუშა-გლეხთა დასამონებლად... ვინ არ იცხობს მათ: გამირნი რუსულ ჩეკის იძილით და დამფრთხალხი და ლაჩარნი, როცა რუსეთის რამე მარცხს ხედავენ.

ასეთია რუსეთის ორი „უპირატესობა“... ეხლა გადავხედოთ მერე ბანაკს. განა ორივე ეს „უპირატესობა“



### საქართველოს დამოუკიდებლობა

საქართველოს დამფუძნებელი კრება, — არჩეული პირდაპირი, თანასწორი, საყოველთაო, ფარული და პროპორციონალური საარჩევნო სისტემით ორივე სქების მოქალაქეთა მიერ, — თავის პირველსავე სესიონზე, 1919 წ. მარტის 12-ს, ქვეყნისა და ისტორიის წინაშე აღიარებს, რომ ის სავსებით იღებს და ადასტურებს საქართველო! ეროვნულ სანჯის მიერ 1918 წ. მაისის 26-ს, ნაშუადღევს 5 ს. და 10 წ. თბილისში განკარგადებულს საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ აქტს:

### საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი

„მრავალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო არსებობდა როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო

„მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს ყოველმხრით მტრისაგან შევიწროებული საქართველო თვისი ნებით შეუერთდა რუსეთს იმ პირობით, რომ რუსეთი ვალდებული იყო საქართველო გარეშე მტრისაგან დაეცვა

„რუსეთის დიდი რევოლუციის მსვლელობამ რუსეთში ასეთი შინაგანი წესწყობილება შეჰქმნა, რომ მთელი საომარი ფრონტი სრულიად დაიშალა და რუსის ჯარმაც დასტოვა ამიერკავკასია

„დაჩნენ რა თვისი ძალღონის ამირად, საქართველომ და მასთან ერთად ამიერკავკასიამ თვით იღვეს თავს საკუთარი საქმეების გაძლოლა და პატრონობა და შესაფერი ორგანოებიც შეჰქმნეს; მაგრამ გარეშე ძალთა ზედგავლენით ამიერკავკასიის ერთა შემართებული კავშირი დაირღვა და მით ამიერკავკასიის პოლიტიკური მთლიანობაც დაიშალა

„ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა აუცილებლად მოითხოვს, რომ საქართველომ საკუთარი სახელმწიფოერივი ორგანიზაცია შეჰქმნას, მისი საშუალებით გარეშე ძალის მიერ დაპყრობისაგან თავი გადაირჩინოს და დამოუკიდებელ განვითარების მტკიცე საფუძველი ააგოს

„ამისდა თანახმად საქართველოს ეროვნული საბჭო 1917 წლის ნოემბრის 22-ს არჩეული საქართველოს

ეროვნულ ყრილობის მიერ, დღეს აცხადებს:

1. ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა
2. დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ფორმა — დემოკრატიული რესპუბლიკაა
3. საერთაშორისო ომანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა
4. საქართველომ დემოკრატიულ რესპუბლიკას სურს საერთაშორისო ურთიერთობის ყველა წევრთან კეთილშემზობლური განწყობილება დაამყაროს, — განსაკუთრებითკი მოსახლერე სახელმწიფოებთან და ერებთან
5. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს, განურჩევლად ეროვნებისა; სარწმუნოებისა, სოციალურ მდგომარეობისა და სქებისა
6. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს
7. დამფუძნებელ კრების შეკრებამდე, მთელის საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეებს უძღვება ეროვნული საბჭო, რომელიც შევსებული იქნება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებით. და დროებითი მთავრობა პასუხისმგებელია საბჭოს წინაშე“.

ბა“ რეალურად არ ახასიათებს ამ სახელმწიფოებსა და ერებს?

განა საკმარისი არ არის რომ ეს დემოკრატია უკვე მილიტარულ ძალებსაც რაზმავს, რათა ყველას, ყოველ ერს გაუწიოს რეალური დახმარება, რომ ისიც რუსეთის ექსპანსიის მსხვერპლი არ გახდეს და რკინის ფარდის იქეთ — მონათა ბანაკში არ მოქცეს? განა ის არ იბრძვის თავისუფალ ერთა გადასარჩენად...

და განა ამის გამო არ შესდგა რუსეთი და ველარ ბედავს თავის „სამოთხეში“ შეიყვანოს ჯერ მთელი გერმანია - ავსტრია და შემდეგ მთელი ევროპა. მან იცის, რომ ეს მას არ შერჩება და ახალ ომში კი დამონებული ერები თვით ჩასცემენ ზურგში მახვილს — რუსეთის იმპერიალისტური ხუხულა ჩაიშლება და ველოკოროსობამ თავისი ეთნოგრაფიული საზღვრები უნდა მოსძებნოს.

რაც შეეხება „მეხუთე კოლონას“, ეს ხომ უღვევლი და ურიცხვია თვით ოკინის ფარდის უკახ... მილიონები ქეშმარიტი პატრიოტებისა სდგანან „იქეთ“ და ლესენ მახვილს, უცდიან, რომ დიდი დათვიც ფეხს წაიკრავს და მახვილიც ამ დროს მას შიგ გულში უნდა სწვდეს.

მის გვერდით სდგანან მილიონები პროლეტარებისა, რომლებიც საბჭოთა კაპიტალიზმმა მონათა რაზმებად აქცია და ეს მშობერი არმია ბორკილებით თავის ახალ „კომბინატებს“ მიამაგრა. ამას თან მოჰყვება უდიდესი არმია სახლ-კარ და ოჯახ დანგრეულ გლეხთა...

აი, ეს გახლავთ ნამდვილი, ერთგული და თავდადებული „მეხუთე კოლონა“ დემოკრატიული ქვეყნებისა... და ეს კოლონა ჩვენ არც ფულთი და არც შიშით არ მოგვისყიდია; ის შეფიცულია განთავისუფლების დროსაზე და პირველი მხის გაგარდნას უცდის, რომ სასიკვდილოდ ეძგეროს მტერს, რომ ყელი კბილებით გამოუღადროს.

ქეშმარიტად განწირულია რუსული ძოლოხი, კომუნისტური კაპიტალიზმი... მონები აჯანყებისათვის და რაზმულან და მათი რიცხვი ლეგიონი არის.

აი, ამ 30 წლის თავზე როგორია ჩვენი აქტივი და ტყუილად უპარის მტერს ჩვენი ლტოლვილობათი მხევედრა კიდევ ერთი ჯა საიასა, ტყუილად აგოხიათ მათ, რომ ჩვენ ვართ... ეხლა უფრო მხედ, ვიდრე ოდესმე სდგას ჯა ძაისა სადაოაჯოზე ძველი გვარდია ქართული დროშისა და მათ ღირსეულად გვეოდით ამოსდგომიან ახალი შემატეათი, ახალგაზრდა ძალები...

ჩვენ ვამჩნევთ, რომ უკუნეთი ირ-

ლვევა და შორს, ძალიან შორს გამოჩნდა განთიადის პირველი სხივი... რიჟარჯი იწყება ჩვენ კიდევ ვიბრძობლებთ; ჩვენ მოვესწრებით საქართველოს აღდგომას და გახარებას.

ხოლო, თუ ჩვენ არა — ჩვენს უკან მდგომი რაზმი მაინც მოვესწრება... ჩვენ ეს არ გვაშინებს — ჩვენ საქართველოს გალილეი გახლავართ და ვიცით, რომ დედემიწა „მაინც ბრუნავს“.

ეს შეფიცვა და დროშის წმიდად შენახვა ხომ ჩვენი ყველაზე ძვირფასი აქტივია. ჩვენ შეგვიძლია დიდი სიამაყით წარვსდგეთ ჩვენი ერის წინ და პირდაპირ თვალბეჭდში ვუცქიროთ. ჩვენ ის გვიცნობს, მიგვიღებს და შეგვიყვარებს, რადგან წმიდად შეგვიწინავს მისი სახელი და უღირსს საქმეში არასოდეს გავერეულვართ... მისი დიდებისათვის ავიტანია ყოველგვარი გასაჭირი, მაგრამ მისთვის საყვედური არ გვიკადრებია.

იყენენ აქაც გამოჩაკლისნი — სულმხდალნი, ლაჩარნი, პატარა გამკემნი, საკუთარის და ეროვნულის გამკილავნი და მზრახველნი, სხვა ერებში „ღამურებად“ გადაფრენილნი, სხვისი ნასუფრალის მიმჩერებულნი, სხვათა „ოხრანკებში“ და „გესტაპოებში“ სამსახურით საკუთარ კეთილდღეობისათვის, მოძმეთა დამგომობნი და გამკემნი, საქართველოს ხარჯით და მისი სახელით მოვაჭრენი ბრილიანტებით, დინამიტებით, სინილისით, სიტყვით, კალმით...

ჩვენ ეს ვიცით, მაგრამ ჩვენ ისიც ვიცით, რომ ეს იყო ერთი მუჭა ავანტურის მადიებელთა, რომელნიც შეთხვევით მიეტმანენ ქართულ საქმეს და ქართული დროშისაკენ ხელების ფათური დაიწყეს. ამ სხვა და სხვა მოწინააღმდეგეთა საიდუმლო პოლიციებში ხამახურ ხალხს ალბათ დღესაც მზად აქვს ერთი „მოწმობა“ — ცოდვლაც, სადღაც რომელიმე კომუნისტიან ან ქრთამით ან მოტყუილებით გამორთმეული. ვინ იცის, იქნებ ესეც დასჭირდეს და ერთხელ კვლავ ძღვევა მოსილად მოგვევლინონ გამარჯვებულთა ბანაკში...

არაიან ასეთებიც... მაგრამ ჩვენ მათ ვარწმუნებთ, რომ ტყუილი ცდაა... ამ „მეთხვევაში“ ეს „მოწმობა“ მათ აღარ დასჭირდებათ.

მაგრამ, ვიმეორებთ, ეს არის პატარა, პაწაწუსა კაცუნების პატარა „მტაბი“, რომლებიც მხოლოდ ანარქიის დროს სუქდებიან.

საერთოდ კი ქართული ემიგრაცია ღირსეულად ვიდოდა ამ 30 წლის მანძილზე ეკლიასის გზით და ქართული სიტყვა, ღირსება და ვინაობა მას ერთგულად შეუხანავს. ძრავალ, უმაგალითო გაჭირვებაში ისინი იღვნენ გმი-

რულად და ვერავითარმა დაპირებებმა და ანგარებამ მათ მცდარი ნაზიჯი ვერ გადაადგმევინა.

ქართული ემიგრაცია დღესაც ამ 26 მაისის დროშას, გამხდარის და გალურჯებულის თითებით, ძველებურად მაგრად ჩასქედებია და მან იცის, რომ ქართულ მატეანეში მისი სახელიც ნათლად შევა, ვით მოწამისი სამშობლოს ღირსებისათვის.

ეს მისთვის ყველაზე დიდი ჯილდოა. მათ საყვედურს ვერავინ ჰკადრებს და ვერავინ ეტყვის:

„გარდაადგომიხართ თქვენ ქართველობას, დაგინგრევიათ დიდი მამული“... (ილია)

კახაბერი

მ ს ი ლ ე ბ ა ნ ი

ჩვენს ღვა

ვერ წარმოიდგენ, როგორ გამეხარდა, როდესაც გავიგე, რომ კრებული „მამული“ იბეჭდება. ვფიქრობ, თქვენი თანამშრომელი გავხდე, თუ ამის ნებას მომცემთ. დიდ ფილოსოფიურ საკითხებსა და ღრმა-ღრმა პოლიტიკურ სტატიებს ვერ გამოგიცნობთ, ვერც ლამაზ ლექსებსა და მომხიბვლელ მოთხრობებს მოგართმევთ, ვერც საქართველოს ამბებს მოგიყვებით... მაგრამ ბევრი რამ მაწუხებს, ბევრი რამ მაშფოთებს და მოსვენებას არ მაძლევს. ამიტომ მე და ჩემი მეგობარი ხშირად ვხვდებით ერთმანეთს და გულმოკლულნი ვბასობთ, ვდავობთ და ვჩხუბობთ ჩვენს საქირბოროტო საკითხებზე. ჩვენ დიდი შეხლაშემოხლა გვაქვს და ეს თქვენთვის აბა რა საინტერესო იქნებოდა, რომ მას სასოგადო მნიშვნელობაც არა ჰქონოდა. მაგრამ არც ის მინდა, რომ თქვენი კრებულით ბოროტად ვისარგებლო და ადგილის დათმობა გთხოვოთ. როკველერი თქვენ ფულს არ მოგცემდათ ჟურნალის გამოსაცემად! ალბათ ქართული ბეჭდვითი სიტყვის მოყვარულნი გაიღებენ თავისი ოფლით ნაშოვარის წილს... ყოჩაღ არგენტინელო ყმაწვილებო! მე თქვენ გეთყვანებით ამისათვის, თქვენ გენაცვალეთ ბიჭებო! ხო! გადავუხვიე ჩემს საკითხს...

ჩემი და ჩემი დიდთავა მეგობრის დავა ხანდახან ისეთი შწვავია, რომ პარიზული კაფეების სტუმრებიც გაკვრებულნი მოგჩერებიათ ხოლმე, რაზედ ვდავობთ?

— ვდავობთ ქართველის შესახებ.

— ვინ არის ქართველი? ვინ უნდა იყოს იგი?

ჩვენთვის, ცხადია, სადავო არ

არის იურიდიული საკითხი — ქართველი არის იგი, ვინც ჩამომავლობით ესე იგი სისხლითაა ქართველი ანდა ქართული მოქალაქეობა აქვს მიღებული. ეს განმარტება ეხება ქართველ მოქალაქეს, როდესაც მას თავისი სახელმწიფო აქვს. აბა, ეს რა სადავაა? ჩვენი სადავო საკითხია ემიგრანტი ქართველია, თავის სამშობლოს რომ მოსწყვეტია და აქ, უცხოეთს შენიჭვნი.

განა ყველა აქ მყოფი ქართველი ქართველი არის?

— ქართველი არის, რასაკვირველია, — დიმიტრიცებს ჩემი მეგობარი — მისი გვარი, ეხა, ხენჩეველები, ხასიათი, ყველაფერი ქართულია!

— არ არის სწორი! — ვამტკიცებ მე და საბუთებით შეიარაღებული ჩემს მეგობარს ვედავები:

— ქართველობა იმით არ გამოიხატება რომ იისი გვარი თავდება ხაწილაკით: ძვილი, ძე, ახი, ელი, უოი ახი და სხვა ქართველობა არ გამოიხატება იმით, რომ იგი ქართულია ყენდობს, რომ იგი ერთ იაფ ღვინოს გადახუზავს და სალამდობს დილაძე სუფოაზე პრავალჟაძერს ვაკივის თავის უძხო და უსმეო იმით. აქ ჩვენ უცხოეთში ვართ და თვითელი ქართველი თავისი ერის საუკეთესო თვითადათა წაიძობადგებელი უხდა იყოს!

**თვითელი ქართველი ემიგრანტი საქართველოს ელხია ყველგან! გესმის?** აჲ უხდა იყოს, მაგობ ასე არ არის. აბა ერთი მითხარი, რა ქართველია ის კაცი, რომელიც უხხეო, გარყვნილი, გათახარებული, ჯიბიანი და ავახაია? ძე ასეთი ეგოეთუოდებული ქართველი ქართველად არ მიხაჩნია!

— რა ვუყოთ! ასეთი უხნეო ხალხი ყველა ეოაა ჰყავს; და ჩვეიც. იისი ძიხიც ქართველები არიან და ძათ ჩვენ უხდა ვუპატროხობთ!

— როგორ თუ უხდა ვუპატროხობთ?! როგორ თუ დავიცვათ? რეიზა?! რისთვის? გრიძამ ომის დროს გერძახელებს ეგორე გრიძა დააჭეონა და კონცენტრაციულ ლაგერში ამოახიბინა: ქართველია განა ის გრიძა, თუძეა იგი ბოტყელ-ბოტყელ სიტყვეთა ლაპარაკობს მათულიმელობაზე და ხეობაზე? ქართველი კი არაა, სატახაა, სატახა! ალაოტონმა ქართველებზე აუარებელი დახოსები სწეოა და ბევრა ვიოის აბასოში თავი აკვოევისა. ქართველი არის პლარტოხი? ერთმა ჯურხალიატმა ფრახვის ერთ აფიცერს დღედაღამე დაბეზლება უუეოა და იცი რა უთხრა ამ კეთილშობილმა ფრახვამ მას, ამ გათახარებულ ქურხალიატს? უთხრა: — მე რომ ქართველებს არ ვიცხობდე, ყველა ეს ხალხი უხდა დამეჭირა და დასახვ-

რეტად გამეგზავნაო. ფუ! შენს ქართველობას! და დაბეზლების გრძელი ქვალად მის თავზე გადაახია. ეს დაძებნელებელი კი დღესაც ფარფაშობს, პოლიტიკურ მოღვაწედ თავი მოაქვს და ზნეობის შესახებ სხვებს ჭკუას ასწავლის, ლექციებს უკითხავს და იბრიქება! არა, გეკითხები! ქართველი უხდა ვუწოდო მას? ქართველია იგი? არაა ქართველი. ქართველი კი არა, სატახაა, სატახა! გიორგიმ ვანუას 200 000 ფრანკი ესესხა, უფრო სწორედ რომ ვსთქვა, გამოსტყუა მან ეს ფული. გულუბრყვილო ვანუამ ხელი გაუძართა მას და ფეხზე დააყენა. შერე? შენ გგონია, გიორგიმ დაუბრუნა ფული ვანუას? ან მადლობა უთხრა? შეხეც არ მოძიკდე! ახლოსაც არ ეკარება. თითქო არაფერი მომხდარიყოს. შენ იტყვი: გიორგი ქართველი არისო. ის ქართველი კი არაა, არამედ ნამდვილი ჯიბგირი, უბრალოდ უეროვნო ჯიბგირი, თუ შეიძლება ასე ითქვას. ასეთ კაცს ქართველს როგორ დავუძახებ? იმის მიუხედავად, რომ ყოველად ჯიბგირი ბევრს ლაპარაკობს, ძალიან ბევრს ლაპარაკობს პატრიოტობაზე და განუწყვეტლივ ყბედობს საზოგადო საქმეებზე.

— ო ვუყოთ, კაცო, ასეთი ხალხი ყველგან არის. უხდა მოვითმხობთ, უცხოეთში თავი არ უხდა ძევიოცხვიოთ, არ უხდა გავამხილოთ. სიოცხვილია ჩვეი, დიდი სიოცხვილი. უხდა გავჩუქდეთ.

— როგორ თუ უხდა გავჩუქდეთ? ძეხი და ძეხითაყენების ოთალოა, რომ ეგ კოიხითალოთ და ჯიბგირები ჩვენ საეზე დავგავადხებთ. ძეხი და ძეხითაყენების ოთალოა, რომ ეგ ვაჟიატოხეი ქართულ საზოგადოებაში თავისუფლად თაოეძობეს და ყოყლოიხითაყეს, ყოყოხობეს და ყოხეიხით დაიარეიხა, საზოგადო და პოლიტიკურ საქმეეიძი არაიცი თუ ხელა აფათუოეოეიძი, არაიძე კომახდოოეიძი ხოლმე კიდეც. უუის ასეთ ხალხს ოჯახშიც არ შეეავლებოდათ და ეხლა ეროვნულ ორგანიზაციეიძიცი ოქალაოეიძულახ ახ ცდილოძეს იქ საბუღოი გაიკეთოხ: ავაზაკები და ჯიბგირები, ძდე სდებლები და კოკახის გამაღებელხი და აოამხადები როგორ დოიხჯემოყოილხი დაიარეიხან და სხვებსა, საყყალსა და პატიოხან ქართველებს ჰკილავეს, აკიცხავენ, გმობენ და აიოარუეიძეი! არა უხდა ითქვას ეს? გავჩუქდეთ? დავეძორიილოთ ამ კრიძიოხალეძს!

— შენ ამ ცხოვრებისა არაფერი არ გავეგება. მთვარეზე ცხოვრობ, მივარეხე! რა უხდა ვუყოთ, ძეგალითად, გრიგოლს! ეს კაცი, გერმანელების პატრონობის დროს გესტაპოში იყო გამოჭიჭიჭული და ყველას შიშის ზარსა

სცემდა, ახლა, ბატონო, ამერიკელების ბატონობის დროს, ამერიკელებთან მოკალათებულა და ისევე ისე მიშის ზარსა სცემს ყველას! ამისთანებმა იციან ცხოვრება და შენ კი ამ ცხოვრებისა არა გავეგება რა, გავჩუქდები. ეხას კბილი დააჭირე! თორემ... ვირის აბახო ხომ არ მოგხატრებია!

— მაშ არა ყოფილა ზნეობა, აღარ ყოფილა კაცობა! გავჩუქდე შიშით! არა ვსთქვა სიმართლე!

— სიმართლის მთქმელს ცხენი შეკაზმული უხდა ჰყავდეს!

— მართალია. მაგრამ ამ ანდაზით საზოგადოებრივი ცხოვრება შორს ვერ წავა. ყოველ შემთხვევაში, ეს უხნეო ხალხი ჩემთვის ქართველები არ არიან და შორხა და გათავდა: ძიმიფურთხებია მათთვის.

— ხო! წადი მონასტერში! მონასტერში, ოფელია!

— რა ძიხდა, კაცო, მონასტერში!! ეგ რა გამოსავალია. არქიმანდრიტი და პროფესორი იყო გრიგოლ ფერაძე და ბერობამ არ უშველა და დაბეზლებით, კონცენტრაციულ ლაგერში, ამოახჩვეს. იცი, ვინ დალუპა ეს დიდი კაცი?!

— გამიგონია, ამბობენ.

— რატომ არაფერს ამბობს ის, ვისაც ბრალსა სდებენ. შენ რატომ არაფერს ამბობ.

— მე არ ვიცი. შეიძლება მართალია. რას იზამ, ასეთია ცხოვრება!

— კაცო! როგორ ვერ გავიგია! ცხოვრება რომ ასეთია, არ მოძწონს ეს და ამიტომ ვედავები, რათა შენს დიდ თავში შევიდეს ის შეხედულება, რომ ასეთ ხალხს დასაგმობია, გასაკიცხი! ახეთემა ძათ!

— ანათემა რას გიშველის, როდესაც თვით ემიგრანტული ქართული საზოგადოება არის დაძმლადაკმებული და კონდახში მოშლილი. დაიღალა ალბათ იგი! ალბათ!

— არა, არა მგონია, რომ დაიღალა! კიდეც ბევრია ზნეობის ხალხი. კიდეც ბევრია პატიოსანი! იცი ვინ არის პატიოსანი? აი, საყყალი რაჟდენი! ოტელის ფული დაედო, საქმე სხამართლოში წაუფიქრა და როდესაც მოსამართლემ ჰკითხა — რა ეროვნებისა ხარო, იცი რა უპასუხა? — ოუვი ვარო! დიდი ხნის შემდეგ მას შეგხვდი და ვკითხე — რატომ დამალე შენი ქართველობა-მეთქი და იცი რა მიპასუხა: — მაშ აბა, ქართველის სახელს ხომ არ შევარცხვენდიო!? პატიოსანები არიან ავაზაკთა და ქურდთა შორისაც. ავიღო მგალითად, ერთი ქართველი აფერისტი, კოსტია. კოსტიას ერთჯერ საამართლოში სასჯე ჰქონდა ყალბი ჩეკის გამო, და იცი რა განაცხადა მან — მე სპარსული ვარო! აი ეს კაცი ათასჯერ უფ-

რო კარგი ქართველია, ვინემ ის ვაჟ-  
ბატონები, რომელთაც ქართველო-  
ბით თავი მოაქვთ, პატრიოტობენ, ქა-  
რთული საკითხით ვაჭრობენ და მა-  
მულიშვილობის სახელით ყოველ  
გვარ სიმდაბლესა და უზნებობას სჩა-  
დიან, ხოლო ამ საწყალ რაჟდენსა და  
კოსტიას ლაფში სვრიან და წიხლებს  
აზღვნი! და თვითონ კი ჩუმად ათას-  
ნაირ საზიზღრობას აკეთებენ, კაცთა  
დაღუპვასაც არ ერიდებიან! ისინი  
ქართველები კი არ არიან, არამედ  
სატანა, სატანანი არიან!

—როგორც გეტყობა, შენ ახლა რაჟ-  
დენსა და კოსტიას იცავ!

—უკაცრავად! ორივემ პასუხი აგო  
თავისი შოქმდებლისათვის კანონის  
წინაშე. ვანსოვე? ბაჭია ლალიძემ  
ჩხუბია დროს მონმარტოვ, კაცი მო-  
ჰკლა. პარიზულმა სასამართლომ მას  
კატორღა მიუსაჯა. მანაც პასუხი  
აგო და დაისაჯა თავისი ბოროტები-  
სათვის. მაგრამ არც რაჟდენს, არც  
კოსტიას და არც ბაჭიას ძე პასუხს  
არა ვთხოვ მათი საქციელისათვის...  
ამათ თვით სასამართლო და კახონი  
გაუსწორდა. არა ვთხოვ მათ პასუხს,  
ვისაიდან მათ არც პოლიტიკურ, არც  
ეროვნულ და აოც საზოგადოებრივ  
ძოღვაწეებად თავი არ მოაქოხდათ  
და არც რაიძე სუოვილი გამოუჩენი-  
ათ მათ ამ მიძართულებით. მოხვდენ  
ემიგრაციაში შემთხვევით და შეძლეგ  
კახონს ქვეშაც. მე გელაპარაკები იმ  
ეგრეთწოდებულ ქართველ მოღვაწე-  
ებზე, რომელნიც ბაქიქუქობებს, თავს  
დიდ მამულიშვილურ ძუმებად ასა-  
ღებენ, სქელ - სქელ და ბრტყელ -  
ბრტყელ სიტყვება ზეიძით წარმოსთ-  
ქვაძებს საქართველოს შესახებ, პატ-  
რიოტობაში სხვებს ედავებიან, ლაჟ-  
ბობენ აღელვებით, პოლიტიკურ ჰახ-  
გებს დამღერიან ყვავის წმით, ეროვნ-  
ულ ჩანგზე აბრახუნებენ; რომელთაც  
ვერც შენ და ვერ შე ვერ შივულ-  
გებით, ზემოდახ დაგყურებენ ჩვენ  
უბრალო შომაკვდავთ და ამავე დროს  
... ამავე დროს... მათი პატრიოტიზმი  
განიზომება დაბალი, წვრილი, გარყვ-  
ნილი, გათახსირებული ანგარიშით.  
და ამავე დროს... მბებზარობენ,  
ესდესა და გესტაპოს აგენტები ხდე-  
ბიან, კერძო ინტერესებით სხვებს ღუ  
პავენ, მარშბეფელებით მიდიძოდინ  
და ვაჭრობენ, ვაჭრობენ და ამ თავის  
მოღვაწეობას ქართულ საქმედ სა-  
ხავენ, სხვებს თვალბში სილას აყ-  
რიან, ლამაზი სიტყვებით თავის სი-  
სამაღლეს ჰფარავენ და დაუაჯელი  
რჩებიან კანონის მიერაც და საზოგა-  
დოების მიერაც... გესმის? მათ არც  
სასამართლო სწვდება და არც საზო-  
გადოება ეუბნება რასმეს! რას ვამ-  
ბობ! ეუბნება კი არა... დაშინებული  
საზოგადოებას ერთი ნაწილი მათ

ფეხქვეშ ეგება, რადგან მათ ფული  
აქვთ და მეორე ნაწილი კი გაუბრბის  
მათ და ხმაგაკმენდილია, რადგან მა-  
თი ეშინია..

—ნუ ღელავ! რას შფოთავ, ძამია!  
ცხოვრება ასეთია!

—ცხოვრება ასეთია! ცხოვრება ასე-  
თია! თუთიყუშივით გაიძახი. ეს რა  
პასუხია, კაცო? მაგ შენს ვეებერთე-  
ლა თავში ამის მეტი პასუხი ვერ მო-  
სძებნე?

ჩემი მეგობარი გაჯავრდა. ადგა.  
დაუძახა გარსონს. გადაიხადა კაფეს  
ფული (ჩემიც!) და ხმის გაუცემელად  
მიძატოვა. ვიცი, კიდევ მოვა იგი აქ,  
და დავას კვლავ გავაგრძელებთ. მო-  
გწერთ ამის შესახებაც.

**პ. პარიზელი**

პარიზი, მაისი, 1951.  
**შენიშვნა რედაქციისაგან:**

**რომანიული ბარათები**

**შესავალი**

- ა. შენი თმები — თლილ გიშერის შვაგი.  
შენი მკერდი — დაქანცული მტრელი...  
ზღაპარივით საიდუმლო, შავი —  
ეგ თვალბები ტბათა შავი გელი.
- ბ. ვფიქრობ: მე რომ მეცხოვრა  
იმ დროს და იმ ხანასა —  
როცა ბუღბუღლთ დევნიდნენ  
კრაზანები ხმაურა  
მე შენ ლექსებს გიძღვნიდი,  
ვით ბესიკი ანნასა,  
ანდა როგორც პეტრარკა  
თვის მშვენიერ ლაურას.
- გ. რომანს დავწერდი ცეცხლებით ხავსეს,  
მაგრამ ეს თემა მეტად ძნელია.  
მას დავიწყების ადვია ხავსი  
და ვით ქვეყანა ძველის-ძველია.

**მაგრამ შენ მაინც...**

სულ ერთი არის... მაგრამ შენ მაინც —  
მიჰყვები დაჭრილ გულის თქმას ზღვაურს.  
და ემსგავსები გრაალელ რაინდს,  
მეტად თავნებას, მეტად უცნაურს.

სულ ერთი არის და კარგად იცი:  
ძველ ხავერდების გახუნდა ფლასი.  
ვის ჰკლავს დღეს ცრემლი რამინის ვისის  
ანდა ტრისტანის და იზოლდასი?

ბატონობს ყოფნის სიმბტოში — ფული,  
როგორც ღრუბლებში უაჩაღი ქორი  
და იბრძვის ყოფნის ორი ფაქტორი:  
კუჭი და სული...



# კუჭი და სული

შორს ნუ წაგვიყვანს ეს თემა კრული,  
ეს ასე იყო, ეს ასე ხდება: —  
ყოველთვის იყვნენ კუჭი და სული  
ერთი მეორის მოსისხლე მტრებად.

აქ შევაჩეროთ აზრთა ტრიალი:  
რადგან ახალი არაფერია;  
სულის ჰიზილავს ბრძოლა და იდეალი  
კუჭს მოსწონს ნივთი და მატერია.

## ვითნ დარიალში დაჭრილი ოსი

საგნის და ნივთის მიმზიდველობით —  
ხომ შეაძვინა ადამი ევამ?!  
ვით გამაკვირვო შენი ხელობით, —  
როგორ მომხიზლავს მე შენმა ქცევამ?

თვით ღვთაებაში იპოვნე დიდ ნაკლს,  
თუ მტრობ ფერს მარტივს და სისადავეს  
და ნუ გგონია, რომ შენ ხელში გაქვს  
ჩემი ოცნების ლურჯი სადავე.

უნდა მოგხიზლავს რწმენის ტაძარმა,  
სადაც ნისლეებში სული სადგურობს.  
მე ვერ გადამწვა ვრცელმა ხანძარმა, —  
შენ გსურს ნაპერწკლით გამანადგურო?!

არა, არასდროს ყიფინებს სული,  
ვით დარიალში დაჭრილი ოსი!  
იმდენი დამაქვს ცეცხლები გულით,  
გადიწვებოდა მთელი კოსმოსი.

## კოსმოსის ცვიცლი

კოსმოსს ძლიერი ხანძარი სწვავდა,  
სისხლს ვერ იტევდა ბეტონის დამბა

## დიდი კაცი

(ნამდვილი ამბავი)

ალაბთ ბევრს გაუგია სახელი, ან  
პირადად უნახავს ეს პატარა და კოხ-  
ტა სოფელი „ლამის ყანა“. ქართლ-  
ში ეს სოფელი განთქმული იყო თა-  
ვისი გულუბნევი პურღვინითა. ამ სო-  
ფელში მცხოვრებნიც, თითქოს შე-  
ურჩევიათო. მეტად პურმარილიანი  
და სტუმართმოყვარე იყვნენ. არავინ  
არ ჩიოდა თავის გასაჭირს; ყველას,  
მტერსაც და მოყვარესაც, თავისა  
ქართველური წესით უხვდებოდნენ.  
მაგრამ უკუღმართი წუთისაფელი  
ამ სოფელსაც მისწვდა და მხიარუ-  
ლი ქრელი ტანაცემელი შავი თალ-  
ხით შეუტყვალა.  
1904 წელს ამ სოფელს ეწვია მო-  
არული სენი და მან აუარებელი ხალ-

ხი ამოჟლიტა ააწიოკა ეს მშვენიე-  
რი სოფელი და ბევრი ოჯახი მთლი-  
ანად შთანთქა.  
სოფლის ეკლესიის მარცხნივ რო  
გაგველოთ, აუცილებლივ მიიქცევდა  
თქვენს ყურადღებას კოხტა ორ-  
სართულიანი სახლი, რომელსაც თა-  
ვისი სიგრძით განიერი აივანი ჰქონ-  
და გაყოლებული. ამ სახლს დიდი  
მწვანე ეზო აფერადებდა, რომელიც  
შემოღობილი იყო შეინდისა და წი-  
ფელის წნულით. ეზოში, რომელიც  
დაახლოებით ორ დღეებზე მეტი თუ  
არა, ნაკლები არ იქნებოდა, აუარე-  
ბელი ხეხილი იყო დარგული. მეორე  
ნაწილი ეზოსი, სახლის უკანა მხარე,  
გადიდობლი იყო ფრინველთათვის და  
შინაური ცხოველებისათვის.  
სახლის პატრონი, სანდრო ზაალი-

და კლეობატრა თავს რომ იკლავდა  
მე „ლურჯ მონოკლით“ ვუმზერდი დაბლა.  
მე მაშინ ვიყავ ბავში პატარა,  
ფრთებ გაუშლელი ბახალა ორბის,  
მას შემდეგ ბევრი ხავსე მათარა  
დავსცალე შხამით, იოდით, მორფით..  
დასწყევლე ის დრო აწ დაკარგული,  
მოგონებათა განდევნე ჩრდილი;  
იყავ გრანიტის მაგარი გულით,  
და საუკუნის ნამდვილი შვილი!  
წინ!... აღტაცება გაიადვილე,  
იგრძენ ამ ხანის ურუოლა, ციება...  
შიმნი გაზაფხულს, შიმნი ყვავილებს...  
შიმნი დიად მზეს ოქრო - სხივებას.

## შიმნი გაზაფხულს

ჩამოდექით, ნუ შემიშლით მღერასა-  
სული მზით და გაზაფხულით მთვრალია.  
მე მივეცევი უცხო ბედისწერასა, —  
, ეს ვისი ან და რისი ბრალია!  
გზა მომეცით... ნუ შემიშლით გარებას —  
ჩემი ხმა უკვდავების ხმასავით.  
ყველა მიყვარს, არცინ არ მეზარება!  
ჩემი გულიც გაშლილია ზღვასავით.

დღეს მზე არის... უღერავს ცის კაბადონი,  
სურვილი მაქვს — საუკუნო მღერისა;  
გულში ჩამჩნა სახე ქართულ მადონის,  
ვით ნატეხი ქისტის ხანჯლის წვერისა.

გზა მომეცით, — მე მსურს ვნახო პარადი  
ყვავილების რუხ აქეთ და რუხ იქით...  
მე მთვრალი ვარ, მე მთვრალი ვარ მარადის:  
ღვინით, ქალით, პოეზიით, მუსიკით...

გ. გამყრელიძე

ალექსი გარაყანიძეც ქვრივი იყო; მისი ცოლიც იმავე ჭირით გარდაიცვალა, თინაზე ერთი თვით ადრე. მას ჰაყვდა ერთი ვაჟი, ექვსი წლის კოტე; ხოლო ოჯახის მომვლელად ითვლებოდა ალექსის და პელო, რომელიც გაუთხოვარი დარჩა თავისი ვეიბერთელა კუხისა გამო.

გადიოდა დრო. უკვე მოიგლოვეს კიდევ გაწყვეტილი ნათესავობა. ალექსის შვილმა კოტემ სოფლის სკოლა დაამთავრა და შემდეგ თბილისში გადაიყვანეს სახელოსნო სასწავლებელში. სანდროს ასულმა ცინიომაც სოფლის სკოლა დაასრულა და ისევ დეიდასთან დარჩა. სწავლა აღარ განაგრძო, რადგან მეტად სუსტი ბავშვი იყო და ამიტომ არჩიეს სოფელში დარჩენილიყო. ნინო ისეთი მშვენიერი გოგონა დადგა, რომ მის შეხედვას არა სჯობდა რა.

კოტემ დაამთავრა თბილისის სახელოსნო სასწავლებლის სამექანიკო ნაწილი და ერთი წლის პრაქტიკის შემდეგ საბარგო მატარებლების მემანქანედ მუშაობდა.

სანდრო ძალიან დარდობდა თავისი ცოლის სიკვდილს და ოთხი-ხუთი წლის განმავლობაში თითქმის არაფერი გაუკეთებია; ხანგამოშვებით სოფელში ავიდოდა ხოლმე, დარჩებოდა ერთი-ორი კვირა თავის ქვისლთან, სტკებებოდა თავისი მოტიტიწე ნინიოს (ქვრივით და ისევ ქალაქს მიიღოდა. შემდეგ სამსახურში შევიდა და ასე დროს ატარებდა.

რევოლუციამ სანდროს თბილისში მოუტანა. თვითონაც ბევრი იყვირა, არც ერთ კრებას არ გაუშვებდა რო არ წასულიყო და ყური არ დაეგდო, თუ რას ან რაზე ლაპარაკობდნენ, მაგრამ ის მაინც არც ერთ პარტიას არ მიეკუთვნა და არც უნდოდა გაეგო პარტიების სახელიც კი.

1918 წელს სანდრო სოფელს დაუბრუნდა და თოთხმეტი წლის გამოკეტილი თავისი სახლის კარი პირველად გახსნა.

ნინიო უკვე დიდი გოგონა იყო; მან ძალიან ბევრი შეისწავლა თავის დეიდა ელენესაგან. მშვენიერი ქალი დადგა საოჯახოდ. და ესლა იგი თავის სახლში ცხოვრობდა.

თხუთმეტი წლის დაქვრივებამ სანდროს მეტად დიდი დალი დაასვა. ჯერ კიდევ ახალგაზრდა, 48 წლის კაცს, მოშვებულ წვერზე უკვე ჭალარა ეტყობოდა და თვალელებიც ჩაკვივებული ჰქონდა ღრმად. სანდრო ატყობდა თავის თავს, რომ მას სიცოცხლის დიდი დრო აღარ ჰქონდა დარჩენილი და ამიტომ თავის ცოლის დას ელენესთან მოლაპარაკებით გადაწყვეტილი ჰქონდა თავისი შვილი ნინო გაეთხოვებინა, რომ სიცოცხლე-

შივე დარწმუნებულიყო მისი ბედნიერებით. ამიტომ მას ჯერ სახლის კარი უნდა გაეხსნა, 15 წელი მის ოჯახში არავინ ყოფილა და არც ერთი ჭიქა ღვინო არ დაეღია. სანდრომ დაიწყო მზადება საშემოდგომოდ. მას დიდი წვეულება უნდა ჰქონოდა.

გიორგობის თვის ათ რიცხვში სანდრომ დიდი წვეულება გამართა. დილიდან ადრევე დაიწყო აურზაური სანდროს ეზოში: აქეთ ცეცხლი ჩაღებოდა, იქით, დასაკლავად დაბმულ იმ ძროხა და ხბო ბლავოდა გრძელ აივანზე და შიგნით ორ დიდ ოთახში მაგიდა იშლიებოდა. ეზოში თონესთან ქალები ვარცლებს დასტრიალებდნენ, აკრავდნენ თეთრი თავთუხის ფქვილის ცომს თონეებში; საღლავამები ცხვებოდა; მეორე თონესთან აუარებელ ნაზუქსა და ქადებს აცხობდნენ; ორი კაცი ძროხას ატყავებდა; მეორე მხარეზე, იქვე, ხბოს ჰკლავდნენ გაფუფქული გოჭები უკვე მზად იყვნენ შესაწვავად და გახურებულ თონეებს ელოდებოდნენ; იქვე სამი ვეებერთელა მცხვარი ეკიდა; ხუთი ქალი აუარებელ ქათმებსა და ინდოურებს ბუმბულს აკლიდნენ; სამი კაცი ღვინოს ასხავდა ბოთლებში და თან შიგა და შიგ ცხონებულ თინას იგონებდნენ.

სანდრო მეტად შფოთავდა, რადგან თბილისიდან დავალებული კაცი, რომელსაც თევზეული და სხვა რამ უნდა ჩამოეტანა, ჯერ არა სჩანდა.

—ალექსი! — გაძახა მან მეზობელ გარაყანიძეს: — რა იქნა ი ბიჭი, რად დაავიანდა აქნობამდე? ნეტავ რამე შემთხვევა ხომ არ მოუვიდა გზაში? ეკითხებოდა ალექსის მისივე შვილს, კოტეზე.

—მოდის! მოდის, მამიკო! — შესძახა იმწამსვე ნინომ, რომელიც ეტყობა უფრო შფოთავდა და სულ გზისაკენ იყურებოდა. — აგერ ის უნდა იყოს, მგონი! — გაუშვირა მამას გზისაკენ ხელი.

—მადლობა, ღმერთს! — წამოიძახა სანდრომ და თან ეზოში მყოფ ხალხს გაძახა: — ჰე, ბიჭებო! აგერ, კოტე მოდის დახვეპილი!

და სიტყვის დამთავრებაც ვერ მოასწრო, რომ ორმა ბიჭმა ისკუბა ღობეზე და კოტესაკენ გაეშურა.

უკვე შუადღეს კარგა გადაცილებული იყო, რომ ალექსიმ, რომელსაც სანდროს მიერ დავალებული ჰქონდა ამ დღის გაძლოდა, სტუმრები ოთახში მიიწვია, სადაც უკვე მღვდელი დი მიტრი ელოდებოდა თავის დიაკვანს, რომელიც საცეცხლურს აღვივებდა და იწყო პანაშვიდი ცხონებული თინას აულის მოსახსენებლად. ბევრი აქვითინდა;

—ცხონება და კურთხევა იყოს მისი...

დააბოლოვა მამა დიმიტრომ და შემდეგ ხალხს მიუბრუნდა:

—მისი დანაკლისი დღე თქვენ შეგემატოთ! — და სუფრისაკენ წავიდა; აკურთხა მშვენიერად გაწყობილ მაგიდა და ყველანი დასხდნენ.

—გიგო! რა განზე დგებარ, კაცო! მოდი აგერ აქ დაჯექ!

—რა მეჩქარება! ჯერ სხვები მოაწყვიტო, — უბასუხა გიგომ და ნაჩვენებ ადგილისაკენ წავიდა.

მამაკაცები აივანზე მოეწყვენენ, დედაკაცები ოთახში გაშლილ მაგიდასთან მიიბატიუთ ელენემ. დაბლა სართულში, მარანში, კიდევ ერთი მაგიდა იყო გაშლილი დამხმარე პირთათვის. რა გინდა სულო და გულო, რომ მაგიდაზე არ ელაგა — თბილი პური, ნაზუქი, კარგი მსუქანი მცხვრის ყველი, ბოლოკი, მწვანელიეულობა, თევზეულობა, სხვა და სხვა სახის წნილი, ცივად მოხარშული, შემოდგომის ქათმები, თავისი ნივრის წვინთი, მოხარშული ძროხის ხორცი, და კიდევ რამდენი რამ! თამადაც მეტისმეტად კარგი ამოირჩიეს. ეს გახლდათ ზემო ავჭალის სადგურის გამგის თანაშემწე, კირილე ზედგენიძე, რომელიც თუნგ ღვინოს სვამდა ჯერზე და ისე მიდიოდა შინ, რომ ვერ შეატყობდით ნასვამი იყო თუ არა. ძალიან გამხიარულდა სანდროც. კვერდზე თავისი მეზობელი ალექსი ეჯდა და ხშირად ერთმანეთს რალაცას უჩურობდნენ და იცინოდნენ. მეხუთე ჭიქის შემდეგ უკვე სიმღერაც შემოსძახეს. აგერ უკვე შილაფლაგიც ჩამოარიგეს. მას კარგად შემწვარი ხბოს ხორცი მოაბეს. ამას მიჰყვა გოჭი. მერმე ინდოური მჟავე კიტრით და ბოლოს მწვადებზე გადავიდნენ.

შუა ღამე გადასული იყო, რომ ხალხი აიშალა. თამადა კი ჯერ ვერასფერვს ვერ გრძნობდა: ღვინო სწყუროდა, მაგრამ ხალხი ნახევარზე მეტი შემოეცალა. ქალებმა თავიანთ შემთვრალ ქმრებს ქულები მოუთხანეს და ღლინით სახლისაკენ გასწიეს...

დიდი კმაყოფილი იყო სანდრო ზაალიშვილი თავისი ასეთი მშვენიერი ნადიმისა და სულ გაიძახოდა:

—შენე! ჩემო ალექსი! რა კარგი დრო გავატარეთ!

კოტეც კმაყოფილი იყო, რომ მათი მეზობლის სახლის კარი გაიხსნა, მაგრამ გული უწყურებოდა იმის მოგონებაზე, რომ შვეებულების დღეები უმცირდებოდა.

ერთ საღამოს, კოტემ თავის მამას განუცხადა, რომ მას გაგაჟებოდა მოსწონს ნინო და სოხოვა, თავის მეგობარ სანდროსათვის ეთქვა, ჩაეღაპარაკა მისთვის. ასეც მოხდა.

ხუთი დღის შემდეგ კოტემ ნინო დანიშნა და გასწია სამსახურისაკენ.

ხოლო დაახლოებით 10 თვის შემდეგ იმავე სახლში დიდებული ქორწილი გადაიხადეს.

გადიოდა დრო.

კოტეს საკუთარი სახლი ჰქონდა ნაძალადეგში, ლოტკინის ქუჩაზე. იქ ცხოვრობდა იგი თავისი პატარა ოჯახით, თავისი საყვარელი ცოლით და ორი ბავშვით. ბევრად თუ ცოტად, კმაყოფილი იყო თავისი ბედისა. თვითონ მეტად უწყინარი ადამიანი იყო: არასდროს ზედმეტს არას გეტყოდათ, ხმამაღლივ ლაპარაკი საერთოდ სძულდა, მუშაობდა დილიდან საღამომდე, რომ დაეკმაყოფილებინა თავისი ოჯახი და ამხანაგ-მეგობრებშიაც შეტყვევნილი არ ყოფილიყო; ამასთან ის მეტად გულკეთილი და პურმარლიანი კაცი იყო; ძალიან უყვარდა, როდესაც მის ოჯახში მისი ნათესავები და მეგობრები შეიკრიბებოდნენ ხოლმე. არ იყო კვირა დღე, რომ მათ პატარა ოჯახში ვინმე გარეშე პირი არ დაეტოვებინათ ან სადილად და ან ვახშმად. კოტეს ცოლი ნინოც თითქმის ასეთივე ხასიათისა იყო.

ნინოს მამა, სანდრო მათთან ცხოვრობდა, რადგან სოფელში მას ის ლამაზი სახლი ჩამოართვეს და შიგრევკომი თუ რაღაც სხვა იყო გამართული. მუშაობით არა მუშაობდა. მისი საყვარელი საქმე იყო: დილით ადრე გამოიყვანდა ორ მოტიტინე შვილისშვილს და ხან ერთ ბაღში და ხან მეორეში წაიყვანდა.

ბედნიერი იყო კოტეს ოჯახი. ბედნიერი იყო ნინო და სანდროც; მათი ძვირფასი ბავშვები, პირველი ასული, რომელსაც ნინომ თავისი დედის სახელი „თინა“ დაარქვა, და მეორე, ვაჟი, ვახტანგი, რომელიც ორი წლით უმცროსი იყო თავის დაზე. ორივე კი დაბადებული იყო ერთსა და იმავე თვეში, მაისში, იმ განსხვავებით, რომ თინა 22-ში, ხოლო ვახტანგი 29-ში იყო დაბადებული.

ერთ დღეს, 1927 წლის აპრილის თვის მიწურულში, კოტე გარაყანიძე ამიერკავკასიის რკინისგზის უფროსმა, პაპულია ორჯონიკიძემ გამოიძახა (სერგო ორჯონიკიძის ძმა იყო. მასვე ისევე აღმოუჩინეს დახმარება, როგორც სერგოს და უფადო შვებულებაში გაუშვეს: საიქიოს!). პაპულიას კაბინეტში იყო კიდევ რკინის სახელოსნოების უფროსა ბაგრატ არუთინოვი და რკინისგზის სატრანსპორტო ჩეკის უფროსი იაკობიძე (ისიც დახვრეტილი განისვენებს საბურთალოსზე!).

— ამხანაგო გარაყანიძე! თქვენი პატიოსანი და თავდადებული მუშაობის ამბავი არა ერთხელ და ორჯერ მოუხსენებიათ ჩემთვის. — უთხრა პაპულიამ კოტეს. — დაახლოებით

გიცნობდით, დღეს კი პირველად გხედავ. მოხარული ვარ და იმეღია, თქვენი გამოძახების მიზეზიც კეთილად დაბოლოვდება. საქმე შემდეგშია: მოსკოვის ბრძანებით, ჩვენ ძვირფას ამხანაგს არუთინოვს (მიუთითა მისკენ) გვართმევენ. კავანოვიჩის მოადგილედ ნიშნავენ. რა თქმა უნდა, მე მოხარული ვარ, რომ ჩვენ ისეთი მძლავრი და შეგნებული ამხანაგები გვეყვანან, რო მოსკოვიც კი ჩვენგან თხოულობს ხალხს; მაგრამ მეორე მხრივ, ასეთი პირების მოშორებით, საშიშობა, რომ ჩვენი აქაური საქმე არ დავასუსტოთ. კიდევ კარგი, რომ აქ ჯერ კიდევ გამოიხანებია ისეთი პირები, რომ მთლიანად თუ არა ნაწილობრივ მაინც შესცვლიან მათ და სულ მოკლე ხანში მათზე მეტ ფხას გამოიჩინენ. შენ, როგორც ამხანაგ ბაგრატ არუთინოვის ყოფილი მოწაფე სახელოსნო სასწავლებლიდან და ახლაც, როგორც საუკეთესო მემანქანე, გვინდა დავნიშნოთ მის ადგილას. მართალია, დღეს უპარტიო ხარ, მაგრამ ჩვენ ამასაც შენივე თანხმობით მალე გავაფორმებთ. რას იტყვი, ბაგრატ? შენ, იაკობიძე?

ორივემ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. ბევრი ეხვეწა კოტე, რომ ის ჯერ ახალგაზრდაა, წვრილშვილიანია, ნაკლებად არის მომზადებული; მაგრამ ამაოდ. პაპულიამ მოკლედ მოუჭრა:

— ამხანაგო კოტე! ჩვენ აქ სავაჭროდ არ გამოვიძახეთ. საკითხი ნათელია. პარტიას ასე სურს. საკითხი ჩაითვალოს ამოწურულად. აბა, მაშ ასე, შენ იცი. თუ რამე გაგიჭირდეს, მე აქ ვარ. კოტე გაჩუმებული იდგა. პაპულიამ მას ხელი გაუწოდა, ასევე ბაგრატმა და იაკობიძემაც. კოტემ ერთხელ კიდევ გააქნია თავი და ვებერთელა კაბინეტიდან გავიდა.

იმ დღეს კოტე შინ მეტად ცუდ გუნებაზე დაბრუნდა. ნინომ შეამჩნია ქმარს, რომ მას რაღაც აწუხებდა. სადილობის შემდეგ კოტემ შემოისხა თავისი სიმამრი და ცოლი და ყველივე უამბო. ორივეს ძალიან გაეხარდა, რომ კოტე ასეთი დიდი კაცი შეიქმნა.

— ავტოც გეყოლება, არა? — შეეკითხა გახარებული ნინო, მაგრამ აქ პასუხი კოტეს აღარ დააცალა მისმა სიმამრმა და ნინოს თვითონ უპასუხა:

— რა თქმა უნდა! ავტო, ტელეფონი და რკინისგზის ცალკე ევრონიც! ეს პატარა თანამდებობა ხომ არა გგონია?! — ამის გაგონებაზე ნინო მივარდა კოტეს და თავისი გამხდარი მკლავებით მოეჭიდა კისერზე, და კოცნა დაუწყო.

სალამო ხანს გარეშე მომეზობლებმა და მგონი მთელმა ნახალოვანმა ცი უკვე იცოდა ეს ამბავი.

მეორე დღეს, კოტე დანაშაულდროს მივიდა მთავარ სახელოსნოების სამმართველოში, ბაგრატ არუთინოვთან, რომელიც მას უკვე ელოდებოდა; და ყველა საქმის გაცნობის შემდეგ, მიღებ-ჩაბარების აქტი გააფორმეს.

ამ დღიდან კოტე ალექსის ძე გარაყანიძე დიდი კაცი შეიქმნა.

ორი კვირის შემდეგ, კოტემ თავის საყვარელ ნინოსთან, სიმამრთან და თავის მამასთან, რომელიც იმ ხანად თბილისში იყო, მოილაპარაკა, რომ ამ დღის აღსანიშნავად გაემართათ პატარა წვეულება, მით უმეტეს, რომ ბავშვების დღეობაც ახლოვდებოდა და გადასწყვიტეს: მაისის ბოლო რიცხვში მომხდარიყო ეს ზეიმი, რადგან ნინო ბავშვებთან ერთად მალე სოფელს უნდა წასულიყო. კოტეს მამამ ალექსიმ ზუთიოდენ კარგი დედა-ლი ჩამოიტანა, ორი ინდოური, ერთი კარგი მოზრდილი გოჭი, (მაშინ ჯერ კიდევ კოლექტივიზაცია არ იყო), სოფლის პური, ყველი და ხუთი ჩაფი ღვინო. დანარჩენი ადგილობრივ იყიდეს: უკვე შემოსული იყო ორთაქალის ქორვა კიტრები, დილმური ტარხუნა... კარგი სასაუზნო საჭმელები გაუმზადა მათ უმცროსი შვილის ნათლიამ, ილუშა ნოზაძემ (დახვრეტილია!), რომელსაც იმ დროს რკინისგზის სატრანსპორტო კოლოპერაციის გამგე იყო... და მშვენიერი სუფრა გაეწყო.

სალამოს ცხრა საათზე უკვე სუფრას შემომხდარნი იყვნენ კოტეს ოჯახში დაახლოებით 25 კაცი და რამოდენიმე ქალი. თამადაობდა ნინოს მამა, სანდრო ზაალიშვილი, რომელმაც დამსწრეთ მართლა კარგი დროება გაატარებინა. დილის რიყრაყზე ქუჩაში პატარა მაგიდა გაიტანეს და მთელი ღამის ნაჭიეფარნი, ახლა ლეკურსა და ბალდადურს უვლიდნენ. მეზურნეებიც მთელი ღამის უძინარნი და დაღლილნი, ზღაპრით დილის სარს უკრავდნენ და თან მოქიფვით შესცქეროდნენ, იქნებ კიდევ ვინმემ წაიღოს ხელი ჯიბისაკენო. ფანჯრებიდან მეზობლები იჭყიტებოდნენ პირ - დაუბანელი ბავშვები ქუჩაში გამოცვივდნენ, მუშები უკვე სამუშაოაკენ მიემზურებოდნენ. მოქიფენი მათ ღვინით სავსე ჭიქებს აწვდიდნენ და თან ქათმისა ან მწვადის ნაჭერს სთავაზობდნენ. ბოლოს, რკინისგზის სახელოსნოების საყვიროს ხმაც მოისმა და ალბათ ეს უფრო იყო მიზეზი, რომ მოქიფენი ნელ-ნელა დაიშალნენ.

დაღლილ-დაქნულმა ნინომ ორ

დღემი ძლივს დალაგა აწეწილი სახ-  
ლი; თან ხომ სოფლისაკენ მიეშურე-  
ბოდა და აუარებელი ჰქონდა ჯერ  
კიდევ მოსამზადებელი. გადაწყვე-  
ტილი იყო, შაბათს, დილით უნდა  
წასულიყვნენ სოფელს კოტეს მანქანით  
პარასკევ საღამოს კოტე გვიან და-  
ბრუნდა შინ, ცოტა ნასვამიც იყო.  
ბავშვებს ეძინათ ნინოს თავი სტეკი-  
ვოდა და ტანტზე იყო წამოწოლილი;  
მამა მის სანდროს გახეთი გაეშალა  
და თავისი სათვალეებით ურთ ად-  
გილს ჩასცქეროდა.

— რა ამბავია, ნინო, კიდევ თავი  
გტკივა? — ჰკითხა კოტემ და იქვე  
გვერდში მოუჯდა. ილაპარაკეს მე-  
ორე დღის შესახებ. მერმე ნინომ მას  
ვახშიმი შესთავაზა, მაგრამ კოტემ  
უარს განაცხადა, არა შშიანო და  
ცოტა ხნის შემდეგ ძილისათვის მო-  
კმზადნენ.

ყველას ეძინა, სანდრო სასადილო  
ოთახში მაგრად ხერინაედა; ბავშვები  
ერთად იწვნენ, საბანი გადახლოდათ  
და პატარა თინას ფეხი გადადებული  
ჰქონდა თავის ძმა ვახტანგზე. აგერ  
სანდრომ დაახველა კიდევ; ეს ალ-  
ბათ მისი ყალიონის ბრაღია!

— ტუკ! ტუკ! ტუკ! — მოისმა ქუ-  
ჩინად რაკუნის. იგი შემდეგ განმეო-  
რდა და ზარმაც დააწკრიალა. სანდ-  
როს პირველს გამოეღვიძა; ადგა, მი-  
ვიდა ფანჯარასთან და გამოალო.

— ვინ არის? — შეეკითხა გამოღვი-  
ძებული ნინო და ისიც ადგა.

— კოტე გარაყანაძის ნახვა გვინდა  
საჩქაროდ, — იყო პასუხი, — გაგ-  
ვიღეთ კარი!

ნინო კანკალით მივიდა კოტესთან  
და იგი გააღვიძა. ამ დროს სანდრო  
უკვე ეზოს კარებს უღებდა მოსულთ.

— მობრძანდით! — უთხრა სანდრომ  
შემოსულ სტუმრებს და ოთახისაკენ  
გაუძღვია. კოტე ამდგარიყო, გამოს-  
ვლას აპირებდა შესახვედრად, მაგ-  
რამ ისინი უკვე ოთახში შედიოდ-  
ნენ და ბოდიში მოიხადეს, რომ ასე  
უდროოდ შეაწუხეს.

— შეიძლება დავსხდეთ? — ითხოვეს  
მოსულებმა და სკამები მოიმარჯვეს.  
შემდეგ მასპინძლებსაც სთხოვეს და-  
მსხდარიყვნენ. ყველანი გაფაცივიებით  
შესაქაროდნენ მოსულთ. ერთმა,  
რომელსაც პატარა ჩანთა ეკიდა, გა-  
ხნა იგი, ამოალო ქალაღი და და-  
იწყო კითხვა:

— ორდერი, ნომერი ესე და ეს. ამის  
წარმომდგენს, ამიერკავკასიის რკინის  
გზის სატრანსპორტო განყოფილების  
საგანგებო კომისიის პირველი გან-  
ყოფილების უფროსს, არჩილ ჩიტა-  
ძეს (მისვენებულაა საბურთალოზე),  
დავალებული აქვს მოახდინოს ჩხრეკა  
მოქალაქე კოტე აღეჟის ძე გარაყა-  
ნაძის ბინაზე, მცხოვრები ლოტკი-

ნის ქუჩაზე, ნომერი ესა და ეს და  
აგრეთვე დააპატიმროს იგი. წინააღ-  
მდეგობის გაწევა გამოიწვევს სასტიკ  
სასჯელს. ამიერ კავ. რკ. გზ. სატ.  
საგ. კომისიის განყ. უფროსი იაკო-  
ბიძე.

ამის გაგონებაზე კოტეს ფერი ეც-  
ვალა. ნინოს ისეთი კახკალი აუვარ-  
და, რომ ჩეკისტებიც შეშინდნენ. სა-  
ნდრო გაშტერებული იდგა და თან  
ერთსა და თან მეორეს გადახედავდა.  
ბოლოს ნინოს მოავლო ხელი, ტანტ-  
თან მიიყვანა, ჩამოსვა და თბილი  
შალი მოახურა.

— რაშია საქმე? — შეეკითხა კო-  
ტე, მაგრამ პასუხი არ მიუღია.

— თქვენ აქ ისხდებით ორთავე. —  
გასცა განკარგულება ნინოს და მის  
მამას ჩეკისტმა.

— თქვენ — მიუბრუნდა იგი კოტეს,  
— ჩვენთან მიიღებთ მონაწილეობას.

და დაიწყეს ჩხრეკა. რა უნდა ებო-  
ნათ ან რას ეძებდნენ ამ საწყალი  
კაცის ოჯახში! მას სრულებით არას  
დროს არ გაუფიქრია, ისეთი რამე  
შენახოს ან გაეკეთებინოს, რომე-  
ლიც ხელისუფლებას ეწინააღმდეგე-  
ბოდეს. ეს იყო მართლა ბუნებით და-  
ბადებული ხელოსანი მუშა, რომე-  
ლიც მხოლოდ თავის მარჯვენაზე  
იყო დაყენებული; არასდროს მას  
არავისთან არაფერი „საქმე“ არა  
ჰქონია; მისი გზა ძალიან მოკლე  
იყო: სახლიდან სამსახური, სამსახუ-  
რიდან სახლი. მართალია, იყო შემ-  
თხვევები, რომ მას სახლში არ სძი-  
ნებია, მაგრამ ეს ხომ მაშინ ხდებო-  
და, როდესაც ის მემანქანედ იყო და  
მატარებელის განრიგზე იყო დამო-  
კიდებული მისი მუშაობაც. მაშ რა-  
უნდა იყოს?! — ასე ფიქრობდა კოტე  
და თან მათ საქციელს უყურებდა,  
თუ როგორ ეპყრობოდნენ ნინოს კა-  
მოდში კონტად ჩალაგებულ ტანსა-  
ცმელს. გადაატრიალეს იქაურობა:  
სამი ოთახი, სამზარეულო, პატარა  
სარდაფი, საპირფარეშო, ეზო. მაგ-  
რამ სრულებით ვერაფერი ნახეს.

ბოლოს მივიდნენ იქ, სადაც ნინო და  
სანდრო ისხდნენ, ააყენეს, მოხსნეს  
ტანტზე გადაფარებული ხალიჩა,  
ამოწევეს მუთაქიდან მატყლი, ალაგ-  
ალაგ ამოგლიჯეს იატაკიც; მაგრამ  
ამაღ. მერმე კოტეს მიუბრუნდნენ  
და უთხრეს:

— დიდ ხანს გეწვალავთ კიდევ? ხომ  
იცი, რასაც ვეძებთ! მოიტა შენი ხე-  
ლით იცოდე, ეს უფრო შეღავათს  
მოგცემს.

სანდრო და ნინოც გაოცებით უყუ-  
რებდნენ საწყალ კოტეს. კოტე კი  
მხრებ-აწეული იდგა და ეფიცებო-  
და: რომ მან არც კი იცის, თუ რას  
ეძებენ ისინი.

— მაშ, გეტყობა სულ დაგირიგებია?

— დიდ ხანს გეწვალავთ კიდევ? ხომ  
იცი, რასაც ვეძებთ! მოიტა შენი ხე-  
ლით იცოდე, ეს უფრო შეღავათს  
მოგცემს.

სანდრო და ნინოც გაოცებით უყუ-  
რებდნენ საწყალ კოტეს. კოტე კი  
მხრებ-აწეული იდგა და ეფიცებო-  
და: რომ მან არც კი იცის, თუ რას  
ეძებენ ისინი.

— მაშ, გეტყობა სულ დაგირიგებია?

— უთხრეს ბოლოს მას. და ერთმა  
ჩეკისტმა ჯიბიდან ამოიღო რაღაც  
ქალაღი.

— ამ ქალაღს ვეძებთ! — და თან  
იგი კოტეს უჩვენა.

— მოიტა, სადა გაქვს, — განუხერ-  
რეს მას. კოტემ იფიცა, რომ მას არა-  
ფეთარი ქალაღები არა აქვს და  
არც იცის, თუ რა ქალაღებზეა ლა-  
პარაკი.

— ანტიკომუნისტური პროკლამაცი-  
ები! 26 მაისის დღეს შესახებ! —  
დაუყვირა ერთმა მას და თან ქალა-  
ღი ხელში მისცა.

— აი ეს, ეს არის რო ვეძებთ. სადა  
გაქვს, თქვი! სად არის სტამბა, სად  
დაბეჭდეს?

— რას ამბობთ, კაცო, რას მედაგე-  
ბით? მე არასფერი პროკლამაცია და  
არც 26 მაისი ვიცი. რაა 26, რა მა-  
ისი, რაზე ლაპარაკობთ?!

ქალაღი შემდეგი შინაარსისა იყო  
— ქართველო ერო! ასეული წლებით  
ნატანჯი ჩვენი ერი დღეს ისევ  
ტანჯვასა და წამებას მიეცა. რუსე-  
თის კომუნისტურმა ბრბომ, ზოგი-  
ერთი ჩვენი გამყიდველ ქართველ-  
ების მეშვეობით და დახმარებით, შე-  
მოღალახეს ჩვენი საზღვრები და ერი  
დაპყრეს; შეუკვეციეს ფრთები თავი-  
სუფლების მოყვარულ ხალხს და ცი-  
ხეება და ციმბირს აგზავნიან. ამის  
ატანა ქართველ ხალხს არ შეუძლია.  
ან სიკვდილი; ან გამარჯვება! თვი-  
თეული ჩვენგანი ფხიზლად უნდა  
იყოს! მალე დაჰკრავს ზარი! ყველა  
ვისაც კი რა საშუალება გაქვთ, ხელთ  
იჭონიეთ მტერთან ბრძოლისათვის.  
შეკავშირდით! ძალა ერთობაშია! —  
გაუმარჯოს ჩვენ პატარა ერს! ჩვენს  
საქართველოს! გაუმარჯოს 26 მა-  
ისს!... ეროვნული კომიტეტი.

— ეხლა ხომ გაიგე? ნუ გეწვალავთ,  
თუ აღარ დაგჩა?

— არა, ხალხნო, არა! — ეფიცებოდა  
მათ კოტე და თან ცრემლები გად-  
მოსცივდა.

— მაშ, წავიდეთ. აბა, ჩაიკვი.

საწყალმა ნინომ ტირილი მორთო.  
აქ ბავშვებმაც ასტეხეს ტირილი; სან-  
დრო გაშეშებული იდგა და რაღაცას  
ბუტბუტებდა. ბოლოს ჩეკისტს მას-  
თან მივიდა, ჯერ დიდ ხანს ჩააქცერ-  
და, გამოკითხა ვინაობა და მერმე  
შეეკითხა:


— შენ ხომ არა გაქვს ეს ქალაღები?

მან თავი გაუქნია, მაგრამ ჩეკის-  
ტმა მაინც დაჟინებით დაუწყო კით-  
ხვა. სანდრო უარზე იყო მერმე გა-  
ჩხრიკეს, ჯიბეში ხელი ჩაუყვეს და  
რაღაც ქალაღი ამოიღეს.

— ეს რა არის? ავი არ მქვსო?!

სანდრომ გაუგო მათ ეშმაკობა და  
უბასუხა:

— ეგ ის ქალაღია, რომელიც შენ



ნელში გეჭირა!  
 — აბა, მამ შენც წამოდი! — უთხრეს და ორივე გაიყვანეს.  
 — ვაიძე ჩემო იმედებო! ვაიძე კოტე, მამაჲ! — შეკვივლა ნინო, მაგრამ ვინ იყო პატრონი?

ორიოდე წუთის შემდეგ მანქანამ დაჩქარილება გააჩროლა და საწყალი ნინო ბავშვებთან ერთად ჩვეთინებდა. თილით ადრე მივობელმა ქალმა ნინოს რძე მოუტანა და როცა ამბავი გაეგო ძალიან ნაწყენი დარჩა. მან თავის მხრივ ნინოს უამბო, რომ წუხილთაში ოთხი სხვა პირი, კოტეს მივობლები წაიყვანეს და მიზეზი არ იცინაო.

ერთი თვე ისხდნენ კოტე და სანდრო ციკ სარდაფში, რომ მათი გვაზი კი არაღის უკითხავს. ერთი თვის შემდეგ პირვილად გამოუძახეს სანდრო ზაალიშვილი. პირადი ფურცლების შიგისბის შემდეგ, ჩეკისტი დაიბოხვას შეუდგა:

— რა კავშირი გაქვს გარაყანიძესთან? რა მიზეზით იყო გამართული შეკრება კოტეს ოჯახში, ოთხშაბათს, 26 მაისს? რამდენი კაცი დაესწრო? ვინ იყვნენ? ხშირად იკრიბებოდნენ თუ არა? ვინ მოგცა პროკლამაცია, რომელიც ჯიბეში გიპოვნეს? ვინ იყო მისი გამაგრებელი? რა როლს ასრულებს კოტე გარაყანიძე? რამდენი ხანია მუშაობენ? სად არის ცენტრი? და სხვა და სხვა...

საწყალი სანდრო ისეთ მდგომარეობაში ჩავარდა, რომ აღარ იცოდა, რა ეპასუხა. ბევრი ილაპარაკა, რომ მან არაფერი იცის, რომ კოტე მართო მისი სიძეა და ისაა მისი როლი, რომ გამართული ვახშამი, ბავშვების დაბადების დღის გამო და კოტეს ახალი სამსახურის აღსანიშნავად იყო, რომ ეს რიცხვი 26 მაისი მათ არც კი ახსოვდათ და ყურადღებაც არ მიუქცევიათ, რომ დამსწრეთა გვარები არ იცის და არც ცნობს ბავშვების ნათლებიდან და კოტეს მამის მეტს, არავეს, რომ არაფერია შეკრება არა ხდება ხოლმე, რომ მას ჯიბეში პროკლამაცია არა სდებია... ამის გაგონებაზე ჩეკისტმა ლანძღვა დაუწყო და სილა გაარტყა. სანდრო წაიქცა, წამოაყენეს და კვლავ ცემა დაუწყეს, თან ეუბნებოდნენ

— გატყდები თუ არა, შე ქოფაკო შენა!

წაქცეულ სანდროს ფეხებით სკემდნენ და იმდენი ურტყეს, ვიდრე ამ უზარმაზარმა კაცმა გონება არ დაჰკარგა. მოაბრუნეს. კვლავ კითხვები, ცემა, ყვირილი, მუქარა... და როცა ჩეკისტები დაილაზინეს განკარგულება გასცეს, ზაალიშვილი უკანვე სარდაფში ჩაეგდოთ, მხოლოდ კოტესაგან ცალკე.

შემდეგ ამოიყვანეს კოტე, რომელსაც აგრეთვე დაწვრილებითი სასაქრო ფურცელი შეუვსეს და გააფრთხილეს, სიმართლე ეთქვა, რომ ეს დაჩქარებს საქმის მსვლელობას და აგრეთვე აღიარება შეუძლებლებს სასჯელს და სხვა. რომ მისი ჯიუტობა და უარყოფითი პასუხები უარესად დასტანჯავს მის ცოლსა და შვილებს და თუ გამოტყდება გაუშვებენ და სასჯელს პირობითად შეუცლიან, რომ სამსახურში აღდგენილი იქნება და მთელი ამ ხნის ჯამაგირიც მიეცემა და სხვა და სხვა. კოტე თავს უქნევდა და შეპირდა, ყოველივე ეთქვა, რაც იცოდა.

— ვინ ჩავაბათ ეროვნულ ცენტრში სამუშაოდ?

— არაფერ, და არც ვმუშაობ!  
 — რამდენი ხანი არსებობს ცენტრი?  
 — წარმოდგენა არა მაქვს.  
 — თქვენნი როლი?  
 — არაფერთარი!  
 — ვინ არიან გვართა და სახელით?  
 — არაფერ არ ვიცნობ.

— სადაა მოთავსებული მთავარი შტაბი?

— არაფერი ვიცი.  
 — რატომ დაინიშნა 26 მაისის შეკრება შენს სახლში?  
 — ეს ბავშვების დაბადების აღსანიშნავი დღე იყო და არა შეკრება.  
 — სად იყო კოტე შეკრება?  
 — ალბათ იქსი დღეობაც იყო.  
 — რა საკითხები გადასწყვიტეთ?  
 — სადღეგრძელოების გარდა, არაფერთარი!

— ვინ იყო მომხანებელი?  
 — არაფერთარ მოხსენებებს აღვილი არა ჰქონია, თამადა, ჩემი სიმამრი სანდრო ზაალიშვილი იყო.

— საიდან იღობთ დირექტივებს?  
 — ჩემს სამსახურს ირგვლივ რკინისგზის სამმართველოდან, რომელსაც ვიმორჩილები.

— ეროვნულ ცენტრზეა ლაპარაკი. გაუმეორა ჩეკისტმა.

— არსაიდან.  
 — რა კავშირი გაქვს საზღვარგარედ და სახელდობრ ვისთან?  
 — არაფერთარი. არცერთი.

— სად არის მოთავსებული სტამბა?  
 — არაფერი ვიცი.

— მამ არ გინდა გამოტყდი?  
 — ამის ირგვლივ არაფერი ვიცი!

და დაუწყეს ცემა კოტეს, და სკემეს ისე, რომ საკანში დაბრუნებისას, ველარაფინ იცნო იგი.

ექვსი თვის წამებისა და წვადების შემდეგ კოლეგამ სასტიკი განაჩენი გამოუტანა ამ საქმის შესახებ თერთმეტ კაცს.

ნინომ ბავშვები სოფელში ჩაიყვანა მოხუც დეიდასთან, სადაც ერთ დროს თვითონ იზრდებოდა და შემდეგ კი

სამკერვალო ქარხანაში დაიწყო მუშაობა...

კვირა დღე იყო ნინომ ჩვეულებრივად მებრ საქმელი და საცვლები გაუმზადა მამასა და ქმარს, და ჩეკაში წაილა. როდესაც მისი რიგი მოვიდა, მას ფანჯრიდან უპასუხეს: ვერ მივიღებთ, აქ არ არიანო! ნინოს ძალიან გაუკვირდა და განმეორებით შეეკითხა. მას უპასუხეს, რომ შეიძლება ციხეში არიან გადაყვანილი.

ნინომ საჩქაროდ მეტეხის ციხისაკენ გასწია, მაგრამ ამოდ, იქ მისი გვარები არ აღმოჩნდნენ: საცოდავი ჩაჯდა ტრამვაიში და ორთაქალის ციხესაკენ გაუდგა, მაგრამ იქაც უპირი უთხრეს, აღარ იცოდა, რა ექმნა ვისთვის მიემართა ან სად მოედებნა! იმ აზრმაც კი გაუარა, იქნებ გამოუშვს და ერთმანეთს აკციდითო! მაგრამ გულმა არ მოუთმინა, ისევ ჩეკაში აუხვია.

ხალხი უკვე ნაკლებად იყო. ნინო ისევ ფანჯარასთან მივიდა. იქ უკვე სხვა აგენტი იჯდა. ძლივს მოახერხა პირის გაღება და თქმა:

— ყველგან ვიყავი, დაჯილდოე თრეგით და ვერსად ვერ ვიპოვე გარაყანიძე და ზაალიშვილი. თუ ძმობა გწამს, მიტხარი, სად მოვნახო!

ჩეკისტმა აილო დაეთარი, გადაშოლა, მონახა ნათქვამი გვარები და შემდეგ ნინოს უთხრა:

— ტყუილა გარჯილხარ, ჩემო დეო, ნულარ იწუხებ თავს! საუბანგებო კოლეგიის დადგენილებით ჩემოდ ჩამოთვლილ პირებს: ალიქსანდრე ზაალიშვილი, ექვთ. მაისურაძე, გრიგოლ ლოლობერიძე, სერგო დვალი, ნიკოლოზ სეფიაშვილი, ნიკოლოზ ლალაშვილი, პეტრე დუფაშვილი. არჩილ იოსელიანი, დიმიტრი გაჩეჩილაძე, კოტე გარაყანიძე და ვასო ხუციშვილი — მისაჯათ დახვრეტა, რაც სისრულეშია მოყვანილი...

ამის გაგონებაზე ნინოს გული წაუყვიდა და როგორ მიიყვანეს სახლში, არ ახსოვდა. იქ იგი მხოლოდ ერთი ღამე დარჩა. მეორე დღეს ის საავადმყოფოში გადაიყვანეს და მას იქიდან გამოსვლა აღარ ეღირსა.

ორი თვის შემდეგ, პატარა თინა და მისი ძმა გახტანგი საყვარელ დედას დასტაროდნენ სასაფლაოზე, მოხუცებულ ბებია ელენესთან ერთად.

სამხატვრო გამოფენა



ჩვენმა თანამემამულე ბ-ნ ფელიქს ვარლამიშვილმა (ვარლა) ბუენოს-აირესში მოაწყო თავისი სურათების გამოფენა, აგალერია ვიაუში, გასული წლის 2 — 21 ოქტომბრამდე. ბ-ნ ვარლამიშვილის გამოფენას დიდი წარმატება ჰქონდა და მთელი ბუენოს-აირესის, როგორც ესპანური, ისე სხვა, ოთხ ენაზე ნაბეჭდი პრესა, ამ გამოფენას დიდი ჩებით შეხვდა, და მხატვარს გამარჯვება მიულოცა.

ჩვენ სამწუხაროდ, არ შეგვიძლია პრესის მთელი ანგარიში მოვათავსოთ აქ, აღვნიშნავთ მხოლოდ ბუენოს-აირასის ერთი უმთავრესი გაზეთის „ლა პრენსა“-ს შეხედულება-დაფასებას ამ გამოფენის შესახებ.

ბ-ნ ვარლამიშვილის (ვარლას) სურათებით, სწერს ეს გაზეთი —

„ჩვენ ვიმყოფებით დადებითად ლირსეულ მოდერნიზმის წინაშე. მას მოპოვებული აქვს სახელი და წარჩინება როგორც საფრანგეთში, ისე მის გარედაც მუხეუმები და კოლექციონერები მის სურათებს იძენდნენ.

„ეს გამოფენა ფლორიდის დარბაზში, საკმაოდ სრულია, რათა ნათელჰყოს მის ნამუშევართა მნიშვნელობა თანამედროვე მიმართულებაში. იგი მიჰყვება იმ ხაზს, რომლის მოწინავენი არიან ხელოვანები, როგორც პიკასო და სხვანი, რომელნიც ერთმანეთთან არიგებენ მუდმივსა და გაბედულ ცდას“-ო.

შემდეგ ჩამოთვლილია გამოფენილი სურათები სახელდებით და მერმე ნათქვამია —

„ეს სურათები გვაჩვენებს მას, როგორც ფართო საშუალებათა კოლორისტა, რომელიც თავის ორიგინალობას კომპოზიციის კანონთა გამოყენებით იჩენს. იგი აღწევს ფორმების სინტეზს და ახორციელებს მას ყოველი ათვისებითა და სიძლიერითა, რომელთა მეოხებით იგი ხსნის პრობლემებს მოულოდნელი საშუალებებით: ამ სურათთა შველებაში შეფერადებულია პეიზაჟის სინამდვილე, ასულდგმულებული საგნებში და ცოცხალ ფორმებში, ნაჩვენებია აუცილებელი ხაზებთ, რომელნიც მისი ყვითელის, წითელის და მწვანის სიწმინდეს ამტკიცებს. იგივე გაიდიალეზულ სიციცხლეს ვხვდებით აგრეთვე მის ტემპერაში. ოთხი პეიზაჟი ბარილიჩისა სხვა ნიმუშებთან ერთად მისი შემოქმედების ნიჭს გვიდასტურებს“-ო.

„იმ მცირე უცხო მხატვართა შორის, რომელნიც ჩვენ გვესტუმრნენ ამ უკანასკნელი სამი წლის განმავ-



ნახატი ფ. ვარლამიშვილისა მწვანე მაგიდა.

ლობაში და თავისი ნაშრომებით მოგვიტანეს განათლება, ვარლა თავისი გარდაწყვეტილების თვისებასთან ერთად, მის ღირებულებათა უდავო ღირსებას გვიმტკიცებს“-ო.

ბ ი ზ ლ ი ო ზ რ ა უ ნ ა

The Strength and Weaknes of Red Russia. Edinburgh, 1950.

აღნიშნული წიგნი წარმოადგენს იმ ყრილობის ანგარიშს, რომელიც შარშან (14 ივნისს) ედინბურგში მოეწყო. ამ ყრილობას დაესწრნენ საბჭოთა კავშირში გამომწყვდეული ერების განთავისუფლებისათვის მებრძოლ ორგანიზაციათა წარმომადგენლები, რომელთაც შექმნილი აქვთ ამ ერების ანტიბოლშევიკური ფრონტი. ეს ყრილობა შესდგა ევროპული თავისუფლების სკოტური ლიგის მოწვევით. ყრილობა გახსნა ამ ლიგის თავჯდომარე ჯონ სტიუარტმა. ზემოდასახელებული წიგნის შესავალში იგივე თავჯდომარე სწერს — ომი აუცილებელია და რუსეთის დამარცხებაც. რუსეთის ფარგლებში მყოფი ხალხები იბრძოლებენ არა რუსეთის იმპერიის აღდგენისათვის, როგორც ეს არ უნდა იყოს — მეფური, ბოლშევიკური, კერძენსკული სოციალისტური, დემოკრატიული, თუ სხვაგვარ, ფედერატიული თუ არა ფედერატიული; რომელიც შეიძლება მათ თავზე მოახვიონ, არამედ იბრძო-

(„ლა პრენსა“, 1950 წ. 11 ოქტომბ.).

ამ ახლო მომავალში ბ-ნი ფ. ვარლამიშვილი ბუენოს-აირესში თავის სურათთა მეორე გამოფენას აწყობს.

ლებენ თავისი საკუთარი თავისუფლებისათვისო.

ამ ყრილობაზე წარმოდგენილი იყვნენ 150 მილიონიანი ხალხების წარმომადგენელი რუსეთის მიერ დაპყრობილ ერთა — უკრაინა, ყაზახეთი, ბულგარეთი, ლიტვა, საქართველო აზერბაიჯანი, სერბეთი, კროაცია, ჰუნგარეთი, იდელ - ურალი, ჩრდილო - კავკასია, ბელორუსეთი, სლოვაკია, ტურკესტანი, ლატვია, რუმინეთი, და დაუსწრებელთაგან მისალმების დეპუტეები მიუღიათ. ყრილობამ ფეხზე ადგომით პატივი სცა ბოლშევიკური რეჟიმის მსხვერპლთ, და ქართველთა შორის აქ დასახელებულია მარტო კოტე აფხაზი და არქივისკოპოსი ამბროსი.

პირველი მოხსენება, რომელიც აღნიშნულ წიგნშია მოთავსებული, ეკუთვნის უკრაინელ სტეცკოს (ყოფილი მინისტრი) და იგი ეხება ანტი ბოლშევიკურ ფრონტს და ბრძოლას ბოლშევიზმის წინააღმდეგ. მეორე მოხსენება (მომხსენებელია ლატვიის ყოფილი მინისტრი — ბერზინსი) შეეხება რუსეთის მიერ დაპყრობილ ხალხთა ეკონომიურ ძალას და მასზე დაყრდნობით მომავალში დამოუკიდებელ ერთა ცხოვრების მოწყობას.

დამონებული ერები წარმოადგენენ. ამავე საკითხზე მოხსენებას აკეთებს ტურკესტანელი კომიტეტის წარმომადგენელი კაიუმ ხანი. გენერალი კისბარნაკ (უნგარული ანტიბოლშევიკური კომიტეტის წარმომადგენელი) ეხება ბოლშევიკთა წინააღმდეგ ომს და სამხედრო ძალას, რომელსაც გენერალური შტაბის კაპიტანი და ქართული ეროვნული კომიტეტის თავჯდომარე ინგლისში, ი ნანუაშვილი დასაბუთებულად მოახსენებს ყრილობას დაჩაგრულ ერთა სამხედ-

რო შესაძლებლობის შესახებ უკრაინელი სტეფან ბანდერა სწერს უკრაინის სამხედრო ძალაზე და სხვა. შემდეგ, რუსეთის მიერ დაპყრობილ ერთა განთავისუფლებისათვის მებრძოლი კომიტეტების წარმომადგენელი ყრილობას მოკლედ მოახსენებენ, თუ თვითუღმა ერმა რა ბრძოლა გასწია კომუნისტების მიმართ და ამისათვის რა მსხვერპლი გაიღო. მათ შორის ლაპარაკობს ქართველების სახელით დრ. მ. ალშიბაია (ყველამ უნდა იცოდეს, რომ სრულე-

ბით საქირო არ არის ყალბი ტიტული და სახელწოდება პოლიტიკური მოღვაწეობისათვის — საქმე მან გამოგაჩინოს შენ!). ყრილობამ დაბოლოს მიიღო რეზოლუცია, რომლითაც მან მიმართა იმ ერებს, ჯერ რომ კიდევ თავისუფალი არიან და მოუწოდა მათ კომუნისტთა საწინააღმდეგოდ, რუსული იმპერიალიზმის დასამხობად.

მკითხველი

### რომანიული ბარათები (დასასრული)

#### ლოცვა მწუხრისა მაცხოვრისაღმ

მე არასოდეს ასე წრფელად არ მიმდერია;  
შენი ნათელი, მაცხოვარო, მადგია გარსა;  
ყველა ოცნებას და სიმდიდრეს გავატან ქარსა;  
მეყოფა შუქი შენი სიბრძნის და მისტერია.  
ვიცი ნდომები და სურვილი ჩემი მტერია;  
ვიცი, თუ გინდა ამალგება — გაეკარ ჯვარსა!  
თაფლზე უტკბესად უნდა სვამდე ნაღველს და ძმარსა  
და თვითონ ჯვარცმაც მაშინ მხოლოდ არაფერია.

#### ლოცვა განსაცდელში

არ არის არსად გზა სიმათლის შენდა გარეშე —  
წმიდაო მამავ, შენს დიდებას ვემუდარები:  
დააცხრე სულში ატეხილი მძიმე ქარები,  
ლიუციფერის სისხლიანი სთრგუნე თარეში.

მიგულე ვითა მონა შენი, — ფერხთა ფარეში  
და როს კუბოში გამასვენებს მწუხრის ზარები: —  
ეტყვი ერთ სიტყვას ჭეშმარიტი და უდარები,  
და კვლავ აღვსდგები ფერფლად ჰქმნილი ჩემს სამარეში.

შენი ნათელი ჩამოდგება ვარდისფერ ბინდათ,  
როს მთა სიონზე გამოჩნდება ბატკანი წმიდა,  
რომ მოვისმინოთ განჩინება მისი მართალი.  
გაცემს ბრძანებას საბრძოლელად შენი სარდალი,  
მოიფარება ცოდვილთ ლებით მთანი და ველი,  
და მოვა ქვეყნად მხოლოდ შენი სასუფეველი.

#### მოჩვენება ჰორიზონტიდან

სად ჰორიზონტის ხაზია მძაფრი —  
სადაც ზღვარია ცისა და ზღვისა,  
სდგას გემი ერთი, — იალქან - აფრით,  
თეთრი, ვით ფრთები ლედას გედისა.  
იღვრება ზღვაზე სხივების ლავა,  
ან თუ თარეშობს გრიგალი ქარი:  
მისთვის ერთია ავდარი, დარი.  
ვისია გამი? — ან და რომელი  
ჰკლავდა მას მხარე, სწვავდა მას ფერი...  
იყო მფრინავი ჰოლანდიელი,  
მძლე ოდისეი თუ აჰსაფერი!

გემს განაგებდა ძლიერი ხელი,  
ეძებდა ნაპირს, მხარეს საფირონს...  
მაგრამ არ დახვდა ზღვა უნაპირო,  
და მარადობა დაუღეველი.  
როს ჰორიზონტის მივიდა ხაზთან  
ნორჩ იმედებით და მძლავრ მკლავებით;  
იქ უფსკრულებში მან დაინახა  
სხვა პლანეტები და ვარსკვლავები!  
დაუსრულებელ სივრცეში ხედავს:  
ბილიონ ვარსკვლავთ კრთომა, რიდებას...  
ღმერთო ძლიერო! ვინ მისწვდეს ნეტავ  
შენს ძლიერებას და შენს დიდებას!  
მაშინ მის სულში ატყდა ბორიო,  
მაგრამ საშველი იყო არსიდან;  
კირჩხიბის შური ჰკლავდა მორიელს  
და მოჩვენება ყეფდა მარსიდან.  
ღმერთო უკვდავო! გთხოვ შეიწირე  
ჩემი ვედრება, ჩემი ალერსი!  
ვარ კაპიტანი ჭინჭველზე მცირე  
და თვით ატომზე უპარატესი!  
წმიდაო ღმერთო! სულში ნავარდობს  
გრიგალი ცივი ცისა და ზღვისა,  
და გემი ჩემი სდგას მარტოდ-მარტო:  
თეთრი ვით ფრთები ლედას გედისა...

#### მკილოგი: ორმოცი წლის შემდეგ

ძველ აივანზე ისევ ის ქალი  
უცნობი, თვალზე ნაბური ლილით,  
სდგას დაქანცული და დანაღალი,  
შემოაუღრული სიზმრების ჩრდილით.  
სულში აგროვებს ძველ მოგონებებს,  
თვალებს ენებათ ვნებათა შვავი:  
დასტირის ძველი კოშკის ნანგრევებს  
და შემოსილა ძაძით და შავით.  
მე მიველ მასთან... მსურდა მეკითხა —  
ამბავი ძველი, ზღაპარი, მითი...  
მან არ მაღირსა არც ერთი სიტყვა,  
მხოლოდ კუბოსკენ მანაშნა თითი.  
დავხედე, ვიცან ცხედარი გრძელი...  
— ეს ტირანია ხომ ძველის - ძველი?  
მე კიდევ ვხარობ მისი დაცემით...  
ძირს ტირანიის მკაცრი უფლება!  
მე ვუმღერ ცეცხლით და ალტაცებით —  
... თავისუფლებას!..

გ. გამყრელიძე

ბუენოს - აირესში ამა წლის 15 აპრილს, ქართული საზოგადოების გამგეობამ გამართა ქართული კონცერტი, რომელსა დაესწრნენ აგრეთვე ამ ქალაქში დიდი ხნიდან მცხოვრებნი ქართველი ისრაელებიც თავის ოჯახობით. ბ-ნმა ვ. ნოზაძემ წაიკითხა მოხსენება ქართული მუსიკის განვითარების შესახებ. შემდეგ ბ-ნმა ვ. ანდრიაძემ, ჭბ-ნ ლაკის აკომპანიმენტით, მშვენივრად იმღერა არია ოპერიდან „დაისი“ (მალხაზის გამოხვლა) და არია ოპერიდან „ლალატი“ (ერეკლას არია). საზოგადოებამ იგი მხურვალე ტაშით დააჯილდოვა. იმავე ბ-ნ ვ. ანდრიაძის ხელმძღვანელობით ქართულმა გუნდმა იმღერა ძველი და ახალი სიმღერები და ტრიომ (ბბ. ანდრიაძე, გოგელაშვილ და კვანტალიანი) ორი სიმღერა. საზოგადოება აღფრთოვანებით შეეგება მათ. მშვენივრად იცეკვეს ლეკური ციხლა ჯაფარიძის ასულმა და ბ-ნ ვ. გელაშვილმა, ხოლო პატარძლიშვილმა მოხდენილად იცეკვა კინტორი და გუნდის სიმღერაზე დაუარა კობტა ბ-ნმა ვ. აბუთიძემ.

ქართული საზოგადოება ამ კონცერტით მეტად კმაყოფილი დარჩა და იქვე ბუფეტში გაიშალა სუფრა, სადაც ქართველმა ისრაელებმა ძველებური ქართული სიმღერები შემოსძახეს, და საერთო ღვინო გაიმართა. რომლის დროს ქართველმა ხანდაზმულმა ქალებმაც თავისი ახალგაზრდობა გაიხსენეს და ლეკური ჩამოუარეს ახალგაზრდებთან ერთად....

მადრიდის გვაუწყებენ, რომ გერმანიის უნივერსიტეტის დოქტორმა, ვახტანგ ციციშვილმა ხელოვნების პროფესორობის ხარისხი მიიღო.

პროფ. ვ. ციციშვილის გამოცხადება ქართული ხატის სახულის შესახებ იბეჭდება ესპანეთის მეცნიერულ კვლევათა უმაღლესი საბჭოს კრებულში.

პროფ. ვ. ციციშვილმა მადრიდში, დიეგო გილასკის ინსტიტუტში წაიკითხა მოხსენება: „ხატთა ფერწერა და პირველყოფილი ქრისტიანული იდეოლოგია“. მოხსენებას დაესწრნენ აკადემიკოსები, ხელოვნების ისტორიკოსები და ხელოვნების სამინისტროს მთელი საბჭო.

პროფ. ვ. ციციშვილი ხელოვნების ისტორიიდან მადრიდში წაიკითხავს კიდევ ხუთ მოხსენებას.

იტალიაში მყოფ ქართველთა საზოგადოების თავჯდომარე არის ბ-ნი გიორგი აფხაზა, მდივანი — დავით სალარაშვილი. მოლაჩე — მამა მიჩაელ თარხნიშვილი.


მამა მიქაელ თარხნიშვილმა (რომ-

ში) დაასრულა ისტორიული გამოკვლევა: „საქართველოს ეკლესიის ისტორია პირველიდან მეშვიდე საუკუნემდე“. და მას განზრახველი აქვს იგი დაბეჭდოს, თუ ამისი საშუალება მოიპოვავს.

**გენერალი ალექსანდრე კონიაშვილი**

ამა წლის 30 აპრილს, ბუენოს აირესის გარეთუბანში — კასტელარ — გარდაიცვალა გენერალი ალექსანდრე კონიაშვილი. განსვენებული ეკუთვნოდა ისეთ ოჯახს, რომლიდანაც გამოვიდნენ განთქმული მხედრები და საზოგადო მოღვაწენი.

ალექსანდრე კონიაშვილი დაიბადა თბილისში 1873 წელს და სამხედრო



**გენერალი ალექსანდრე კონიაშვილი (1873 — 1951)**

ხასწავლებლის დასრულების შემდეგ პირველად მონაწილეობას ღებულობდა იაპონიის ომში, საიდანაც იგი დაჯილდოებული დაბრუნდა. — პირველი მსოფლიო ომის დროს მან დიდად გაითქვა სახელი კავკასიის ფრონტზე ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლაში. იგი არჩეულ იქმნა როგორც გმირი იმპერატორთან წარსადგენ დელეგაციაში და თვით ნიკოლოზ მეორემ დააჯილდოვა იგი. — როდესაც საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა, კონიაშვილი იყო იმ პირველ მხედართაგანი რომელიც ქართულ სამხედრო ძალას შეუდგა და მის მოწყობაში მხურვალე მონაწილეობას ღებულობდა და საქართველოს თავისუფლებას იცავდა. მაგრამ დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ, იგი სხებთან ერთად გაიხიზნა და პოლონეთს შეეკედლა, სადაც იგი პოლონურ სამხედრო სამსახურში ითვლებოდა დიდ ხანს.

უკანასკნელმა ომმა მრავალი ქართველი ამოავდო ბუდიდან და მათ შორის, უკვე ხანში შესული გენერალიც: პოლონეთიდან გერმანია, გერმანიიდან იტალია, და იქიდან არგენ-

ტინა. ძნელი იქნებოდა სწეულ და მოხუც გენერალს მდგომარეობა რომ მას არ აღმოჩენოდნენ ახლო ნაცნობ — მეგობარნი, რომელთაც იკისრეს მის შესახებ ზრუნვა და მამანავით მოვლა. —

**ქართული საზოგადოების გამგეობა**

აცნობებს თავის წევრებს, რომ 10 ივნისს, სამსა და ნახევარ საათზე, სასაფლაოზე გარეთუბან მორონ-ში, გადახდილ იქმნება გარდაცვალების მეორმოცე დღეზე.

**პანაშვილი**

გენერალ ალექსანდრე კონიაშვილის სულის მოსახსენე

F 1172/2  
1951

**მადლობის**

მამული-ს რედაქცია თავის უღრმეს მადლობას სწირავს, აქ ახლად შეძენილთ, ლიტოველ მეგობართ, ლიტვური გაზეთის, „არგენტინოს ლიტვური ბალსო“ს გამომცემელ ბ-ნ ოქინსკას და რედაქტორ კასტს, რომელთაც თავისი ღვაწლი არ დაიშურეს და ჩვენი გამოცემის საქმეში დიდი მორალური და ტექნიკური დახმარება აღმოგვიჩინეს.

კრებულში „მამული“ს გამომცემლობა თავის უღრმეს მადლობას მოახსენებს ქვემოთ ჩამოთვლილ პირთ, რომელთაც ყოილ ინებებს და სათანადო თანხის შემოწირვით ამ კრებულის გამოცემა შესაძლებელი გახადეს:

პესო	
არჩილ ხაჩიძე	300
ტარასი შანავა	300
ალ. პაპუაშვილი	150
გიგა მრულაშვილი	100
ზურაბ ციციშვილი	100
აკაკი პაპავა	100
ლეო ჭიშვილი	100
ჯონდო ჩომახ	50
მ. დიასამიძე	50
იქ. გ. კობახიძე	15

კრებულისა „მამული“ გამომცემლობა სთხოვს ყველა ქართველ მამულიშვილს, გაუწიოს მას დახმარება შემოწირულების სახით.

ფული უნდა გადამოგზავნოს შემდეგი მისამართით —

Señor Miguel Diasamidze  
Salguero 309. — Euenos Aires.  
Argentina